


K 93.923  
3



K 93923  
3



# ბერძნის ჩიტი



სპენსერი სელსუკი ზენკუბი


# ქალის ხეტი

საქსული სალსუკი  
ზღაპრები

K 93923  
3




საქართველოს სსრ  
საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის  
სახელმწიფო გამომცემლობა  
„ნაკადული“  
19 თბილისი 60



საქართველოს  
საბჭოთავო  
0002-2000

სპარსულიდან თარგმნა კარლო ტაბატაძემ  
მხატვარი ლადო გუდიაშვილი




### გაუდილი ვაჩლი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მდიდარი ვაჭარი, განთქმული თავისი პატიოსნებითა და სათნოებით. იმ ქალაქში, სადაც ეს ვაჭარი ცხოვრობდა, ჩვეულებად ჰქონდათ, ვისაც ბევრი ფული ან ძვირფასი ნივთი ექნებოდა და დაკარგვისა ეშინოდა, შესანახავად ამ ვაჭარს მიაბარებდა ხოლმე.

ერთხელ საშინელი დილა გაუთენდა ვაჭარს; ის-ის იყო გაიღვიძა, რომ შეატყობინეს:

— დუქანსა და ამბარს ცეცხლი გაუჩნდა და მთელი შენი ქონება გადაბუგაო.

მართლაც, დიდი უბედურება დაატყდა თავს საბრალო ვაჭარს, მაგრამ იხტიბარი როდი გაიტეხა; თავი ისე დაიჭირა, თითქოს ამ ამბავს აინუნშიაც არ აგდებსო. მაგრამ დაღამდა თუ არა, დაჯდა და დაიანგარიშა. გაუხარ-



და, რომ დარჩენილი ქონება მევალეების გასასტუმრებლად იკმარებდა, თუმცა მას აღარაფერი რჩებოდა. დილით ქალაქის უბნებსა და ბაზრებში კაცები აფრინა:

— ვაჭრისაგან ვისაც რა გერგებათ, მოდით და წაიღეთო.

ნაცნობ-მეგობრებმა ეს ამბავი რომ გაიგეს, ვაჭარს ჩასჩინებდნენ:

— ამას რას სჩადიხარ, მთელმა ხალხმა იცის, რომ ქონება დაგეწვა, ადამიანიშვილი არაფერს მოგთხოვსო.

მაგრამ სულგრძელი ვაჭარი პასუხობდა:

— მაგის თქმა როგორ გეკადრებათ, ხალხმა ქონება მომაბარა და განა უკან არ უნდა დაგუბრუნო?!  
ერთხელ ვაჭართან მევალეებიც მივიდნენ, უთხრეს:

— კეთილო კაცო, ქონება ხომ ცეცხლმა დაგიწვა, ეგრე რატომ იქცევი?

ვაჭარმა მიუგო:

— ჩემი ქონება კი დაიწვა, მაგრამ, რაც თქვენ შესანახად მომაბარეთ, ყველაფერი ხელუხლებელიაო.

გახარებული მევალეები ჯგუფ-ჯგუფად მიდიოდნენ ვაჭართან და თავიანთი ქონების საზღაურს იღებდნენ.

ბოლოს ისე მოხდა, რომ ვაჭარმა სახლ-კარი, ავლა-დიდება, სარჩო-საბადებელი სულ ერთიანად გაჰყიდა და მევალეებს დაურიგა, თავისთვის კი აღარაფერი დარჩა.

საბრალო ვაჭარს საქმე ისე წაუვიდა, რომ ქალაქში თავშესაფარიც ვეღარ იშოვა. იძულებული გახდა, თავისი ცოლით ხალხს გასცლოდა. სადღაც ძველ ნანგრევებში დაბინავდა, ახლომახლო არც წყალი იყო, არც მცენარე ხარობდა და არც ვინმე მუსლიმანი ძებორციელი იდგა. ძაღლის ყეფისა და ტურების კივილის გარდა, იქ სხვა არა ისმოდა რა.

ნაცნობ-მეგობრებმა ხომ სულ დაივიწყეს ვაჭარი და მისი ცოლი. ის კი არა, ნათესავებმაც მიატოვეს, არც მათ ნანგრევებს აკითხავდნენ და არც ამბავს იგებდნენ. ვაჭარს ჰყავდა ერთი ცოლისდა. ადრე ის დედაკაცი მათ სახლში ათენებდა და აღამებდა. ახლა აღარც იმან მიაკითხა. თქმაც ეთაკილებოდა, რომ ვაჭრის ნათესავი იყო.

ვიდრე ვაჭარსა და მის ცოლს უღებინდათ, ქონება უღუღდათ და გადმოსდიოდით, ღმერთს ვევედრებოდნენ და შვილი არ ეძლეოდათ. ახლა კი,

შავ დღეში რომ ჩაცვივდნენ, ქალი ფეხმძიმე შეიქნა. ერთ მშვენიერ დღეს მუცელიც ასტკივდა. ქმარს შესჩივლა:

— საქმე ისეა, რომ ეტყობა, ამალამ შვილი გამიჩნდება, როგორმე ჭრაქისათვის ერთი სირი\* ზეთი უნდა იშოვო. შუქი მაინც გვქონდეს, რომ რამე დავინახოთ.

— ზეთს უფულოდ ვინ მომცემს, — მიუგო ქმარმა, — ფულზე კი ვის მივადგე ამ შუალამეს? თქ, ღმერთო, ნუთუ ახლა კიდევ ეს გვაკლდა?!

— ჩემი თავი ენაცვალოს, ყოვლისშემძლე ალაჰი ახირებულია. ვიდრე დალაგებულად ვცხოვრობდით, შვილი არ გვაღირსა. ახლა მოგვცა, როცა გაჭირვებისაგან სულს ვღაფავთ. ეჰ, რაც არის, არის, გასწი, ცდა ბედის მონახევრეა, ვინ უწყის, იქნებ ბედმა კვლავ გაგვიღიმოს, — მიუგო ცოლმა.

ქმარი ადგა და ქალაქს გასწია, თუმცა არ იცოდა, ვის მისდგომოდა კარზე. ბევრი იხეტიალა და ბოლოს ერთ ფარდულში ჩაიმუხლა, მწარე ფიქრს მიეცა, თავი ქვაზე მისდო და ჩასთვლიმა.

ამ დროს ცოლი ნანგრევებში იტანჯებოდა, მუცლის ტკივილმა უმატა და უმატა. როცა ნახა, რომ ქმარი აღარ ბრუნდებოდა, გაბოროტებული ქალი წამოდგა, გულხელი დაიკრიფა და ნანგრევებში ბოლთის ცემას მოჰყვა. ცრემლი ღაპადუპით ჩამოსდიოდა და მოთქვამდა:

— რა მეშველება, ქმარი ჯერ არ ჩანს, მუცლის ტკივილმა მიმატა. ამ ნანგრევებში მარტოდმარტომ რა უნდა ვქნაო?

ასეთ სასოწარკვეთილებაში რომ იყო ჩავარდნილი, სად იყო, სად არა, ნანგრევებში ოთხი ქალი გაჩნდა. თოვლივით თეთრი სახეები ჰქონდათ და ხელში ანთებული ჩირაღდნები ეჭირათ.

— დობილო, მარტოობა ნუ გაფიქრებს. ჩვენ შენი მეზობლები ვართ. გვითხარი, რა გაგჭირვებია, ყველაფერში დაგეხმარებითო, — უთხრეს ქალებმა და ვაჭრის ცოლსაც გულზე დარდი მოეშვა.

მართლაც, ქალებმა ვაჭრის ცოლს მიხედეს, მოამშობიარეს, ყრმა განბანეს, ჩვრებში გაახვიეს და დედას მიუწვინეს გვერდით. ახალშობილი გოგო იყო, თანაც მზესავით ღამაში, მთვარეს რომ ეუბნება, შენ ჩადი, რაკი მე ამოგედო.

საქმეებს რომ მორჩნენ, უცხო ქალებმა ვაჭრის ცოლს უთხრეს:

\* ს ი რ ი წონის ერთეულია, დაახლოებით 75 გრამს უდრის.

— ახლა წავალთ და დაგტოვებთ. შენ შეილს კი ყოველი ჩვენგანი სამახსოვროდ რაიმე თვისებას დავანათლავთ.

— როცა გაიცინებს, ბაგე-ტურებიდან გაშლილ ვარდებს აფრქვევდესო, — წარმოსთქვა ერთმა ქალმა.

— როცა ატირდება, ცრემლების მაგივრად თვალებიდან მარგალიტები სცვიოდესო, — დაანათლა მეორემ.

— ყოველ დილით, როცა გაიღვიძებს, თავქვეშ ას აშრაფიანი ქისა დახვდესო, — დალოცა მესამემ.

— სიარულის დროს, მარჯვენა ფეხს გადადგამს, ოქროს აგური დატოვოს და მარცხენა ფეხს გადადგამს—ვერცხლის აგურიო, — ასე დალოცა მეოთხე ქალმა. ვაჭრის ცოლს დაემშვიდობნენ და გაუჩინარდნენ. დღემდე არვინ იცის, ან საიდან მოვიდნენ ან სად გაჰქრნენ.

ახლა ვაჭრის ამბავიც მოისმინეთ, ფარდულში რომ დავტოვებთ დაძინებულს. თურმე დაესიზმრა, რომ ეუბნებოდნენ:

— კმარა ამდენი ძილი, ადუ, შინ დაბრუნდი, შენ ცოლს აღარც ჭრაქი სჭირდება და აღარც სხვა რამ. ყველაფერი გამოჩნდა, რაც საჭირო იყო და ერთი კოხტა გოგოც შობაო.

გახარებულმა ვაჭარმა მყისვე მიაშურა თავის ნანგრევებს. მივიდა და ნახა: იმის ცოლს უკვე ემშობიარა, სახეზე კმაყოფილების ალმური ასდიოდა და გვერდით მთვარესავით გაბადრული გოგო ეწვა... ვაჭარი თვალებს არ უჯერებდა, დაწვრილებით გამოჰკითხა ცოლს ყველაფერი. იმანაც ყოველივე დალაგებით უამბო.

ვაჭარმა გულზე მჯილი დაიკრა და სინანულითა თქვა:

— ტყუილად გამგზავნე ჭრაქისათვის ზეთის საშოვნელად, აქ რომ დავრჩენილიყავ, იმ ქალებს მაინც ვნახავდიო.

ერთი სიტყვით, ღამემ მშვიდად გაიარა. დილით, ბავშვის ამოსაყვანად რომ მივიდნენ, სასთუმალქვეშ აშრაფებიანი ქისა დახვდათ. ვაჭარმა ქისა აიღო და ფულის თვლას შეუდგა. ზუსტად ასი აშრაფი იყო. ამასობაში ბავშვმა ტირილი დაიწყო. შეხვდეს, ცრემლების ნაცვლად თვალებიდან მარგალიტები სცვიოდა. დედამ დაუყვავა, უნდოდა გაეჩუმებინა, მაგრამ ქმარმა დაუშალა:

\* აშრაფი ძველებური ოქროს ფულია.

— თავი გაანებე, იტიროს, ტირილი ფილტვებსა რგებსო.

ასე გაიხარეს ვაჭარმა და იმისმა ცოლმა. ღმერთს მადლი შესწირეს, რომ ოთხი ქალის ლოცვა შეისმინა. მერე ვაჭარმა ბაზარში გასწია, სანოვაგე და რაც საჭირო იყო, ყველაფერი იყიდა.

გავიდა ხანი. ვაჭარს ბევრი ფული დაუგროვდა და ქალაქში ავეჯით გაწყობილი მშვენიერი სახლ-კარი იყიდა. ვაჭარმა და მისმა ცოლმა ისევ დაიწყეს ტკბილი და ბედნიერი ცხოვრება. ნაცნობ-მეგობრები და ნათესავები, გაჭირვების ჟამს რომ გაურბოდნენ, ახლა კვლავ მათ გარშემო შემოიკრიბნენ. ცოლ-ქმარი რომ გაჭირვებაში ჩაცვივდა, მაშინ ცოლისდამაც მიატოვა. ვაჭრის ოჯახზე სიტყვა რომ ჩამოვარდებოდა, ნაცვლად იმისა ეთქვა, ვაჭრის ცოლი ჩემი ღვიძლი და არის, მერე რა ვუყოთ, რომ საქმე ცუდად წაუვიდათ, ისინიც ხომ ადამიანები არიანო, მათ ნათესაობას თაკილობდა და შეიცხადებდა ხოლმე: ვინ თქვა, რომ მე ვაჭრის ცოლისდა ვარ, ჩვენ მხოლოდ შორეული ნაცნობობა გვაქვსო. ახლა კი, რაკი ვაჭარს საქმე სასიკეთოდ შემოუბრუნდა, მისი ცოლისდა ხალხში რომ მოხვდებოდა, კვებნით ამბობდა, ვაჭრის ცოლი ჩემი ღვიძლი და არისო. ოჯახშიც ეწვია თავის დას. მოჰყვა პირმოთნეობას:

— დაოჯან, ალაჰი მოწმეა, დღენიადაგ თქვენი ჯავრით ვილეოდი, მაგრამ რა მექნა? შველა არაფრით შემეძლო, თორემ თქვენი ცოდვით საამურად წყალიც კი არ გადამდიოდა ყელში.

ქალმა დის სახლში სიარულს მოუხშირა. დღედაღამ სიყვარულს ეფიცებოდა და თან იმის შეტყობას ლამობდა, ვაჭარმა ხელი როგორ გაიმართა და ხელახლა ქონება როგორ იშოვაო. ერთხელ თავის დას ჩააცვივდა:

— ჩემო დაიკო, ყველაფერს გაფიცებ, ხომ იცი რომ გამიხარდება, მითხარი, ხელმეორედ გამდიდრება როგორ მოახერხეთ?

გულუბრყვილო დამაც დაწვრილებით უამბო თავიანთი თავგადასავალი.

ცოლისდამ რომ ყველაფერი შეიტყო, შურისაგან ლამის გულზე გასკდა, მაგრამ გარეგნულად არაფერი შეიმჩნია, ფლიდად გაუღიმა და მოჰყვა:

— ღმერთო ჩემო, მადლობა დიდებულ ალაჰს, სწორედ რომ ასე უნდა მომხდარიყო, ყოველ გასაჭირს ლხინი უნდა მოსდევდეს.

შემდეგ ბავშვის ოთახში შეიპარა და რა საკვირველება ნახა: ბავშვი იცინის და ბაგეთაგან გაშლილი ვარდი ეფრქვევა, ტირის და თვალებიდან

მარგალიტები სცვივა. ნაბიჯს წასდგამს და ერთი ფეხის ქვეშ ოქროს აგურს დასტოვებს, მეორე ფეხის ქვეშ — ვერცხლის აგურს. ამის შემხედვარე დეიდას შურით კინაღამ თვალები დაეხსო.

გავიდა ხანი. ვაჭარმა და მისმა ცოლმა ოქროსა და ვერცხლის აგურებით ერთი მშვენიერი სასახლე ააგეს, გარშემო ბაღი გააშენეს. შიგ მარმარილოს აუზები და ოქროს შადრევნები მოაწყვეს და ფერად-ფერადი ყვავილები და ნაირ-ნაირი ხეხილი დარგეს. ერთი სიტყვით, ისეთი წალკოტი იყო, რომ ედემის ბაღს არ ჩამოუვარდებოდა.

ცოლ-ქმარმა სიამტკბილობით გაატარა რამდენიმე წელიწადი. ამასობაში ქალიშვილიც წამოიზარდა. უკვე თხუთმეტ-თექვსმეტი წლისა გახდა. იგი ეშხით, სილამაზით, სინარნარითა და აღნაგობით ყოვლად უნაკლო იყო და ავი თვალიც კი წუნს ვერ დასდებდა.

ერთ მშვენიერ დღეს იმ ქვეყნის ფადიშაჰის ვაჟი, სადაც ჩვენი ვაჭარი ცხოვრობდა, სანადიროდ წასულიყო. მას ვაჭრის ბაღთან მოუხდა გავლა. ბაღის ალაყაფის კარი ღია დარჩენილიყო. უფლისწულმა შიგ შეიხედა და გაოცებული დარჩა. შევიდა და მებაღეს ჰკითხა:

— ეს ბაღი ვისია?

— მაგანი ვაჭრისაო, — მიუგო მებაღემ.

ვაჟმა ბაღში მიიარ-მოიარა და ოქრო-ვერცხლის აგურებით ნაგებ სასახლეს მიადგა. გაოცდა. გაიფიქრა, სახელი ჩვენია და სახრავი კი ვაჭრებისა ყოფილაო. უცებ სახლის აივანზე ლამაზ ქალიშვილს მოჰკრა თვალი. ვაჟს მისი მაგავსი ჯერ არსად ენახა. მამამისის ჰარამხანაშიც არვინ იყო მისი ბადალი.

უფლისწულმა წინ გადადგა რამდენიმე ნაბიჯი. ქალიშვილმა შენიშნა და შურდულივით შევარდა ოთახში.

უფლისწულს ვაჭრის ქალიშვილი ერთით კი არა, ასი გულით შეუყვარდა.

სასწრაფოდ დაბრუნდა სასახლეში, დედოფალთან მიიჭრა და უთხრა:

— დედილო, მე თუ ოდესმე ცოლის თხოვას დავაპირებ, მაგანი ვაჭრის ქალიშვილის გარდა სხვას არავის შევირთავო.

— ღმერთო ჩემო, დედა გენაცვალოს, — დაუყვავა დედოფალმა, — მაგას რა სჯობია, რომ ცოლის თხოვა მოიწადინე, მაგრამ რაღა მაინცაღამაინც ვაჭრის ქალიშვილი ამოიჩემე. აბა, რა ჩვენი საკადრისია, რომ ვიღაც

ჩარჩსა და ვაჭრუკანას დავემოყვროთ. მამაშენის ვეზირებს ორ-ორი და სამ-სამი ქალიშვილი ჰყავთ, რომელსაც კი ხელს დაადებ, იმწუთშივე მოგგვრით ცოლად. ვეზირის ქალიშვილები თუ არ მოგეწონება, რომელი ხელმწიფის ასულსაც ისურვებ, იმას შეგრთავთ. ფრანგთა მეფის ქალიც რომ მოიწადინო, შენ სურვილს წინ ვერაფერი აღუდგებაო.

უფლისწულმა დედის დარიგებას ყური არ ათხოვა და გადაჭრით უთხრა:

— ალაჰს ვფიცავ, რომ იმ ვაჭრის ქალიშვილის გარდა სხვას არავის შევირთავ. როცა აქ მოვიყვან, მაშინ მიხვდები რატომაც ავიჩემე ის ქალი.

— ასე როდი შეიძლება, მამას დავეკითხოთ, ვნახოთ ის რაღას იტყვისო, — მიუგო დედოფალმა.

დედოფალი ფადიშაჰს ეახლა და ყველაფერი დალაგებით მოახსენა.

— ჩემი ვაჟი ჭკვიანი და გონიერი ყმაწვილია, ურიგოს არაფერს ჩაიდენს. ნებას მივუშვათ, დაე, როგორც გული ჰკარნახობს, ისე მოიქცესო, — თქვა ფადიშაჰმა.

ერთი სიტყვით, ვაჭრის სახლში სასწრაფოდ აფრინეს უფლისწულის მაჭანკლები და ქალიშვილის ხელი ითხოვეს. გახარებულმა მამამ ქალიშვილს უთხრა:

— ჩემო კარგო, ამ ქვეყნის ხელმწიფის ვაჟი ყოველი ღირსებითაა შემკული. არც ვაჟკაცობასა და გარეგნობაში ჰყავს ტოლი. იგი შენ თავსა გვთხოვს. უკეთესს ვიღას შევხვდებით? დასტური უნდა მისცე.

ქალიშვილმა თავი მორცხვად ჩაღუნა თანხმობის ნიშნად.

მეორე დღესაც მიადგნენ ვაჭარს ხელმწიფის კაცები, ფული შესთავაზეს — ნიშნობისათვის მოემზადეო. ვაჭარმა იუკადრისა:

— ჩვენ ფული არ გვიჭირს. თქვენს კეთილშობილ შთამომავლობასთან დამოყვრება ჩვენთვის საფსებით საკმარისიაო.

ცალკე ხელმწიფისანები, ცალკე ვაჭარი შეუდგნენ საქორწინო სამზადისს.

ახლა ჩვენი პატარძლის დეიდას დაგუბრუნდეთ, რომლის შესახებ ზოგი რამ უკვე მოვისმინეთ. თურმე იმასაც ჰყავდა გასათხოვარი ქალიშვილი, ჩვენი ვაჭრის ქალიშვილის კბილა, ოღონდ მშვენივრითა და სილამაზით მასთან ახლოს ვერ მივიდოდა. თურმე ამ ცბიერმა დეიდამ გუნებაში გადაწყვიტა, რომ ხელმწიფის ვაჟისათვის დისწულის ნაცვლად თავისი

გომბით შეეჩერებინა. ისიც შეუდგა საქორწინო სამზადისს. რასაც ვაჭარი და მისი ცოლი პატარძლის გასამზითვებლად იყიდდნენ, დეიდაც იმას ყიდულობდა თავისი გოგოსათვის. მთელი დღე ვაჭრის სახლში ტრიალებდა, თავის დას ხელსაქმეში ეხმარებოდა, თან თავი ისე ეჭირა, თითქოს ოჯახის სიხარულს ისიც იზიარებდა.

დადგა ნიშნობის დღე. მოვიდა ნეფე თავისი მაყრებით. ქალიშვილის სიყვარული უფლისწულს გაუასკეცდა, როცა შეიტყო, რომ გაცინებაზე ტუჩებიდან გაშლილ ვარდებს აფრქვევდა, ცრემლის მაგივრად თვალებიდან მარგალიტები სცვიოდა, თან სიარულის დროს კვალად ოქროსა და ვერცხლის აგურებს ტოვებდა და სასთუმალ ქვეშ კი აშრაფებიანი ქისა უჩნდებოდა.

ვაჭრის ქალიშვილი დანიშნეს, დიდი ნადიმი გადაიხადეს და მოილაპარაკეს: პატარძალი ერთი თვე მამის ოჯახში დარჩებოდა, მერე კი უფლისწულის სასახლეში გადაიყვანდნენ. სასახლე ქალაქგარეთ იყო აგებული და გარშემო წალკოტივით ბალი ერტყა.

გავიდა ერთი თვე. უფლისწულმა კეთილშობილი ქვებით მოოჭვილი ტახტრევანი გამოგზავნა პატარძლის წასაყვანად. აფორიაქდნენ ვაჭრის ოჯახში. არ იცოდნენ, რა ექნათ, როგორ მოქცეულიყვნენ ან ქალიშვილისათვის ხელისმომკიდედ ვინ გაეყოლებინათ. ვაჭრის ცოლისდამ თავი გამოიდო და თქვა:


— სადაც მე ვარ, იქ სხვისი ძებნა რაღა საჭიროა. მე სულ ამ ბედნიერი დღის მონატრული ვიყავი. რაკი დიდებულმა ღმერთმა არ მომკლა და ამ დღეს შემასწრო, პატარძალს ხელისმომკიდედ სხვას როგორ გავაყოლებო.

ერთი სიტყვით, პატარძალი ტახტრევანში ჩასვეს, გვერდით დეიდა და მისი კბილა დეიდაშვილი მიუსვეს და უფლისწულის სასახლისაკენ გაუყენეს.

ცოტა გზა რომ გაიარეს, ხელისმომკიდედ დეიდამ ჯიბიდან რაღაცა კვერი ამოიღო და თავის დისშვილს გაუწოდა:

— გასინჯე, პირი ჩაიტკბარუნე, მარადიულ ბედნიერებას მოგანიჭებსო.

პატარძალმა კვერი გამოართვა და არც კი დაფიქრებულა, ისე ჩაკბიჩა. თურმე ამ კვერს ისეთი თვისება ჰქონდა, რომ ვინც შეჭამდა, აუტანელ



წყურვილს მოჰგვრიდა. რამდენიმე წუთსაც არ გაეგლო, რომ პატარძალს წყურვილისაგან ღვიძლზე ცეცხლი მოედო.

— დეიდა, მიშველე, წყურვილი მკლავს, წყალი დამალევინეო, — ემუდარებოდა ღონემიხდილი პატარძალი.

დეიდამ მკვახედ მიახალა:

— რას ბოდავ, დასალევად კი არა, ამ მიდამოებში წყალს წამლადაც ვერ იშოვის ადამიანიო!

ცოტა ხნის შემდეგ პატარძალმა კვლავ დაუწყო ხვეწნა დეიდას:

— დეიდა, მიშველე, წყურვილი მკლავს, წყალი დამალევინეო.

— ამ ტიალ მინდორზე წყალი საიდან უნდა გაგიჩინოო, — შეუტია დეიდამ, — თუ მაინცადამაინც ძალიან გწყურია და ველარ ითმენ, ერთი თვალი მომეცი და, ჯანდაბას, ჩემთვის დაზოგილ წყალს დაგალევინებო.

მეტი რა გზა ჰქონდა? წყურვილისაგან შეწუხებული პატარძალი ყველაფერზე თანახმა იყო. ცალი თვალი გამოითხარა და დეიდას გაუწოდა.

ვერაგმა დეიდამ თვალი გამოართვა, მერე ჯამში ერთი ყლუპი წათხი ჩაუსხა და მიაწოდა, დალიეო.

პატარძალმა რომ წათხი დალია, წყურვილი უარესად მოერია. ხვეწნა-მუდარა დაიწყო:

— დეიდა, ღმერთი იყოს შენი გამკითხავი, წყურვილი მკლავს. შენ რომ რაღაცა მასვი, იმან კიდევ უარესი დამმართა. იწამე ღმერთი, მიშველე, წყალი დამალევინეო.

— რასა როშავ! — შეუტია დეიდამ, — აბა აქ, ამ ტრიალ მინდორზე, წყალი საიდან გაგიჩინო?

— ღმერთსა ვფიცავ, წყურვილი მკლავს, მიშველეთ... — ლულულუღებდა ღონემიხდილი პატარძალი.

— ჯანი გავარდეს, ჩემთვის დაზოგილ წყალს კიდევ შეველევი და დაგალევინებ, ოღონდ მეორე თვალიც უნდა მომცეო, — გადაჭრით უთხრა დეიდამ.

რალა უნდა ექნა. წყურვილით სიკვდილს ისევ მეორე თვალის მოთხრა ამჯობინა. დეიდას გაუწოდა და ქოქოლაც მიაყარა:

— არამი იყოს შენზე, დაიჭი, ოღონდ კი წყალი დამალევინეო.

დეიდამ მეორე თვალიც გამოართვა და შეინახა, თვალდათხრილი პატარძალი კი შუა გზაზე ჭაში ჩააგდო და დასტოვა. მის ნაცვლად ტახტრე-



ვანზე თავისი გომბიო დასვა, წინასწარ შეგროვილი რამდენიმე გაშლილი ვარდი ხილაბანდში გამოუხვია და ყოველი შემთხვევისათვის ოქროსა და ვერცხლის ოთხიოდე აგური და აშრაფებით სავსე ქისაც მოიმარაგა.

ცოტა გზაც რომ გაიარეს, მექორწილები უფლისწულის სასახლეს მიაღწენ. მეფის ნათესავ-მეგობრები, კარისკაცები, მხევალი ქალები გამოეგებნენ და დიდის პატივითა და დიდებით შეუძღვნენ სასახლეში. პატარძლის თავშალში გამობვეული ვარდები რომ იხილეს, ყველას სიხარულის აღმურმა გადაჰკრა. დედის მიერ ფეხქვეშ მარჯვედ დაწყობილმა ოქროსა და ვერცხლის აგურებმა ხომ სუყველა განაცვიფრა.

აანთეს ესფანდის\* მაყალი, წაიკითხეს ლოცვა „მოშურნეთა და და ხარბთა ავი თვალის“ შესახებ, გაშალეს სუფრები და შვიდი დღე და ღამე ილხენდნენ და მხიარულობდნენ.

უფლისწულს კი გულში ნაღველი შეეპარა, როცა შენიშნა, რომ პატარძალი კვლავინდებურად მიმზიდველი და მომხიბლავი აღარ იყო. ისიც შეამჩნია, რომ ქალი თავის თავს აღარ გავდა, თითქოს გამოცვლილიყო. ერთთავად დაღვრემილი იჯდა და ბაგეებიდან გაშლილი ვარდების ფრქვევაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ერთ საღამოს უფლისწულმა მოუღიპინა კიდევაც და ძალად გააცინა, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, იმას ტუჩებიდან ვარდები არ გადმოუფრქვევია! უფლისწულმა პატარძალს ჰკითხა:

— სად გაქრა შენი ვარდები, სიცილის დროს ტუჩებიდან რომ გცვიოდაო?

პატარძალს პასუხი დედისაგან წინასწარ ჰქონდა ნასწავლები და სხა-პასხუპით მიაყარა:

— ნუ ჩქარობ, მაგასაც მოესწრები, ყველაფერს თავისი დრო აქვსო. უფლისწულმა იმასაც მიაქცია ყურადღება, რომ პატარძალს მხოლოდ პირველ ღამეს გაუჩნდა თავქვეშ აშრაფებიანი ქისა, შემდეგ კი მსგავსი აღარაფერი უნახავს.

უფლისწული კვლავ შეეკითხა პატარძალს:

— განა იმასაც ტყუოდნენ, რომ ყოველ ღამე სასთუმალქვეშ აშრაფებიანი ქისა უჩნდებაო?

ქალმა კვლავინდებურად გაუმეორა: ყველაფერს თავისი დრო აქვსო.

უფლისწული ახლა კიდევ უფრო დაეჭვდა; ადგა და ერთ მშვენიერ

\* ეს ფანდი ბალახია, რომელსაც აახრჩოლებენ ხოლმე გათვალვისაგან თავის დასაცავად.



დღეს ქალი განგებ აატირა. ნახა, რომ ქალს თვალებიდან ღაპაღუპით დიოდა ცრემლები და მარგალიტების ხსენებაც არ იყო.

— განა ტირილის დროს თვალებიდან ცრემლების ნაცვლად მარგალიტები არ გცვიოდაო? — არ ეშვებოდა უფლისწული.

პატარძალიც კვლავინდებურად პასუხობდა:

— ნუ ჩქარობ, ამასაც მოესწრები, ყველაფერს თავისი დრო აქვსო.

უფლისწული სევდამ შეიპყრო. განსაკუთრებით ის აღონებდა, რომ ქალს არც კეთილშობილება მოსდგამდა და არც აღზრდა-განათლების ნასახი ეცხო. ვაჟი ბოღმას გულში იკლავდა; გულის ჯავრს არც დედოფალს უმხელდა და არც სხვას ეუბნებოდა.

ახლა მოდით, ამათ თავი დავანებოთ და იმ ჩვენი ვაჭრის ქალიშვილს მივუბრუნდეთ, დეიდამ რომ ჭაში ჩააგდო თვალებდათხრილი.

საბრალო ქალიშვილი სამი დღე და ღამე იმ ჭაში ეგდო. მეოთხე დღეს შორიახლოს ერთმა მებაღემ ჩაიარა. ჭიდან ქვითინი მოესმა. მიხვდა, ვილაც ბეჩავი და საბრალო ჭაში ჩავარდნილიყო. მებაღე წავიდა, თავისი შეგირდი მოიყვანა და თან გრძელი თოკი მოიტანა. ერთი წვერი წელზე შემოირტყა, მეორე წვერი თავის შეგირდს დააჭერინა და ჭაში ჩავიდა. ჭის ფსკერზე თვალებდათხრილი ქალიშვილი და აშრაფებით სავსე სამი ქისა დახვდა. მებაღემ ქისები აიღო, ქალიშვილი ჭიდან ამოიყვანა და სული მოათქმევინა. მერე ჰკითხა:

— შვილო, ვინა ხარ და ან ეს ქისები საიდან გაქვსო?

ქალიშვილმა მოხუცს თავიდან უამბო თავისი თავგადასავალი.

მებაღემ ყველაფერი გულდასმით მოისმინა, ქალიშვილს დაუყვავა, დააწყენარა და ანუგეშა:

— დაწყენარდი, ახლა მე ვიცი და ჩემმა კაცობამ, ამ საქმეს მე გამოვასწორებო.

მებაღემ ქალიშვილი თავის სახლში წაიყვანა და მამაშვილურად მოუარა. ქალიშვილი გუნებაზე დადგა, გამხიარულდა, გაიღიმა კიდევაც და ტუჩებიდან გაშლილი ვარდები გადმოსცვივდა.

მებაღემ ვარდები სათუთად შეაგროვა, უფლისწულის სასახლესთან მოვიდა და ხმამაღლა შესძახა:

— გაშლილი ვარდები! გაშლილი ვარდები!

თურმე მებაღის ხმა იმ საძაგელმა დეიღამ გაიგონა, მოხუცს გამოეგება და ჰკითხა:

— ძიაჯან, მაგ შენ ვარდებს როგორა ჰყიდით?

— ფულზე არ ვყიდი, ადამიანის თვალებზე ვცვლით, — მიუგო მე-ბაღემ.

— ეგრე იყოს, — დათანხმდა დედაკაცი, თავის დისშვილს თვალები რომ დაათხრევინა, ერთი თვალი მებაღეს მისცა და ვარდები გამოართვა.

გახარებულმა მებაღემ ცალი თვალი წამოიღო და საბრალო ქალიშვილს მოუტანა. ქალიშვილმა თავის ადგილას ჩაისვა და ცალ თვალში სინათლე დაუბრუნდა. ახლა თითქმის ყველაფერს ხედავდა და მის სინარულს საზღვარი არ ჰქონდა.

მეორე დღეს ქალიშვილს ისევ მოაწვა კაეშანი და ქვითინი მორთო. ტირილზე ცრემლების ნაცვლად კვლავინდებურად მარგალიტები სცვიოდა. მებაღემ ეს მარგალიტებიც აკრიფა და უფლისწულის სასახლისაკენ გასწია. მივიდა და ომახიანად შესძახა:

— ეჰეი, მარგალიტები! მარგალიტები!

იმ საძაგელმა დეიღამ მებაღის ხმა რომ გაიგონა, სინარულით ცას ეწია. გაეგება და ჰკითხა, როგორ ჰყიდით.

— ფულზე როდი ვყიდი, — კვლავ მიუგო მებაღემ, — ადამიანის თვალებზე ვცვლით.

— არც მაგას შევუშინდებით, — მიუგო დეიღამ, სასწრაფოდ მეორე თვალს გამოურბენინა, მარგალიტები გამოართვა და გახარებული სასახლეში შებრუნდა.

კეთილმა მებაღემ ეს მეორე თვალს მოუტანა ჩვენს ქალიშვილს. ქალიშვილმა მეორე თვალს თავის ბუდეში ჩაისვა და ახლა უკვე ორივე თვალს ძველებურად აელვარებდა.

ამ ამბების შემდეგ ქალიშვილმა ჩვენი მოხუცი მებაღის ეზოში სწორედ ისეთი სასახლე ააშენა, მამამისს რომ ჰქონდა.

თურმე ნუ იტყვით, ერთ მშვენიერ დღეს დადონებული უფლისწული სევდის გასაქარვებლად სანადიროდ წასულიყო. შემთხვევით იმ ბაღთან გაუვლია, შეჩერებულა, ბაღში შესულა და რა უნახავს: კაცი ამ ბაღს მისი სიმამრის წალკოტიდან ვერ გამოარჩევდა. უფლისწულმა ბაღში გაიარგამოიარა და მშვენიერ სასახლეს მიადგა, რომლის აივანზე სწორედ ის

ქალიშვილი იჯდა, პირველად რომ ვაჭრის სახლში იხილა. გაოცებულმა ჩაილაპარაკა:

— ვაჭრის ქალიშვილი ხომ მე შევირთე ცოლად, განა ახლა სასახლეში არა მყავსო?

უფლისწულმა თვალები მოიფშვნიტა, სიზმარში ხომ არა ვარო, მაგრამ აშკარად დარწმუნდა, რომ ყველაფერს ცხადად ხედავდა.

შორიახლოს მოხუცი ძეგაღეც შეამჩნია, მივიდა და ჰკითხა:

— მოხუცო, ეს ბაღი ვისია?

მეგაღემ უფლისწულს დაწვრილებით უამბო ყველაფერი.

უფლისწული ჯერ ძალიან დაღონდა, მერე კი სიხარულის აღმური მოედო. სასწრაფოდ აირბინა აივანზე და ქალიშვილს მოეხვია. მერე მისი მშობლების მოსაყვანად კაცები აფრინა და საქორწილო სუფრის გაწყობა ბრძანა.

ერთი სიტყვით, მოიყვანეს ვაჭარი და მისი ცოლი. გაშალეს სუფრა და შვიდი დღე და შვიდი ღამე გახურებული ქორწილი იყო. უფლისწულმა უხვად გასცა საბოძვარი, ღარიბებს ხონჩით ფლავი და თუნგებით ღვინო დაურიგეს, ხოლო ის სახლი და წალკოტი კეთილ მეგაღეს უწყალობეს.


რამდენიმე დღის შემდეგ უფლისწული თავის სასახლეში დაბრუნდა. მისვლის უმაღლეს ვერაგი დეიდა მოაყვანინა და შეუტია:

— ჰოი, შე სულმდაბალო! რამდენი ვნება მიაყენე ამ საბრალო ქალს შენი მზაკვრობით! არჩევანი შენთვის მომინდვია, რომელიც გინდა ამოირჩიე, ხმლით წაგაცალონ თავი თუ თმით ცხენის კუდზე გამოგაბან?

— თქვენ ყოფილიყავით ბასრი ხმლის კერძები! — მიახალა გაბოროტებულმა დედაკაცმა, — მე ცხენის კუდზე გამობმა მირჩევნიაო.

ერთი სიტყვით, უფლისწულის ბრძანებით ის ვერაგი დედაკაცი ფეხმალ ბედაურის ძუას თმით გამოაბეს და ცხენი ტრიალ მინდორზე გააჭენეს.

ჩვენი ზღაპარი ასე დასრულდა,  
ყორნის წადილი კი არ აღსრულდა.





თ ბ ა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი თერძი. ამ თერძს სამი ვაჟი ჰყავდა. ისინი დუქანში მამას შველოდნენ ხოლმე.

ერთხელ თერძმა ერთი დედალი თხა იყიდა. იფიქრა: დილაობით მოვწველით, მაწონს შევაყენებთ, ხმიადს შევატანთ და ყელს გავისველებთ ხოლმეო.

თერძმა დააწესა, რომ მის ვაჟებს რიგრიგობით ყოველ დილით თხა საბალახოდ ველზე წაეყვანათ, საღამოს კი ბოსელში დაებათ.

პირველად თხის წაყვანა წილად ხვდა უფროს ვაჟს. ისიც ადგა და თხა საბალახოდ წაიყვანა, მთელი დღე აბიბინებულ მდელოზე აძოვა და მაგრად გამოაძღო. მზის ჩასვლისას ჰკითხა:

— გულს ხომ არ გაკლია, რიგიანად დანაყრდი თუ არაო?

— იმდენი ვძოვებ, იმდენი ვძოვებ, რომ ფაშვში ბალახი ერთი ღეროც აღარ ჩამეტევავო, — მიუგო თხამ.

— რაკი ასეა, მაშინ შინ წავიდეთო, — უთხრა ვაჟმა, თხას თოკში ხელი ჩაჰკიდა, სახლში მოიყვანა და ბოსელში დააბა.

თერძმა უფროსი ვაჟი რომ მოსული დაინახა, ჰკითხა:

— ჩემო ბიჭიკო, თხამ ხომ მაძღრისად სძოვა?

— როგორ არა, — უპასუხა ვაჟმა, — მეტი ჭამისაგან ლამის ფაშვი გაუსკდეს.

თერძი ვაჟის ნათქვამს არ ენდო, ბოსელში შევიდა და თხასა ჰკითხა:

— რას იტყვი, ბეკეკა, ხომ გემოზე გამოძეხი?

— აბა რა გამაძღობდა, — შესჩივლა თხამ, — შენმა ვაჟმა წამიყვანა და რიყიან და ხრიოკ ბეგზე დამაბა; ბევრი ვიწვალე, ხან აქეთ მივაწყდი, ხან იქით, მაგრამ საძლომი ბალახი ვერ ვიშოვე.

თერძი ძალიან გაჟავრდა, არშინს სტაცა ხელი და თავის უფროს ვაჟს მოუღერა:

— ჰოი, შე მატყუარავ, შენა! ხომ გითხარი, თხა წაიყვანე და კარგად აძოვე-მეთქი. ასე შეასრულე განა ჩემი დავალება, საბრალო პირუტყვი მშიერი რომ მოგიკლავს, თან ტყუილის თქმასაცა ბედავ!..

ვაჟმა დააპირა თავი ემართლებინა, მაგრამ გაშმაგებულმა თერძმა დაუყვირა:

— ახლავე გაეთრიე ჩემი სახლიდან, თორემ ღმერთმანი!..

საბრალო ვაჟი იძულებული გახდა მამის სახლს გასცლოდა.

მეორე დღეს შუათანა ძმის ჯერი დადგა. წასვლის წინ თერძმა იგი საგანგებოდ დაარჩა:

— შვილო, უფროს ძმასავით არ მოიქცე, თხა წაიყვანე, კარგი ბალახი მონახე და, როგორც რიგი და წესია, ისე გააძღე.


ვაჟი შეჰპირდა მამას, რომ დანაბარებს შეუსრულებდა.

ვაჟმა თხა წაიყვანა და შიგ შუა სათიბში გაუშვა, მთელი დღე იქ ჰყავდა და სალამოს ჰკითხა:

— გაძეხი ბეკეკა? მეტი თუ აღარ გინდა, დროა სახლისაკენ გავე-შურთო.

— ისე გავძეხი, ისე გავძეხი, რომ ბალახის დანახვაზე ცუდად ვხდებიო, — მიუგო თხამ.

ჩ 93.923



ვაჟმა თხა შინ მოიყვანა და ბოსელში დააბა.

— თერძმა მეორე ვაჟსაც ჰკითხა:

— შვილო, თხა ხომ კარგად აბალახეო?

— იმდენი ძოვა, რომ ბალახის დანახვაზე უკვე ცუდად ხდებო-  
დაო, — მიუგო ვაჟმა.

თერძმა თავისთვის ჩაიბუტბუტა: წავალ და თვითონ თხასა ვკითხავო,  
ბოსელში შევიდა და ჰკითხა:

— ბეკეკა, ახლა რაღას იტყვი, დღეს ხომ გემოზე გამოძეხი?

— როგორ უნდა გავმძღარიყავი, — მიუგო თხამ, — შენმა ვაჟმა წა-  
მიყვანა და ზედ ბალის ყორეს გამომაბა. ბალახის ნასახიც არსად იყო,  
აბა რა უნდა მეჭამა? აქეთ ვეცი, იქით ვეცი, მაგრამ ამაოდ, მოსაძოვს  
ვერაფერს მივწვდი.

თერძი ძალზე გაჯავრდა და შუათანა ვაჟსაც არშინი მოუღერა:

— ჰოი, შე მატყუარავ, შენა! ხომ გითხარი, თხა წაიყვანე და კარგად  
აძოვე-მეთქი! ასე შეასრულე განა ჩემი დავალება, საბრალო პირუტყვი  
მშიერი რომ მოგიკლავს, თან ტყუილის თქმასაც ბედავ!..

ვაჟმა დააპირა თავი ემართლებინა, მაგრამ გაშმაგებულმა თერძმა  
დაუყვირა:

— ახლავე გაეთრიე ჩემი სახლიდან, თორემ ღმერთმანი!..

შუათანა ვაჟიც იძულებული გახდა მამის სახლი დაეტოვებინა.

ახლა უმცროსი ძმის ჯერი დადგა.

წასვლის წინ თერძმა დაარიგა:

— შვილო, შენს უფროს ძმებს არ მიბაძო, ეს პირუტყვი წაიყვანე და  
საგულდაგულოდ გააძლე. ხომ იცი, ორი დღეა შიმშილისაგან იტანჯება.

უმცროსმა ვაჟმა მამის დავალება შეასრულა, თხა წაიყვანა, წელამდე  
ბალახში შეაგდო და უთხრა:

— აბა შენ იცი, ჭამე, რამდენიც შეგიძლია.

თხა მთელი დღე ხარბად შეექცეოდა ქორფა ბალახს. სამხრობის ჟამს  
ვაჟმა ჰკითხა:

— რა ჰქენი? თუ გაძეხი, შინ დავბრუნდეთ.

— გავძეხი რომელია, იმდენი ვძოვე, რომ ფაშვს ვეღარ ვძრავო, —  
მიუგო თხამ.

— რაკი ასეა, — უთხრა ვაჟმა, — მაშ სახლისაკენ გავეშუროთ, —  
თოკს ხელი ჩაავლო, თხა მოიყვანა და ბოსელში დააბა.

თერძმა უმცროს ვაჟსაც ჰკითხა ჩვეულებისამებრ:

— შვილო, ბეკეკა ხომ კარგად აბალახეო?

— დიახ, — მიუგო ვაჟმა, — ისე გამოძდა, რომ ფაშვს ველარ ერე-  
ოდაო.

თერძმა გუნებაში იფიქრა: სიფრთხილეს თავი არა სტკივა, წავალ  
და თვითონ თხასა ვკითხავო. მართლაც ადგა, ბოსელში შევიდა და თხას  
ჰკითხა:

— ბეკეკა, დღეს ხომ კარგად გაძეხი?

— აბა რითი უნდა გავმძღარიყავი, შენმა ვაჟმა წამიყვანა და ზედ  
მდინარის პირას მიმაბა. როდის იყო, მდინარეს ბალახი მოჰქონდა? ჭამას  
ვინ ჩივის, დღეს ბალახი და ნეკერი თვალითაც არ დამინახავსო, — მიუგო  
თხამ.

თერძი ძალზე გაჯავრდა და, ისე როგორც უფროსი ვაჟები დაითხო-  
ვა, ეს მესამე ვაჟიც გააგდო სახლიდან.

თერძი ახლა მარტო დარჩა ამ საძაგელი თხის ამარა.

დილა რომ გათენდა, თერძმა თხას უთხრა:

— ჩემო ბეკეკა, ახლა მე თვითონ წაგიყვან საბალახოდ და ისეთ  
მდელოში გაგიშვებ, რომ მეტი ჭამისაგან მუცელი გაგისკდეს.

მართლაც თერძმა თხა საბალახოდ წაიყვანა და ქორფა ბალახით  
აბიბინებულ მდელოზე გაუშვა. თხას მზის ჩასვლამდე თავი მალლა არ  
აუღია, ისე ძოვდა. შებინდებისას თერძმა ჰკითხა:

— ბეკეკა, დღეს ხომ იჯერე გული ქორფა ბალახით?

— ისე გამოვძეხი, რომ ალბათ ერთი კვირა ჭამა აღარ მომინდებაო,  
— მიუგო თხამ.

გახარებულმა თერძმა თხა შინ წაიყვანა და ბოსელში დააბა. ის იყო  
უნდა გამოსულიყო, რომ ძველებურად ჰკითხა თხას:

— გულს ხომ არ გაკლია, დღეს ხომ საკმარისად ძოვე?

თხა ტყუილის ლაპარაკს ისე იყო მიჩვეული, რომ ანგარიშმიუცემლად  
შესჩივლა:

— როგორ უნდა გავმძღარიყავი, როდის იყო, მლაშობზე ბალახი  
ამოდითოდა?..

ამის გაგონებაზე თერძს ელდა ეცა. ახლა კი მიხვდა, რომ ეს საძაგელი თხა პირველივე დღიდან ცრუობდა და მამას უდანაშაულო ვაჟები სახლიდან გააძევებინა.

— კმარა! — შეუტია თხას გამწარებულმა თერძმა, — მე შენ გიჩვენებ სეირს, შე სულმდაბალო, შე მატყუარა, შენა. შვილები სახლიდან გამაგდებინე, ვინ იცის, იქნებ სადმე უდაბნოში ჩაიხოცნენ. ახლა ისეთ დღეს დაგაყრი, რომ ვიდრე ქვეყანა არსებობს, შენი ამბავი თაობიდან თაობაში ზღაპრად გადადიოდეს.

მეორე დღეს, დილაადრიან თერძმა თხას ქერო წყლით დაუღობო, მერე სამართებელი აიღო, მოსდგა და თავი ისე გადაპარსა, რომ ერთი ღერი ბალანი აღარ დაუტოვა. მერე მათრახს სტაცა ხელი, და ერთი თუ ორი, ერთი თუ ორი, უთაქა და უთაქა. თხა აქეთ-იქით აწყდებოდა და საზარელი ხმით ბლაოდა. ბოლოს გამწარებულმა თხამ პალო მოთხარა და ისე მოკურცხლა, თითქოს ასი ფეხი გამობმოდეს.

საბრალო თერძს ვაჟიშვილებიც დაეფანტნენ და თხაც გაექცა. დარჩა მარტოდმარტო გამოცარიელებულ სახლსა და დუქანში. მთელ დღეს დარდსა და ნაღველში ატარებდა და შეშლილივით ბუტბუტებდა მწარე ფიქრში ჩაფლული; საღამოს მიწვებოდა კუთხეში და საცოდავად ჩაიძინებდა.

ახლა თერძის ვაჟებს დავუბრუნდეთ და ვნახოთ, მათ რაღა დაემართათ.

ჯერ უფროსი ვაჟის ამბავი მოისმინეთ. მამამ რომ სახლიდან გააგდო ვაჟი, ცოტა იარა თუ ბევრი, ერთ უცხო ქალაქს მიადგა და იქ ერთ მექვაბეს შეგირდად მიეხარა. საქმეს გულისყურით მოეკიდა, ოსტატს პატივისცემითა და მოკრძალებით ექცეოდა და გულმოდგინედ სწავლობდა. ბოლოს, როდესაც ქვაბის გამოჭედვისა და მოკალვის ხელობაში ზედმიწევნით გაიწაფა, ოსტატს სთხოვა, შინ წავალო.

— ეგრე რატომ მიიჩქარიო? — ჰკითხა ოსტატმა.

— მამაჩემის და ჩემი ძმების ჯავრი მაქვს, — მიუგო ვაჟმა, — ხელზე გემთხვევი მადლობის ნიშნად და ამ ქალაქიდან უნდა წავიდეო.

— რა გაეწყობა, — მიუგო ოსტატმა, — სადაც გსურს, იქ წადი, რაკი შენით კმაყოფილი ვარ, აი ამ ქვაბსა და ქაფქირს გისახსოვრებ, ოღონდ იცოდე, რომ თვალისჩინივით უნდა გაუფრთხილდეო.

— განა ისეთი რა ქვაბია, რომ თვალისჩინივით გავუფრთხილდეო?

— გაიკვირვა ვაჟმა.

— ამ ქვაბსა და ქაფქირს, — დაარიგა ოსტატმა, — ასეთი თვისება აქვს: როცა კი ქაფქირს ქვაბს შემოჰკრავ და ეტყვი, საჭმელ-სასმელი გააჩინეო, რამდენი ხალხიც არ უნდა დაპატიჟო, ყველას დააპურებს. ქვაბიდან თეფშებით ფლავი და სხვა ნუგბარ-ნუგბარი კერძები ამოლაგდება და სტუმრების წინ სუფრას მოეფინება. სტუმარი რომ საჭმელს გაათავებს, თეფში ახტება და ქვაბში ჩახტება, კერძით აივსება და კვლავ სტუმრის წინ სუფრაზე გაჩნდება. ასე იქნება მანამდე, სანამ სტუმარი გვარიანად არ გამოძლება.

ვაჟმა ქვაბი და ქაფქირი გამოართვა, ოსტატს ხელზე ემთხვია და გახარებული გაუდგა გზას შინისაკენ. მიდიოდა და თან ფიქრობდა: მთელი ხალხი შრომობს და წელებზე ფეხს იდგამს, რომ ხმიადის ყუა იშოვოს და კუჭი ამოივსოს. მე კი, დიდებული ღმერთის წყალობით, ისეთი რამ მოვიპოვე, რომ მთელი ჩემი მოდგმა, შთამომავლობა და ნათესავ-მეგობრები მეორედ მოსვლამდე საზრდოთი უზრუნველყოფილი იქნებიან. ყველას ეყოფა თავზე საყრელად. ახლა, რაკი ასეთი ბედი მეწია, ყველაფერს აჯობებს, შინ დავბრუნდე და მამას ვახარო. საცოდავს, იმასაც ჩემსავით მოვენატრებოდი, ალბათ წყენაც დავიწყებული ექნებო.

ეს გაიფიქრა და ვაჟი სახლისაკენ მიმავალ გზას გაუდგა, ღამის გასათევად ერთ ქარვასლაში ჩამოხდა, ქარვასლას სახელად „მეჰმანქოში“\* ეწოდებოდა. მამის სახლი აქედან არცთუ ისე შორს იყო. ქარვასლაში მიღეთი ხალხი ირეოდა. მგზავრებს ბარგი კუთხეში მიეწყობთ, ცეცხლი გაეჩაღებინათ და ვახშმის თადარიგს შესდგომოდნენ.

ვაჟი განმარტოებით დაჯდა კუთხეში და ხმას არ იღებდა.

მგზავრებმა როცა ნახეს, ვაჟი უვახშმოდ რჩებოდა, შეებრაღათ და კერძი იმასაც მოუკითხეს:

— ღვთის გულისათვის, მიიწთვიო.

ვაჟმა იუკადრისა და უპასუხა:

— ვახშამს იმიტომ არ ვამზადებ, რომ პური არა მშია. მაგრამ, რაკი ასეა, თქვენ თვითონ აქეთ მობრძანდით და, რასაც კი მოისურვებთ, ყველაფრით უხვად გაგიმასპინძლებითო.

გაოცებულმა მგზავრებმა ჰკითხეს:

\* მეჰმანქოში სპარსულად სტუმრის მკვლელსა ნიშნავს.

— მაგ ცარიელი ხელებით როგორ უნდა გაგვიმასპინძლდეო?

— მოდით და თქვენ თვითონ ნახავთ, — თავმომწონედ მიუგო ვაჟმა.

მგზავრები ვაჟს შემოუსხდნენ. მან კი სუფრა გაშალა, ოსტატის ნასახსოვრებ ქვაბს ქაფქირი შემოჰკრა და ჩასძახა:

— გააჩინე ნუგბარ-ნუგბარი საჭმელებიო!

სუფრას რამდენი მგზავრიც უჯდა, ქვაბიდან სწორედ იმდენი თეფში ფლავი და სხვა საჭმელები ამოფრინდა და სტუმრების წინ მოეფინა. მგზავრები გემრიელად შეექცეოდნენ, ვიდრე კარგად არ შენაყრდნენ. თან ყველა გაოცებული იყო. ქვაბის ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა და ქარვასლის პატრონმაც შეიტყო.

ქარვასლის პატრონმა გადაწყვიტა, რაღაც არ უნდა დასჯდომოდა, ეს ქვაბი და ქაფქირი ხელში ჩაეგდო. როცა ყველამ დაიძინა, ვაჟი მოძებნა. დაქანცულს ქვაბი და ქაფქირი კედელთან მიეწყო და გემრიელად ხვრინავდა.

ქარვასლის პატრონი გამობრუნდა, საკუჭნაოდან იმავე ზომის ქვაბი და ქაფქირი გამოიტანა და კედელთან დააწყო. ვაჟის ქვაბი და ქაფქირი კი წაიღო და საკუჭნაოში დამალა.

გათენდა თუ არა, მგზავრებმა თავიანთი ბარგი-ბარხანა აიღეს და გზას გაუდგნენ. ვაჟმაც შინისაკენ გასწია. იმავე დღეს, საღამო ჟამს თავის ქალაქს მიადგა, ქალაქში მისვლის უმაღლეს მამის სახლს მიაშურა, კარზე დააკაკუნა და შევიდა.

თერძმა რომ თავისი უფროსი ვაჟი დაინახა, თვალებიდან სიხარულის ცრემლი გადმოსცვივდა, ვაჟი გულში ჩაიკრა და ღმერთს მადლი შესწირა შვილის დაბრუნებისათვის.

მერე თერძმა თავის ვაჟს გამოჰკითხა:

— აბა, შვილო, მიაშბე, ამ ხნის განმავლობაში სად იყავი, რას აკეთებდი ან რა უცხო საჩუქარი მომიტანეო?

— მავან ქალაქში ვიყავი, — დაიწყო ვაჟმა თავისი თავგადასავლის თხრობა, — ქვაბის კეთება და მოკალვა ვისწავლე. საჩუქრად კი ერთი ქვაბი და ქაფქირი მოგიტანეო.

— მექვაბეობა კარგი ხელობაა, — მიუგო თერძმა, — ლუკმაპურს ყოველთვის იშოვი, მაგრამ ქვაბი და ქაფქირი რისი მაქნისია, ნუთუ სხვა უკეთესი ვერაფერი მონახე?

— ეს ქვაბი და ქაფქირი ერთ ქვეყნად ღირს. — მიუგო ვაჟმა, — უბრალო ქვაბი არ გეგონოს, ქაფქირს რომ შემოკრავ და ეტყვი, ესა და ეს კერძი მომართვით, მყისვე გაგიჩენს. თუ არა გჯერა, აი, ხვალ მთელი ჩვენი ნათესაობა სადილად მოიპატიჟე და მაშინ გიჩვენებ ამ ქვაბის ძალასო.

გახარებულმა თერძმა მეორე დღეს მთელი თავისი ნათესაობა სადილად დაპატიჟა.

მართლაც მეორე დღეს, ნაშუადღევს, ნამაზის შემდეგ თერძის სახლში სტუმრები შეიკრიბნენ. მასპინძელმა დიდი სუფრა გაშალა. ვაჟმა — თავისი ქვაბი და ქაფქირი გამოიტანა, ქვაბს ქაფქირი თავმომწონედ შემოჰკრა და ჩასძახა:

— გააჩინე ნუგზარ-ნუგზარი საჭმელები!

მაგრამ... თქვენც არ მომიკვდეთ, არავითარი საჭმელი იქ არ გამოჩენილა.

— ოჰო, ეს რა ამბავია? — იფიქრა ვაჟმა და უფრო მაგრად დაუშინა ქაფქირი.

მაგრამ ყველაფერი ამათ აღმოჩნდა, ქვაბი უძრავად ეგდო.

ვაჟი თვითონაც ხომ შერცხვა, მამამისიც გააწბილა. სტუმრებმა მასხრად აიგდეს, სიცილი დააყარეს და დაიშალნენ.

ვაჟმა ბევრი იფიქრა, იფიქრა და მიხვდა, რომ გრძნეული ქვაბი და ქაფქირი ქარვასლის პატრონმა შეუცვალა.

ახლა მეორე ძმის ამბავი მოისმინეთ.

შუათანა ძმა, თერძმა რომ სახლიდან გააგდო, წავიდა და ერთ მეწისქვილეს დაუდგა შეგირდად. საქმეს გულისყურით მოეკიდა, მეწისქვილეს პატივისცემითა და მოკრძალებით ექცეოდა და მოწონება დაიმსახურა. ხანი რომ გავიდა, ვაჟმა მეწისქვილეს სთხოვა:

— თუ ნებას მომცემ, მამის სანახავად წავალ, დიდი ხანია არ მინახავს და ძალზე მომენატრაო.

— კეთილი, — მიუგო მეწისქვილემ, — როგორ დაგაკავებ, რაკი შენით კმაყოფილი ვარ, ამიტომ ერთ სახედარსაც გიფეშქაშებ, ოღონდ იცოდე, ფეხებში არ სცემო და არც რაიმე ტვირთი აჰკიდო.

— ასეთი სახედარი რისი მაქნისიაო? — ჰკითხა გაოცებულმა ვაჟმა.

— ჰმ... შენ რა გაგეგება, ეს ისეთი სახედარია, რომ ოქროს ფულებს ჰყრის.

— როგორ? — გაიკვირვა ვაჟმა.

— როგორ და ასე, — ასწავლა მეწისქვილემ, — მიწაზე ფარდას გაფენ, შუაში სახედარს დააყენებ, წინა ფეხს მაღლა აუწევ და სამჯერ შეულოცავ: „აჩი, მაჩი, ლათარაჩი“. სახედარი ყროყინს დაიწყებს — და პირიდან ოქროები გადმოსცვივდება.

— მუცელში ხაზინა ხომ არ უდგას? — ჰკითხა გაკვირვებულმა ვაჟმა.

— მაგისი რა მოგახსენო, — მიუგო მეწისქვილემ, — მაგრამ ამ სახედარს ასეთი თვისება კი აქვს, მორჩა და გათავდა!

ვაჟს ძალიან გაუხარდა, მეწისქვილეს მადლობის ნიშნად თავი და წვერი დაუკოცნა, სახედარი წინ გაიგდო და სახლისაკენ გზას გაუდგა.

ცოტა იარა თუ ბევრი იარა, ისიც „მეჰმანქოშის“ ქარვასლას მიადგა. ეზოში შევიდა, პალო დაასო, სახედარი ზედ გამოაბა და მერე მგზავრებთან მასლაათი გააბა. ვახშმობის დროს თავი გამოიღო, მგზავრები დაპატიჟა, უთხრა:

— ვახშმად ყველა ჩემი სტუმრები ხართ, ქარვასლის პატრონს შეუკვეთეთ, ვისაც რა გნებავთო.

ვაჟი იმათ პასუხს არ დაელოდა, თვითონ მოიხმო ქარვასლის პატრონი და შეუკვეთა:

— უბრძანეთ, მოიტანონ შემწვარი ქათმები, ერთი გობი ერბოკვერცხი, თაფლი, ერთი თონე პური, ჩემს ხარჯზე გაშალონ ამ მგზავრებისათვის სუფრა!

ქარვასლის პატრონმა იმ წუთშივე მოატანინა ყველაფერი, თან გაკვირვებული იყო, ეს ახალგაზრდა, ამოდენა ხარჯს რომ ეწევა, ნეტავი ვინ არისო.

ნავახშმევს, დაძინების წინ, ქარვასლის პატრონმა ვაჟს ანგარიშის გასასწორებლად ფული მოსთხოვა.

— ერთი წუთით აქ დამიცადე, — სთხოვა ვაჟმა, — ახლავე მოგიტან, რაც გერგებაო.

ვაჟი წამოდგა, სახედარი განზე გაიყვანა, ჩუმად ფარდაგი გაშალა, ლოცვა წარმოთქვა და რამდენიმე აშრაფი დააყრევინა. მერე ფული წამოიღო და ქარვასლის პატრონს ჩააბარა.

ვაჟს ეგონა, ვერავინ გაიგო სად წავიდა ან რა გააკეთა, ცბიერი ქარვასლის პატრონი კი თურმე მის ყოველ ნაბიჯს უთვალთვალავდა.

შუადამისას, როდესაც ყველას მიეძინა, ქარვასლის პატრონმა თავ-  
ლიდან ერთი სახედარი გამოიყვანა. იგი ისე ჰგავდა ვაჟის სახედარს, რომ  
ადამიანი ერთიმეორისაგან ვერ გამოარჩევდა. ვაჟის სახედარი აუშვა და  
ბოსელში დააბა, მის ნაცვლად კი თავისი სახედარი დაუტოვა.

დილით მგზავრები წამოიშალნენ და წავიდ-წამოვიდნენ.

ვაჟიც გაუდგა გზას.

იმ დღესვე, საღამო ჟამს, მამის სახლს მიაღწია. მამა და უფროსი ძმა  
მხიარულად გამოეგებნენ და დიდად გაიხარეს.

თერძმა შუათანა ვაჟსაც ჰკითხა:

— ამ ხნის განმავლობაში სად იყავი, რას აკეთებდი ან რა უცხო  
საჩუქარი მომიტანეო?

— მავან ალაგას ვიყავი, — მიუგო ვაჟმა, — მეწისქვილეობა ვის-  
წავლე და საჩუქრადაც ერთი სახედარი მოგგვარეო.

— სახედარი რა უცხო საჩუქარია? — უთხრა მამამ, — ისეთი რამ  
უნდა მოგერთმია, რაც ამ მხარეში ძვირად მოიპოვებაო.

— ეს ჩვეულებრივი სახედარი არ გეგონოს, — კვეხნით მიუგო ვაჟ-  
მა, — აი, ხვალ მთელი ჩვენი ნათესაობა დაპატიჟე და ამ სახედრის ღირსე-  
ბას მაშინ გაიგებო.

მეორე დღეს თერძმა თავისი ნათესავები დაპატიჟა. დიდი და პატარა  
შეგროვდა. ვაჟმა დაიწყო თავისი სახედრის ქება-დიდება. მერე შუა ეზოში  
ფარდაგი გაშალა, სახედარი ზედ შეაყენა რის ვაი-ვაგლახით, წინა ფეხი  
მალლა აუწია და მედიდურად წარმოსთქვა:

— „აჩი, მაჩი, ლათარაჩი“!

მაგრამ ყველაფერი ამათ აღმოჩნდა. სახედარმა არც ყროყინი დაიწყო  
და ოქროების დაყრაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

ვაჟი სირცხვილისაგან დაიწვა, მამა აილეწა, ნათესავებმა სიცილი  
დააყარეს და დაიშალნენ.

ვაჟი მიხვდა, რომ სახედარი ქარვასლის პატრონმა შეუცვალა.

ახლა მესამე ძმის ამბავიც მოისმინეთ.

მამამ რომ სახლიდან გააძევა, წავიდა და ერთ ქალაქში ხარატს მიე-  
ბარა შეგირდად. რაკი ხარატობა ხელობის მეტ დახვეწილობასა და სრულ-  
ყოფას მოითხოვს, ამიტომ ძმებზე უფრო მეტხანს მოუხდა ოსტატთან დარ-  
ჩენა. ამ ხნის განმავლობაში, იმ ვილაიეთიდან ჩამოსული ხალხი სადაც

თერძი ცხოვრობდა, ვაჟს მოინახულებდა ხოლმე და უყვებოდნენ, რაც მის ორ ძმაზე გაეგონათ. ისიც უამბებს ქარვასლის პატრონმა მის ძმებს რა საქმე დამართა.

ერთ მშვენიერ დღეს, ხარატის ხელობა რომ კარგად აითვისა, ვაჟმა ოსტატს თავი მდაბლად დაუკრა და მოწიწებითა და მოკრძალებით უთხრა:

— ოსტატო, გთხოვ, შინ გამიშვა, მამა მომენატრა, უნდა წავიდე და ვინახულო, ერთხელ მაინც კიდევ ვიხილო, ვიდრე თვალები სამუდამოდ არ დახუჭვია.

— წადი, შვილო, ნება მომიცია, — მიუგო ოსტატმა, — დაუზარელი მოწაფე იყავი და ვალში არც მე დაგრჩები. სამაგიეროდ ერთ ტომარას და შიგ გამოხვეულ კომბალს გისახსოვრებო.

— კომბალი რისი მაქნისიაო? — გაიკვირვა ვაჟმა.

— ჰმ, კომბალი რისი მაქნისიაო? — გაიმეორა ოსტატმა, — მთელი ქვეყანა რომ შენ გეკუთვნოდეს და ეს კომბალი არა გქონდეს, მაშინაც თავს უშიშრად ვერ იგრძნობ. ეს კომბალი ნამდვილი გაჭირვების ტალკვესია. ამითი, როგორი მტერიც არ უნდა გყავდეს, მოიგერიებ; თუ ვინმემ დაგჩაგრა ან ქონება წაგართვა და ნებით აღარ გაძლევს, ძალით კი ვერ ერევი, აიღებ ამ ტომარას, თავს მოხსნი და ჩასძახებ:

— „კომბალო, ამოხტი ტომრიდან!“ კომბალი მყისვე ტომრიდან ამოხტება და შენს მტერს, შენ მოდავეს დღე დაადგება; დაეტაკება და კეფაში ისე წაუშენს, რომ ძვალსა და რბილს გაუერთიანებს.

ვაჟმა ოსტატს კომბალი გამოართვა და გახარებული გაუდგა გზას სახლისაკენ.

მისი ძმებივით ესეც „მეჰმანქოშის“ ქარვასლაში ჩამოხდა. ერთ კუთხეში მოიკეცა და ტომარა და კომბალი წინ დაიწყო. ვაჟმა მასლაათი გააბა და გარშემო ხალხი შემოიკრიბა. ნახა, ქარვასლის პატრონიც იმათთან იყო, განგებ ხმას აუწია და დაიწყო:

— ეი, ხალხო, რომ იცოდეთ ამ ქვეყნად რამდენი იშვიათი საგანი და საოცარი რამ არსებობს, გაგიკვირდებათ. ამბობენ, თურმე ისეთი ქვაბი და ქაფქირი არსებობს, რომ, რანაირი კერძიც არ უნდა ინატრო, მაშინვე გაგიჩენს. ის კი არა, თურმე ისეთი სახედარიც ყოფილა, რომ აყროყინდება თუ არა, პირიდან ოქროს აშრაფები სცვივა. მართალი გითხრათ, ქვაბი და სახედარი საკუთარი თვალით კი არ მინახავს, მხოლოდ გამიგონია, მაგრამ ის, რაც მე ამ ტომარაში მაქვს, კიდევ უფრო საოცარი რამაა.

ვაჟმა ის კი აღარ თქვა, ტომარაში რა ჰქონდა გამოსვეული.

ქარვასლის პატრონი გამხიარულდა. იფიქრა, რაკი ის ორი რამ — ქვაბი და სახედარი ვიშოვე, რადაც არ უნდა დამიჟდეს ეს მესამეც ხელში უნდა ჩავიგდო.

დაელოდა, ვიდრე ყველა დაიძინებდა. მერე ვაჟს თავს წაადგა და ყური მიუგდო. ნახა, ვაჟს ტომარა თავქვეშ ამოედო და ტკბილად ეძინა. გაუხარდა. ფრთხილად დაიხარა, ტომარას ხელი წაატანა, უნდოდა, თავიდან გამოეცალა, მაგრამ...

თურმე ვაჟს ეღვიძა და თავი განგებ მოემძინარებინა. წამოხტა, ტომარას თავი მოხსნა და ჩასძახა:

— კომბალო, ტომრიდან ამოხტი!

კომბალი მყისვე ამოხტა და ქარვასლის პატრონს დაეძგერა. ვაჟი იდგა და აგულიანებდა, ჰკა მაგასაო.

ქარვასლის პატრონმა დაუწყო ხვეწნა-მუდარა:

— შევცდი, მაპატიე, შენი არა მინდა რაო, — მაგრამ მის ხვეწნას ყური ვინ ათხოვა!

— გასწი, — შეუტია ვაჟმა, — და ახლავე აქ გააჩინე ის ქვაბი, ქაფქირი და სახედარი, ჩემ ძმებს რომ მოჰარეო.

— რა ქვაბი და ქაფქირი, ან რომელ სახედარს მედავებო? — განგებ გაიკვირვა ქარვასლის პატრონმა.

ვაჟმა კომბალი კიდევ უფრო წააქეზა.

ქარვასლის პატრონმა რომ დახედა, კომბალი აღარ ინდობდა, ვაჟს შეეხვეწა:

— ოღონდ ეს კომბალი გააჩერე და ახლავე დაგიბრუნებ ყველაფერსო.

— ჩქარა! — შეუტია ვაჟმა, — თორემ...

ერთი სიტყვით, ვაჟმა ქარვასლის პატრონს სახედარი და ქვაბი გამოართვა და იმავე ღამეს გაუდგა გზას სახლისაკენ. კიდევაც გათენდა და სახლსაც მიაღწია. კარზე დააკაკუნა. თერძი გამოეგება და თავისი უმცროსი ვაჟი რომ იხილა, მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ძმებსაც ძალიან გაუხარდათ, სახლში შეიყვანეს, საუზმე მოართვეს და გარს შემოუსხდნენ.

მამამ ჰკითხა:

— აბა მოყევი, მიაბზე, შვილო, სად იყავი, რას აკეთებდი, ან რა უცხო საჩუქარი მომიტანე?

— ამა და ამ ქალაქში ვიყავი, — დაიწყო ვაჟმა, — ხარატობას ვსწავლობდი. საჩუქრად კი ერთი ძვირფასი ნივთი მოგიტანეო.

— რა არის ეგ ძვირფასი ნივთი? — ჰკითხა თერძმა სულმოუთქმელად.

— კომბალი! — მიუგო ვაჟმა.

— კომბალი? — გაიკვირვა თერძმა, — განა მე ვერ მოვახერხებდი, ხისათვის ტოტი შემეჭრა და კომბალი გამომეთალა, რომ შენ ცხრა მთას იქიდან არ გეთრიაო.

— შენ რომ გინახავს, ეს ისეთი კომბალი არ გეგონოს. სწორედ ამის წყალობით ამოვიგე ქარვასლის პატრონისაგან ჩემი ძმების ქვაბი და სახედარიო. — მიუგო ვაჟმა.

შემდეგ ვაჟი თავიდან ბოლომდე დალაგებით მოჰყვა თავის თავგადასავალს.

მამასა და ძმებს ძალიან გაუხარდათ. გადაწყვიტეს, ამ ნივთების ძალა ახლა მაინც ერგებინათ ნათესავ-მეგობრებისათვის და დაერწმუნებინათ ისინი თავიანთ სიმართლეში.

მეორე დღეს, შუა დღისათვის თერძმა კვლავ მიიპატიჟა თავის ოჯახში სადილად ნათესავ-მეგობრები. ყველა რომ შეგროვდა, უფროსმა ვაჟმა ქვაბი და ქაფქირი გამოიტანა და სტუმრებს უხვად გაუმასპინძლდა ნუგბარ-ნუგბარი საჭმელებით. ამის შემდეგ მეორე ძმამ ფარდაგი გაშალა, ზედ სახედარი შეაყენა, ოქროს აშრაფები დააყრევინა და სტუმრებს დაურიგა.

ერთი სიტყვით, შუა ღამემდე ღვინობდნენ და მხიარულობდნენ. მეორე კი წამოიშალნენ და სახლებისაკენ გასწიეს.

მეორე დღეს, რომ მოსაღამოვდა, თერძი და მისი ვაჟები კერას შემოუსხდნენ და ტკბილად ჭკუჭკუკებდნენ. უფროსმა ვაჟმა მორიდებით ჰკითხა თერძს:

— მამიკო, ამ სახლში ყველაფერი ძველებურად დამხვდა, მაგრამ ის ჩვენი თხა რაღა იქნაო?

თქვენ რაღა დაგიმალოთ და, თერძს თავისი ვაჟების შერცხვა. თავი არ აუწევია, ისე უპასუხა:

— ის სულმდაბალი თხა მატყუარა არ გამოდგა?! მაგრამ სამაგიეროც საკადრისი გადავუხადე, თავი გადავხოტრე და ცემით სიქა გავაცალე.



გამწარებული გაიქცა. რამდენიმე ხნის მერე შევიტყვე, რომ უდაბნოში გადახვეწილა. იქ მელიის სორო უნახავს, შიგ შემძვრალა და მოუკალათია. თურმე მელია რომ დაბრუნებულა, დაუნახავს, სოროდან ორი მოელვარე თვალი მოჩანდა. მელიას შეშინებია და რაც ძალი და ღონე ჰქონდა უკან გაქცეულა. გზაში დათვი შეხვედრია და უკითხავს:

— მელია ბატონო, ეგრე საით მიგეჩქარებო?

— მეც არ ვიციო! — უპასუხია მელიას, — ნადირობიდან რომ დაგბრუნდი, ჩემს სოროში რაღაც საკვირველი და საოცარი ცხოველი დამხვდა, შემეშინდა და გამოვიქეციო.

— დაბრუნდი, მეც წამოგყვები და სოროდან გამოვაძევოთ ის რაღაცა მხეციაო, — დაუიმედებია დათვს.

მართლაც დაბრუნებულან. მელიის სოროსთან მისულან, მაგრამ დათვსაც შეშინებია. ორივე გამოტრიალებულა და უკან გამოქცეულა. გზაში ერთი ფუტკარი შეხვედრიათ. გაქცეული მელია და დათვი რომ დაუნახავს, გაუჩერებია და უკითხავს, ეგრე კისრისტეხით სად გარბიხართო.

მელიას და დათვს ფუტკრისათვის ყველაფერი დაწვრილებით უამბენიათ.

— დაბრუნდით, წავიდეთ და მე ამოვიყრი იმის გულის ჯავრსაო, — დაუმშვიდებია ფუტკარს.

— ჩვენ, ამოდენა მხეცებს, შეგვეშინდა და იმ უცხო ცხოველს ვერაფერი გავუბედეთ, შენ რა უნდა დააკლო მაგ ერთი ციცქნა ბუზმაო, სიცილი დაუყრიათ ფუტკრისათვის მელიასა და დათვს. ფუტკარს პასუხად უთქვამს:

წიწაკას ნუ ეხუმრები, პატარაა და მცირეო,  
გასტეხე, პირში ჩაიდუ და მერე გაიციინეო!


ერთი სიტყვით, გამობრუნებულა ფუტკარი და მელიის სოროსაკენ გაუწევია ბზუილ-ბზუილით; მელია და დათვიც უკან გაპყოლიან გულის კანკალით და სოროს პირას დასკუბულან.

ფუტკარი სოროში შეფრენილა, ჯერ ბზუილ-ბზუილით თხისთვის გარს შემოუვლია, მერე ზედ მოპარსულ ქეროზე დასცხრომია და მაგრად ჩაუსვამს ნესტარი. თხას თავზე თითქოს ცეცხლი წაეკიდაო, დაფეთებული გამოვარდნილა სოროდან და საზარელი კიკინით გაჭრილა უდაბნოში. მას შემდეგ არავინ იცის იმ საძაგელ თხას რა ბედი ეწია.

თხის ამბავზე ვაჟებმა გულიანად გადაიხარხარეს.

— რაც იყო, იყო, — თქვა თერძმა, — მე უკვე ჩემი დრო მოვჭამე.  
ალბათ ჩქარა ჩემი მზეც ჩაესვენება. თქვენ კი შვილებო, ამ კომბლის თვი-  
სება ნურასოდეს დაგავიწყდებათ.

ჭირი იქა, ლხინი აქა,  
ქატო იქა, ფქვილი აქა.






## პარბი და ურბი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი სულგრძელი, პატროსანი და გულმართალი კაცი, რომელსაც ვარვი ერქვა.

ერთ მშვენიერ დღეს ვარგმა მოგზაურობა გადაწყვიტა. რა გაეწყობა, ჩვენს ძველებს აკი უთქვამთ: უქმად ჯდომას, უქმად ხეტიალი სჯობიაო! ვარგმა ფეხმალი ცხენი იყიდა, მგზავრობის თადარიგი დაიჭირა, ხურჯინში რამდენიმე დღის საგზალი და საჭირო საგნები ჩააწყობ, ცხენს გადაჰკიდა, ღმერთი ახსენა და გზას გაუდგა.

ქალაქის ალაყაფის კარს გასცილდა თუ არა, უცხო მხედარი დაინახა, დაეწია, სალამი მისცა და მოიკითხა. ისიც მოგზაური გამოდგა. გაუხარდა ჩვენს ვარგს ამხანაგი რომ იშოვა, გზაში ხმის გამცემი მაინც მეყოლებათ და ღამესაც იოლად გავათევთ ერთადო.



ცოტა გზა რომ გაიარეს, ვარგმა მხედარს ჰკითხა, რა გქვიაო. როცა მხედარმა უპასუხა ურგიო, ძალიან გაუკვირდა და უთხრა:

— ურგი რა სახელია, ეგ რა ცუდი რამ გრქმევიაო?!

— რას ვიზამ, — მიუგო მხედარმა, — დედ-მამამ ეს დამარქვა და ხალხიც ასე მიძახისო...

ახლა ურგი მოუბრუნდა:

— კარგი, ჩემ სახელზე ხომ ვილაპარაკეთ, ახლა ერთი ის მითხარი, შენ რაღა გქვიაო?

— ვარგიო, — მიუგო მან.

მგზავრები ერთ ხანს მღუმარედ მიდიოდნენ. ცოტა იარეს თუ ბევრი, ერთ წყაროს მიადგნენ, წყარო გუნდად ამოსული ხეების ქვეშ ამოჩუხჩუხებდა. ხეების ჩრდილს შეხედეს, — უკვე ჩრდილოეთისაკენ შებრუნებულიყო. მხედრები მიხვდნენ, რომ შუადღე იდგა.

— რა მშვენიერი ადგილია, მოდი, ჩამოვხდეთ და პური ვჭამოთო, — უთხრა ვარგმა ამხანაგს.

ურგი მაშინვე დაეთანხმა და ცხენებიდან ჩამოხდნენ.

— ახლა, რაკი ერთმანეთს დავემგზავრეთ და გზაც ერთი გვაქვს, მეგობრობაც უანგარო გვმართებს. მოდი, ჯერ შენი საგზალი ამოალაგე და როცა ხორაგი გაგითავდება, მერე ჩემ საგზალს შევექცეთო, — დაიწყო ურგმა.

— კეთილი, — დაყაბულდა ვარგი, საჭმელ-სასმელი ამოალაგა და მადიანად შეექცნენ.

გადიოდა დღეები. ყოველთვის, როდესაც ისვენებდნენ, ვარგი სუფრასა შლიდა და ამხანაგს პურიტა და შეჭამანდით უმასპინძლდებოდა. ბოლოს და ბოლოს, მას ხორაგი შემოეღია, მაგრამ მერე რა, ვარგი ამაზე არა წუხდა, ახლა ხომ ურგის ჯერი იყო? მას ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ამიერიდან ურგი მიიპატიჟებდა თავის სუფრაზე სადილ-ვახშმად, როგორც ეს კარგ ვაჟკაცს შეშვენის. მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, ასე არ მოქცეულა. მეორე დღესვე, როგორც კი ვარგს სანოვაგე გამოეღია, სადილობის დროს, ცხენებიდან რომ ჩამოხდნენ, ურგი განაპირდა, დასაპატიჟებელი ერთი სიტყვაც არ დასცდენია, ვარგს ზურგი შეაქცია და ჭამას შეუდგა.

მეორე და მესამე დღესაც ასე მოიქცა. ვარგმა ერთ ხანს ითმინა, მაგრამ, ბოლოს, შიმშილისა და წყურვილისაგან ილაჯი რომ გაუწყდა, ამხანაგს უსაყვედურა:

— განა ასეთი იყო ჩვენი პირობა, ჩემო ძვირფასო მეგობარო?

— რეებსა როშავ, შენს ნათქვამს ყურშიც არ შევუშვებ. მე ჭკვიანი კაცი ვარ, ყველაფერი დაანგარიშებული მაქვს, საგზალი რომ გაგიზიარო, მალე გამითავდება და მეც შენსავით მშიერი ხომ არ დავრჩებიო?! — უკმეხად მიახალა ურგმა.

ვარგი დაღონდა.

— რაკი ასეა, ჩვენი გზებიც უნდა გაიყაროსო, — ეს უთხრა, ცხენს თავი მოსწია და გზიდან გადაუხვია.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მზის ჩასვლისას ვარგი ერთ წისქვილს მიაღვა. ცხენი საძოვრად გაუშვა, ხურჯინი ზურგზე მოიგდო და წისქვილში შევიდა ღამის გასათევად. იქაურობა მიათვალ-მოათვალიერა: კუთხეში ერთი დიდი ლოდი ეგდო, ლოდს უკან ორმო მოჩანდა. ლოდს გადააღაჯა, ორმოში ჩავიდა, ხურჯინი თავქვეშ ამოიღო, მიწვა და ტკბილად დაიძინა.

შუალამისას ვარგი რაღაც უცნაურმა ხვნეშა-ფრუტუნმა გამოაღვიძა. თავი წამოსწია და... ვაი, საბრალო მის თავს! ეს რა დაინახა: წისქვილში ლომი, ვეფხვი, მგელი და მელა შემოსულიყვნენ. ჯერ ძალიან შეეშინდა, მაგრამ მერე თანდათან მხნეობა მოიკრიბა, დამშვიდდა თავისი წინდახედულობით კმაყოფილი, რომ ლოდს უკან ორმოში დაიმალა.

უცბად ლომმა ამოიხროტინა:

— მეგობრებო, ადამიანის სუნი მცემსო!


— რას ამბობ, აქ შემოსვლას აბა რომელი ადამიანი გაბედავდაო? — გაიკვირვა ვეფხვმა.

— ასეთ ადგილებში სიარულს მაგარი გული უნდაო, — დაუმატა მგელმა.

— ადამიანი არასგზით იმ შენობაში არ დაიძინებს, რომლის ქვეშაც წყალი გაედინება, — წკავწკავებდა მელაკუდა, — აქ ადამიანის ჭაჭანებაც არ არის, გულდამშვიდებით იყავით და დავიწყოთ ამბების მოყოლაო.

— მეგობრებო! — დაიღრიალა ლომმა, — დაიწყეთ, აბა, ვინ რა საიდუმლო იცით?

— ამ წისქვილის თავზე ერთ დედალ-მამალ თავგს სორო აქვს გაკეთებული, — დაიწყო ვეფხვმა. — იგი ოქროს აშრაფებით აქვთ ავსებული. კარგად რომ შებინდდება, თავგებს ოქროს აშრაფები სოროდან ამოაქვთ, ძირს დააწყობენ და მთელი ღამე მალაყებს გადადიან. გათენება რომ მოატანს, ოქროს ფულებს ისევ თავიანთ სოროში მალავენო.



ვეფხვმა რომ ამბის თხრობა დაასრულა, ახლა მგელმა დაიწყო ყმუილ-ყმუილით:

— ამ ქვეყნის ფადიშაჰის ქალიშვილი ჰკუაზე შეირყა და დასნეულდა. ფადიშაჰმა გამოაცხადა: ვინც ჩემს ქალიშვილს მოარჩენს, ცოლად მას გავაყოლებ და ნახევარ სამეფოსაც ვუწყალობებო. რაც კი დუნიაზე ექიმი იყო, ყველა მიჰგვარეს, მაგრამ ვერავინ მოარჩინა, ვერაფერმა წამალმა ვერ არგო.

— მერედა რა მოარჩენს ხელმწიფის ქალიშვილსო? — ჰკითხა ლომმა.

— აქედან ნახევარი ფარსახის \* მანძილზე ერთი მწყემსის ფარეხია. მის ფარას დარაჯად ერთი მკვირცხლი და ავი ქოფაკი უდგას, რომელიც მწყემსს საკუთარ თავს ურჩევნია. იმ ქოფაკის ტვინი უებარი წამალია და ხელმწიფის ქალიშვილის მოარჩენა მხოლოდ იმით შეიძლებაო, — უპასუხა მგელმა.

მგელმა რომ დაასრულა, მელმა აწკავწკავდა:

— ამ წისქვილიდან ერთი ფარსახის დაშორებით ძველ ხელმწიფეთა სასახლის ნანგრევებია. იმ ნანგრევებში ძვირფასი განძია ჩაფლული. შვიდი ვეება დერგი სულ ოქროთი და მარგალიტებით არის საგსეო.

მხეცებმა ამბების მოყოლა დაასრულეს და წისქვილიდან გაძუნძულდნენ. ვარგი სასწრაფოდ ორმოდან ამოხტა და წისქვილის თავზე ავიდა, დაინახა რომ თავვებს მართლაც გაეწკაპებინათ ოქროს აშრაფები და ზედ ყირას გადადიოდნენ. ვარგი ქვას სწვდა, მოიქნია და ერთ მათგანს ფეხი მოსტეხა. მეორემ სოროსაკენ მოჰკურცხლა. ფეხმოტეხილი თავვიც უკან გაჰყვა კოჭლობ-კოჭლობით.

ვარგმა ოქროს აშრაფები ხურჯინში ჩაყარა და, ინათლა თუ არა, მწყემსის ფარეხისაკენ გაუდგა გზას. ცოტა იარა თუ ბევრი, ბოლოს მწყემსის ფარეხს მიადგა. მგლის ნათქვამი სწორი გამოდგა. მწყემსს ფარა გაეშალა, რომელსაც ერთი ბომბორა ქოფაკი დარაჯობდა.

ვარგი მწყემსთან მივიდა, მიესალმა, მოიკითხა, როგორც წესი და რიგია, და ჰკითხა:

— ძია, ამ ძაღლს ხომ ვერ მომყიდით?

— ვერა, ვერ შეველევ, — მიუგო მწყემსმა. — ეგ ჩემი მეგობარი და ამხანაგია, ჩემი ფარეხის და ავლადიდების ყარაული ეგ არის. აგერ რამდენი წელიწადია, რაც ერთგულად მემსახურებაო.

\* ფარსახი დაახლოებით შვიდი კილომეტრია.

— მართალია, მაგრამ მე ბევრ ფულს მოგცემ და რასაც მოისურვებ, ყველაფერს იყიდო, — არ ეშვებოდა ვარგი.

მწყემსს ფულის ხსენებაზე ტახში ჟრუანტელმა დაუარა და სულმა წასძლია:

— კარგი, ვთქვათდა შეველიე, მერედა რამდენს მომცემო?

— რამდენსაც დააფასებო, — მიუგო ვარგმა.

— ორმოცდაათ აშრაფს ვაფასებო.

— მომიციაო! — უთხრა ვარგმა და ფულიც მიუთვალა. ძალღი წამოიყვანა და ხელმწიფის სასახლისაკენ გასწია.

ქალაქში რომ შევიდა, ხალხი დაღონებული დახვდა. ერთ კაცს ჰკითხა:

— ძია, რატომაა ხალხი ასე დაღვრემილიო?

— რამდენიმე დღის წინ ხელმწიფის ასული ჭკუაზე შეირყა. რა არ იღონეს, მაგრამ ამოდ, არაფერმა გასჭრა. ამის გამო მთელ სახელმწიფოში გლოვა არის გამოცხადებულიო, — მიუგო უცნობმა.

— მერედა რატომ მკურნალს არ მოჰგვრიან?

— ისე შენ გაიხარე, როგორც ქალაქში ექიმი აღარ დასტოვესო, — უპასუხა ხალხმა.

— როგორ? — გაიკვირვა ვარგმა.

— როგორ და ხელმწიფის ასულს მთელი ქალაქის ექიმები მოჰგვარეს, მაგრამ ვერცერთმა ვერ მოარჩინა. ფადიშაჰი განრისხდა და მისი ბრძანებით ყველას თავები მოჰკვეთესო!

— ერთი მიმასწავლეთ ფადიშაჰის სასახლე, — სთხოვა ვარგმა იქ მყოფებს, — წავალ და მე მოვარჩენ იმ თქვენი ხელმწიფის ასულსო.

— რას ამბობ? თავი ხომ არ მოგძულეებია? რად გინდა საბრალო დედაშენს შავები ჩააცვა? ნუ წახვალო, — ურჩევდა ხალხი.

— თქვენ ხელმწიფის სასახლე მიმასწავლეთ და დანარჩენზე არხეინად ბრძანდებოდეთო, — თავმომწონედ უპასუხა ვარგმა.

ერთი სიტყვით, ვარგს მიასწავლეს ხელმწიფის სასახლე, მივიდა და გუშაგს უთხრა:

— ფადიშაჰს მოახსენეთ, ის ექიმი მოვიდა, რომელიც თქვენ ასულს განკურნავს-თქო.

გუშაგმა ეს ამბავი ფადიშაჰს მოახსენა.

ფადიშაჰმა ვარგი დაიბარა და უთხრა:

— შენ თუ ჩემს ქალიშვილს მოარჩენ, ცოლად მოგათხოვებ და ნახევარ სამეფოსაც გიწყალობებ. ოღონდ, თუ ტყუილად იკვებნი, იცოდე, თავს უნდა გამოეთხოვო.

— თანახმა ვარო, — მიუგო ვარგმა, — დაე, აღსრულდეს, რასაც დიდებული ფადიშაჰი ბრძანებს.

ერთი სიტყვით, ვარგმა ხელმწიფის ასული გასინჯა, აბანო გაახურებინა და ერთი თასი რძე მოითხოვა. თვითონ წავიდა, მწყემსისაგან ნაყიდ ქოფაკს თავი გაუპო, ტვინი ამოაცალა და წამოიღო. ტვინი რძეში აურია და ხელმწიფის ქალიშვილს ტანი მაგრად დაუზილა. ქალიშვილი თანდათან ჭკუას იკრებდა და ბოლოს სავსებით გამოერკვა. ვარგს რომ შეხედა, დარცხვენელმა წამოიძახა:

— მიწა კი დამეყაროს, ამ უცხო კაცს აქ რა უნდაო?!

ვარგის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა, ფადიშაჰთან მიიჭრა და მოახსენა:

— დიდებულო ხელმწიფე! თქვენი მსხვერპლი იყოს ეს უღირსი მონა, მიბოძეთ დანაპირები, თქვენი ქალიშვილი უკვე სავსებით განიკურნაო.

ხელმწიფე და მისი კარისკაცები სიხარულით ცას ეწივნენ და როგორც პირობა იყო, ქორწილის სამზადისს შეუდგნენ.

დიდი ქორწილი გადაიხადეს. ქალაქი საზეიმოდ მორთეს და შვიდი დღე-ღამე გაჩირადდნებული იყო. მეშვიდე ღამეს ხელმწიფის ასული ვარგს დაულოცეს, ღმერთმა ტკბილად შეგაბეროთო, და ნახევარი სამეფოც მას უწყალობეს.

რამდენიმე დღის შემდეგ ვარგი თავისი ამალით იმ ნანგრევებისაკენ გაემართა, რომელზეც წისქვილში მეღიამ ილაპარაკა. მიწა გაათხრევინა და დაფლულ განძს მიაგნო. ვარგმა ნანგრევების ადგილზე მშვენიერი სასახლე აიშენა, რომელშიც ნადირობის დროს ჩამოხდებოდა ხოლმე.

ფადიშაჰმა კი, რაკი ვაჟიშვილი არა ჰყავდა, ვარგი თავის მემკვიდრედაც გამოაცხადა.

ერთ მშვენიერ დღეს ვარგი რამდენიმე მონის თანხლებით ნადირობიდან ბრუნდებოდა. გზაზე შორიდან მომავალი უცხო მხედარი შემოხვდა. მხედარს კარგად დააკვირდა და იცნო ძველი თანამგზავრი ურგი.

ერთმანეთს რომ გაუსწორდნენ, ურგმა საკუთარ თვალებს არ დაუჯერა: ვარგი ოქრო-ვერცხლითა და მარგალიტებით შემკულ მოსართავებიან ქურანზე იჯდა, ოქროთი მოსირმულ ხალათსა და ყელიან წაღებში გამოწყო-

ბილი. უკან, ოციოდე ნაბიჯზე, ოქროსსარტყლიანი მონები მიჰყვებოდნენ. გაოცებულმა ჰკითხა:

— ძმობილო, ღმერთმა ქონება გიმრავლოს, მე არაფერი შემშურდება, მაგრამ მითხარი, ეგრე როგორ გამდიდრდიო?

ვარგმა ყველაფერი დაწვრილებით უამბო.

ურგი კინაღამ გულზე გასკდა შურით. ვარგს დაემშვიდობა და გამდიდრების იმედით შეგულიანებული უმაღლე იმ წისქვილისაკენ გაემურა, ვარგმა რომ ასწავლა.

უკვე ცხრა დღე გასულიყო მას შემდეგ; რაც ვარგმა წისქვილში ღამე გაათია, და მეათე ღამე დგებოდა. მხეცები კი თურმე ყოველ მეათე ღამეს იკრიბებოდნენ იმ წისქვილში.

ურგი წისქვილში შევიდა და ლოდს უკან ორმოში დაიმალა. შუალა-მემ რომ მოატანა, მხეცებიც შეიკრიბნენ. მოვიდნენ: ლომი, ვეფხვი, მგელი და მელია.

ლომმა კვლავინდებურად დაიჩივლა, ადამიანის სუნი მცემსო და მხეცებს მიუბრუნდა:

— აბა, ვინ რა საიდუმლო იცის, ან ახალი ამბის მოყოლა დაიწყეთო.

— საიდუმლო ამბებს თავი დავანებოთ, — მიუგო ვეფხვმა, — საკვირველი ამბავი მინდა მოგახსენოთ. გახსოვთ, ჩემი ნაამბობი თაგვებზე და ოქროს აშრაფებით სავსე სოროზე, თაგვები ღამღამობით რომ ამთალაგებდნენ და ზედ კოტრიალებდნენ ხოლმე? დღეს შევიტყვე, რომ ვილაცა წისქვილის თავზე ასულა და იმ საცოდავი თაგვებისათვის შავი დღე დაუყენებია. ერთისათვის ფეხი მოუტეხია და მათი ოქროს აშრაფები ერთიც აღარ დაუტოვებია!

ლომმა ეს რომ მოისმინა, სასტიკად განრისხდა.

— მართლაც, რაღაც უცნაური ამბავია, — ჩაერია ლაპარაკში მელაკუდა. გახსოვთ, ძველ ხელმწიფეთა სასახლის ნანგრევებში დაფლული განძის ამბავი რომ ვთქვი? მას შემდეგ ათ დღესაც არ გაუვლია და იმ ნანგრევებთან, გუშინ რომ გავიარე, მშვენიერი სასახლე დამხვდა წამოჭიმული.

— ცხადია, ვილაცამ ყური მოგვიგდო, — დაიდრიალა ლომმა, — წისქვილში შემოვედით თუ არა, აკი ვთქვი, ადამიანის სუნი მცემს-მეთქი?! თქვენ მაშინ არ დამიჯერეთ, ადამიანს აქ რა უნდაო. მე ახლაც კი მცემს ადამიანის სუნი. ადექი! — მიუბრუნდა ლომი მელიას, — შენ ყველაზე

მარჯვე და მოხერხებული ხარ. აბა ერთი კარგად დაათვალიერე აქაურობა, იმ კეთილშობილი ორფეხა არსების სუფევა ხომ არ გამოგვეპარა!

მელია წამოხტა და წისქვილს დაუარა. ლოდს უკან ორმოში დამალულ ურგს მიაგნო, ამოათრია და დაიძახა:

— მეგობრებო, მივაგენი! ადამიანს მივაგენი!

ურგს შიშისაგან გული გაუსკდა და სული განუტევა.

— ეჭვი, ვეფხვო! — დასჭექა ლომმა, — შენ გეხერხება სახეზე მკითხაობა, ერთი მაგ გვამს დააკვირდი და გამოიცანი, სიცოცხლეში როგორი კაცი უნდა ყოფილიყო.

ვეფხვი ურგის სახეს დააშტერდა და თქვა:

— უცხო ჯილაგისაა, მის არსებაში მისხალი სიკეთე და სათნოება არა ყოფილა!

— დალახვროს ალაჰმა, აქციეთ ლუკმა-ლუკმა! — გაისმა ლომის ბრძანება.

მხეცებმა ურგის გვამი ნაკუწ-ნაკუწად აქციეს და თითოს თითო ლუკმა ძლივს ერგო.

ასეთი იყო კეთილი კაცის ამბავი და ბოროტი კაცის აღსასრული.

ჩვენი ზღაპარიც დასრულდა. ალაჰმა თქვენი ჯავრის დასრულებაც ინებოს.





## ბერის ჩივი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი კაცი, რომელსაც ორი ვაჟი ჰყავდა—საადი და საიდი. იგი ყოველ დილით მინდორში მიდიოდა, ქაცვს აგროვებდა, ქალაქში ჩაჰქონდა, ჰყიდდა და აღებული გროშებით ოჯახს არჩენდა. გადიოდა დღეები, ერთ ხანს ასე წყნარად ცხოვრობდა, ვიდრე ცოლი გარდაეცვლებოდა და შვილებს დედინაცვალს მოჰგვრიდა.

ერთ მშვენიერ დღეს კაცმა, ჩვეულებისამებრ, ქალაქში ქაცვი ჩაიტანა და გაყიდა, აღებული ფულით სანთვაგე იყიდა და შინისაკენ გასწია. გზაზე ერთ გაჭირვებულ ფაკირს ჩაუარა, იგი ქუჩის პირას იდგა და მოწყალეობას ითხოვდა.

კაცს შეებრაღა ფაკირი, მთელი დღის ნაშოვარი უწყალობა და შინ ხელცარიელი დაბრუნდა.

ხელცარიელ ქმარს შინ ცოლი წარბშეკრული დახვდა, ჰკითხა:

— ნუთუ დღეს ვერაფერი იშოვე, სახლში რომ ხელცარიელი დაბრუნდიო?

— როგორ არა, — მიუგო ქმარმა, — მაგრამ, შინ რომ ვბრუნდებოდი, გზაში ერთი მათხოვარი შემხვდა, შემებრალა და რაც ვიშოვე, ყველაფერი იმას ვაჩუქეო.

— კარგად ვერ მოქცეულხარო, — უსაყვედურა ცოლმა, — მერე თაროსა და კიდობანში დაობებული ხმიადის ნატეხები მოძებნა, სული შეუბერა, გაბერტყა, წყალში დაალობო და ქმარი და გერები დააპურა.

მეორე დღეს კაცი მინდორში რომ წავიდა, ჩვეულებრივზე ორჯერ მეტი ქაცვი შეაგროვა. ნაწილი იქვე ახლოს მღვიმეში დამალა, ნაწილი კი სახედარს აჰკიდა და ქალაქში წაიღო გასასყიდად. გუნებაში უხაროდა — ხვალ ქაცვის შეგროვებაზე ჯაფა აღარ დამადგებაო.

მესამე დღეს, დილაადრიან, კაცმა მღვიმეს მიაშურა ქაცვის წამოსაღებად, მაგრამ გაწბილებული დარჩა — ქაცვს ცეცხლი გასჩენოდა და სულ ერთიანად დამწვარიყო. დაინახა, რომ ნაცარზე ერთი მოზრდილი ჭრელი ჩიტის იჯდა. იფიქრა, ბავშვები თავს მაინც შეიქცევენო, ჩიტის აიყვანა და წამოვიდა. ჩიტს სამზარეულოში ერთი კობტა საბუდარი მოუწყვეს და შიგ დააბუდეს.

გავიდა რამდენიმე დღე. დედაკაცი სამზარეულოში შევიდა შეჭამანდის მოსახარშავად და სახტად დარჩა; უსარკმლო და უბანო სენაკი გაჩირადდნებული იყო და საბუდარში რაღაც საგანი თვალისმომჭრელად ბრწყინავდა. ქალი საბუდართან მივიდა და დააკვირდა, შიგ ქმრის მოყვანილი ჩიტის კვერცხი იდო.

ქალმა კვერცხი ხელში აიღო და გასინჯა. ოქროს კვერცხი არ გამოდგა?! მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა და სასწრაფოდ ქმარს მიუბრუნებინა.

მესამე დღეს ფრინველმა ისევ დადო ოქროს კვერცხი. კაცი ახლა უკვე ველზე როდიდა წავიდა ქაცვის მოსატანად. იფიქრა: ტყუილად რატომ უნდა ვიწვავლო და ოფლი ვღვარო, ქაცვი ვაგროვო და მერე რისთვის? ორიოდე შაურის ასაღებად? არა, კმარა, როცა ფული დამჭირდება კვერცხს გავყიდი, მორჩა და გათავდაო!

ერთი სიტყვით, კაცმა ველზე ქაცვის შეგროვებას თავი გაანება, კვერცხი ბაზარში წაიღო და ოქრომჭედელ შამუნს აჩვენა.

შამუნმა კვერცხი გამოართვა და ასი თუმანი ფული ჩაუთვალა. გახარებულმა გულს ადარ დაიკლო, ძვირფასი საჩუქრები იყიდა და ცოლსა და შვილებს მოუტანა.

რამდენიმე დღეში კვერცხში აღებული ფული გაანიავეს. ქმარი ადგა და ოქრომჭედელს მეორე კვერცხი წაუღო. შამუნს ძალიან გაუკვირდა, ამ უბრალო კაცს ეს ძვირფასი კვერცხები საიდან მოაქვსო, და ჰკითხა:

— ძიავე, ამ კვერცხებს სად შოულობო?

კაცმა თავმომწონედ უპასუხა, ამ კვერცხების დამდები ფრინველი ამა და ამ მღვიმეში დავიჭირეო.

— რანაირი ფრინველია? — ვერ ისვენებდა შამუნი.

კაცი მოდგა და დაწვრილებით აუწერა მისი გარეგნობა.

შამუნი იმწუთშივე მიხვდა, რომ ის ფრინველი ბედის ჩიტი იყო. ვინც იმის თავს შეჭამდა, ხელმწიფე გახდებოდა. ხოლო ვინც კუჭმაჭს შეჭამდა, ყოველ ღამე თავქვეშ ას აშრაფიანი ქისა გაუჩნდებოდა.

იმ დღიდან მოკიდებული შამუნი სულ იმის ფიქრში იყო, ბედის ჩიტი ხელში როგორ ჩაეგდო.

კაცმა კი ქაცვის ზიდვას ხომ თავი დაანება და დაანება, ახლა მოგზაურობაც არ მოინდომა?! ბედის ჩიტი ცოლსა და შვილებს დაუტოვა და გზას გაუდგა.

შამუნსაც სწორედ ეს უნდოდა! წავიდა და ერთი ცბიერი დედაბერი მონახა, რომელიც ეშმაკს იქით თუ რამეს ასწავლიდა, თორემ მისგან სწავლა არ დასჭირდებოდა. უთხრა:

— ოღონდ ამა და ამ კაცის ცოლი გამირიგე და გასამრჯელოდ ათას აშრაფს მოგცემო.

დედაბერი დათანხმდა. მონახა იმ კაცის სახლი, კარზე დააკაკუნა და დაელოდა. ქალმა გამოხედა, კართან უცხო დედაბერი რომ დაინახა, ჰკითხა:

— დედი, ვინ გინდა?

— ღმერთო ჩემო, როგორ შეგაწუხე, შენ კი გენაცვალე, — მიუგო დედაბერმა, — აქეთ გზად მოვდიოდი, წყურვილმა დამახჩხო, ვიფიქრე, ვინმე მადლიანს შევეხმიანები, აბა წყალს ხომ არ დამიჭერს-მეთქი, და შენ შემრჩი ხელში, შვილო.

— თავი კი მომიკვდეს, დედი, ოჯახში მობრძანდით, — მიუგო ქალ-

მა და დედაბერი შინ შეიპატიჟა. მერე ჭიდან ცივი წყალი ამოიღო და დედაბერს სავსე თასი მოურბენინა.

დედაბერმა წყალი დალია. ამ მთისა თქვა, იმ მთისა და ბოლოს დიასახლისს ჰკითხა:

— შვილო, შენი ქმარი ვინაა, ან რა მოხელეა?

— ერთი უბრალო კაცია, ველიდან ქაცვს ეზიდება, ჰყიდის და იმით ვსაზრდობთო, — უპასუხა ქალმა.

— რა შენი შესაფერისია ვილაც ქაცვის მზიდავი, — ენად გაიკრიფა დედაბერი, — აფსუსი არაა, რომ მაგისტანა ლამაზი და მშვენიერი ქალი იმისი ცოლი იყო? მაშალაჰ, მაშალაჰ,\* გაბადრულ მოვარევ, შენ ისეთივე ყმაწვილი ქმარი უნდა გყავდეს, როგორც თვითონა ხარ, თანაც სახელოვანი, ღირსეული და მდიდარი, აბა, იმ მოხუც კაცთან რა გაქვს საერთო? ჭეშმარიტად სწორედ უთქვამთ ჩვენს წინაპრებს: მწიფე ყურძენი ტურის კერძიაო.

— რა ვქნა, დედი, ჩემი იღბალი ასეთი ყოფილა და!

— ჯანდაბას იმისი თავი, — დაუწყო შეგულიანება დედაბერმა, — მიატოვე ქმარი და შენ რომ შეგეფერება, სწორედ იმისთანა კაცს გაგირიგებო.

ერთი სიტყვით, დედაბერი ამ საბრალო ქალს ისე შეუჩნდა, იქამდე ეჩიჩინა და შამუნის იმდენი უქო და უდიდა, ვიდრე გზიდან არ გადასჩეხა და შამუნის კლანჭებში არ ჩააგდო. არ ეშვებოდა: შამუნს შენი ტრფობით გული მისდის და ლამის სულიც აღმოხდესო.

დიდხანს ისაუბრეს. ბოლოს მოილაპარაკეს, რომ ერთ-ერთ საღამოს ქალი შამუნს ვახშმად შინ მოიპატიჟებდა და იმ უცხო ფრინველსაც დაუკლავდა.

მართლაც, დათქმულ დღეს, როდესაც შამუნის ვახშმად უნდა სწვეოდა, ქალმა ბედის ჩიტი დაკლა, გაპუტა, შეწვა და სუფრაზე მისატანად გამზადებული სამზარეულოში დატოვა ცხრილქვეშ.

საღამო ხანი იყო. გერები სკოლიდან დაბრუნდნენ. დედინაცვალი ოთახს ალაგებდა სტუმრის მოლოდინში. ბიჭები სამზარეულოში შევიდნენ, ცხრილი ახადეს და შემწვარი ფრინველი დახვდათ. შეჭმა დააპირეს, მაგრამ დედინაცვლის შიშით ვერ გაბედეს. იფიქრეს, არც კერძს შეემჩნევა და

\* მაშალაჰ — გამოროს ავი თვალი!

ვერც დედინაცვალს შეიტყობსო, საადმა თავი გადასანსლა. საიდმა კუჭ-  
მაჭი და ეზოში გაცვივდნენ სათამაშოდ.

დაბნელდა თუ არა, ოჯახს სტუმარიც მოადგა. შამუნი მხიარულ გუ-  
ნებაზე იყო, სახე უცინოდა. ოჯახში შესვლის უმალ ქალს მოსთხოვა:

— შიმშილისაგან კუჭი მეწვის, ერთი ის შენი დამზადებული კერძი  
მოიტა, ცოტათი დავნაყრდეთ!

ქალი წავიდა და დიდ მრგვალ სინზე დადებული დაბრაწული ბედის  
ჩიტი მოიტანა, შამუნს წინ დაუდო და უთხრა:

— მიირთვი, სახელითა ღვთისათ!

შამუნი სინს ეცა თავისა და კუჭმაჭის შესაჭმელად, მაგრამ თავზარი  
დაეცა: არც ერთი დაუხვდა სინზე და არც მეორე.

— ქალო, განა ამ ჩიტს თავი და კუჭმაჭი არა ჰქონდა?

— როგორ არა, ჰქონდა.

— მაშ რა იქნა?

— არ ვიცი, წავალ გავიგებ, ალბათ სამზარეულოში ბავშვები შეი-  
პარნენ და იმათ შეჭამესო.

ქალი წინა ეზოში გავიდა და საადსა და საიდს გასძახა:

— მართალი მითხარით, ჩიტის თავი და კუჭმაჭი თქვენ ხომ არ შე-  
გიჭამიათ?


შეშინებულმა ბავშვებმა თავი დაბლა დახარეს და ხმა არ გაუღიათ.  
ქალი მიხვდა, რომ მათი შეჭმული იყო და ბავშვებს ფერღებში ერთი-ორი  
მუჯღუგუნი წაჰკრა. მერე ოთახში შებრუნდა და შამუნს უთხრა:

— სიკეთე არ აღირსოს ალაჰმა ამ საძაგელ ბავშვებს! სამზარე-  
ულოში შეპარულან და თავი და კუჭმაჭი გადაუსანსლავთ. რა გაეწყობა,  
დანარჩენი მიირთვი, ყველაზე საუკეთესო ნაწილები — ბარკლები და  
მკერდი ხომ ხელუხლებელია!

— შენ რა გაგეგება, — შეუტია შამუნმა, — ამ ფრინველის მთელი  
ღირსება თავსა და კუჭმაჭშია. ახლავე მოიყვანე ბავშვები, დავფატროთ  
და ჩიტის თავი და კუჭმაჭი ამოვაცალოთ მუცლიდანო!

— კეთილი, — მიუგო დედინაცვალმა, — ზოგი ჭირი მარგებელია,  
ამ ორი ღორმუცელა ბავშვისაგან მაინც მოვისვენებო.

ქალი ბავშვების მოსაყვანად წავიდა, მაგრამ ეზოში აღარ დაუხვდნენ.  
აქეთ ეცა, იქით ეცა, სამზარეულოშიც შევიდა. საპირფარეოშიც შეიხედა,  
მაგრამ ვერსად მიაგნო. დაღანში დაძებნა, არც იქ დაუხვდნენ. ალაყაფის



კარს შეხედა; ღია იყო. ქალი მიხვდა, რომ ბავშვები გაქცეულიყვნენ. შამუნ-  
თან დაბრუნდა და უთხრა:

— ბავშვები გაქცეულან და სადღაც გადაკარგულანო.

გაბრაზებულმა შამუნმა კერძს პირიც არ დააკარა, წამოდგა და კარი-  
სკენ გასწია წასასვლელად. ქალი არ უშვებდა:

— ჯანდაბას იქით მაგისი თავი და კუჭმაჭი, მე ხომ აქა ვარ?

— საოცარი რეგვენი ქალი ყოფილხარ, — შეუტია გაცხარებულმა  
შამუნმა, — მე აქ ბედის ჩიტის თავისა და კუჭმაჭის ხათრით მოვედი,  
თორემ შენ რა შავ ქვად მინდიხარო!

ერთი სიტყვით, ქალსა და შამუნს ჩხუბი მოუვიდათ და შამუნმა ქალს  
მუცელში დანა გაუყარა. მომაკვდავმა ქალმა ერთი საზარლად შეჰკივლა.  
მის კივილზე მეზობლები მოცვივდნენ და შამუნს იქვე გააცხებინეს სული.

თურმე შამუნი ქალს რომ ეუბნებოდა: ბავშვებს დაუძახე, მუცლები  
დავფატროთ და ბედის ჩიტის თავი და კუჭმაჭი ამოვაცალოთო, საადი და  
საიდი მათ ლაპარაკს ყურს უგდებდნენ. შეეშინდათ და იმ წამსვე გაიქცნენ  
სახლიდან, ქალაქიდან გავიდნენ და უდაბნოს გზას დაადგნენ.

ბიჭები მთელი ღამე მიდიოდნენ. დილით წყაროს მიადგნენ. წყაროს-  
თან რამდენიმე ხე იდგა. ბიჭები ისე იყვნენ დაქანცული, რომ ძლივს მია-  
ბოტებდნენ. ხის ძირას წამოწვნენ და ტკბილად იძინეს მზის ამოსვლამდე.

ის იყო საადმა და საიდმა გამოიღვიძეს, რომ ხეზე ორი მტრედი  
შემოჯდა. ერთი მეორეს მიუბრუნდა და უთხრა:

— დობილო, ხედავ ხის ქვეშ რომ ორი ძმა ზის? მაგათ ბედის ჩიტის  
თავი და კუჭმაჭი აქვთ შეჭმული. ხომ იცი, ვინც იმ ფრინველის თავს შე-  
ჭამს, ხელმწიფე გახდება, ვინც კუჭმაჭს შეჭამს, ყოველ ღამე თავქვეშ ას-  
აშრაფიანი ქისა გაუჩნდებაო.

ამის შემდეგ დიდხანს აღარ გაუვლია, რომ ბიჭები წამოდგნენ. საიდმა  
შეხედა, თავქვეშ აშრაფებით სავსე ქისა ედო. გაუხარდა, საადს მიუბრუნდა  
და უთხრა:

— მტრედის ნათქვამი სწორი გამოდგა, შენც ბედს ეწევი და უსა-  
თუოდ ხელმწიფე გახდებიო.

ცოტა ხნის შემდეგ ძმები არხეინად გაუდგნენ გზას და ერთ გზაჯვარე-  
დინს მიაღწიეს. იქ ვეებერთელა ლოდი ეგდო. ზედ წარწერა იყო ამოკვე-  
თილი:

„ჭოი, თქვენ, ვისაც აქამდე ერთად გივლიათ. თუ ისევ ერთი გზით

ივლით, სიკვდილი არ აგცდებათ, თუ სხვადასხვა გზით წახვალთ, საწა-  
დელს ეწევიტ“.

ეს რომ წაიკითხეს, ძმებს გუნება შეეცვალათ, დაღონდნენ, მაგრამ  
რალას იზამდნენ? ბევრი იტირეს, ერთმანეთს გადაეხვივნენ, გადაჰკოცნეს,  
დაემშვიდობნენ და სხვადასხვა გზას დაადგნენ.

საადი რამდენიმე დღე-ღამეს მიდიოდა თავაუღებლივ და ერთ მშვე-  
ნიერ დილას უცხო ქალაქს მიადგა. შეხედა: მთელი ხალხი, დიდი თუ პა-  
ტარა, ძაძებში ჩაცმული ქალაქგარეთ გამოფენილიყო ჯგუფ-ჯგუფად.  
საადი ერთ ჯგუფთან მივიდა და მორიდებით იკითხა:

— ამოდენა ხალხი თალხებში რატომ გამოწყობილა ან აქ რისთვის  
შეკრებილაო?

ერთმა მოხუცმა საადს ახედ-დახედა და კითხვა შეუბრუნა:

— როგორ? შენ განა აქაური არა ხარ?

— არა, — მიუგო საადმა, — უცხო ქვეყნიდანა ვარ მოსულიო.

— მაშ ყური მიგდე და დაიხსომე, — უთხრა უცნობმა, — ოთხი  
დღეა, რაც ჩვენი ხელმწიფე გარდაიცვალა; მემკვიდრე კი არა ჰყავდა. ჩვე-  
ნი ადათის მიხედვით სამი დღე უნდა ვიგლოვოთ, მეოთხე დღეს კი მთელი  
მოსახლეობა ქალაქგარეთ შეიკრიბება, აი ასე, როგორც ახლა, და მიმინოს  
ააფრენენ. ვისაც ის მიმინო თავზე დააჯდება, ჩვენი ხელმწიფეც ის იქნება.  
ამ ძაძებს მაშინვე გავიხდით და შვიდი დღე და შვიდი ღამე ლხინი გვექ-  
ნება გაჩაღებული. დღეს ეს ხალხი აქ სწორედ ხელმწიფის ამოსარჩევად  
შეკრებილიო.

საადი ჯერ კიდევ იმ მოხუცს ებაასებოდა, რომ უკვე მიმინო ააფრი-  
ნეს. მიმინომ ერთი წრე შემოუარა და საადს დაასკუპდა თავზე. ხალხმა  
ერთი ყიჟინა ასტეხა, მოვიდნენ. საადი დიდის პატივითა და მოწიწებით  
წაიყვანეს ხელმწიფის სასახლეში, თავზე გვირგვინი დაადგეს, სამეფო  
ტახტზე დასვეს და მორჩილად უკან დაიხიეს.

ახლა მოდით, საადი აქ დავტოვოთ და საიდს დავუბრუნდეთ, ვნა-  
ხოთ, იმას რალა ბედი ეწია.

გზაჯვარედინზე რომ ძმას დასცილდა, საიდმაც ბევრი იარა და ბო-  
ლოს ისიც ერთ უცხო ქალაქს მიადგა. იქ ერთი მაღალი კოშკი დახვდა აღ-  
მართული. კოშკის გარშემო ახოვანი და გულადი ვაჟკაცები ისხდნენ და-  
ღონებული. საიდი მივიდა და ერთ მათგანს ჰკითხა:

— ძმობილო, ეს კოშკი ვისია ან თქვენ რას უზიხართ ვგრე დაღვრე-  
მილებიო?

— ეს კოშკი აქაური ხელმწიფის ქალიშვილს — დელარამს ეკუთვ-  
ნის, — მიუგო უცნობმა. — დედამიწის ზურგზე სილამაზით მისი ბადა-  
ლი ქალი არ მოიძებნება; ვინც იმის ნახვასა და მზერით დატკობას მოი-  
წადინებს, ყოველ დღე ასი აშრაფი უნდა ჩაუთვალოს. ჩვენ ყველანი დე-  
ლარამის სატრფიალოდ მოვსულვართ, რაც კი რამ გაგვაჩნდა, დაგვცინც-  
ლა და ახლა, ხელცარიელებს ზედაც არ გვიყურებს. ჩვენ კი მისი ემხით  
ისე მოხიბლული ვართ, რომ აქედან ფეხს ვეღარ ვიცვლითო.

ეს რომ საიდმა გაიგო, გაიფიქრა: რას ვაქნევ, მივალ და ერთი კვირა  
იმ ლამაზი ასულის ტრფობით დავტკბები, ქვეყანაზე ბადალი რომ არა  
ჰყოლია. მე ხომ ყოველ ღამე თავქვემ ასაშრაფიანი ქისა მიჩნდებაო.

საიდი კოშკს მიადგა და დელარამს შეუთვალა:

— მიმიღე, შენთან სატრფიალოდ მოვსულვარო.

ეს ამბავი სასწრაფოდ დელარამს მოახსენეს. საიდს მხევალი ქალები  
გამოეგებნენ და კოშკში შეიპატიჟეს.

შესანიშნავი რამ იყო ეს კოშკი, კაცი ჭკუაზე შეიშლებოდა მისი ნახ-  
ვით. საიდი ერთ ოთახში შეიყვანეს, რომელსაც სარკის ჭერი და კედლები  
ჰქონდა. დიდ ხანს არ გაუვლია და ოთახში დელარამიც შემოვიდა, საიდს  
თავაზიანად დაუკრა თავი და მერე დასხდნენ და მასლაათი გააბეს. ტკბილ  
ბაასში გართულებს საღამოც შემოეპარათ; გააწყვეს ვახშამი, მოიტანეს  
ნაირ-ნაირი ღვინოები და ნუგბარ-ნუგბარი საჭმელები. ივახშმეს, იმხია-  
რულეს, იცეკვეს, იკისკისეს, საზი დაუკრეს და ძილის დრომაც მოატანა.

დელარამს ორმოცი მხევალი ჰყავდა. ისინი ერთმანეთს გაჭრილი  
ვაშლებივით ჰგავდნენ, თითოეული მათგანი კი, როგორც გარეგნობით ისე  
მიხრა-მოხრით, დელარამს ჰგავდა.

საიდმა დელარამის კოშკში ორმოცი დღე გაატარა, მაგრამ მისი მზე-  
რით გული მაინც ვერ იჯერა. ამ ორმოცი დღის განმავლობაში დელარამი  
ძილის წინ, რამე საბაბით, ოთახიდან გაიპარებოდა ხოლმე და საიდს თა-  
ვის ნაცვლად ერთ-ერთ მხეველ ქალს უგზავნიდა. დილით, ვიდრე საიდი  
გაიღვიძებდა, მხევალი ქალი გარეთ გამოვიდოდა და ოთახში დელარამი  
შედოდა. საიდი კი ფრთხილად, რომ არავის შეეტყო, ყოველ დილით  
სასთუმალ ქვეშ ხელს შეყოფდა, აშრაფებიან ქისას იღებდა და დელარამს  
აძლევდა.

დელარამი გაოცებული იყო, ეს ყმაწვილი ამოდენა ფულებს საიდან იღებსო და ფიქრობდა, ალბათ ბედის ჩიტის კუჭმაჭი აქვს გადაყლაპულიო.

ორმოცი დღე რომ მიიწურა, დელარამმა საგულდაგულო სუფრა გააწყო; მოატანინა ძველი ღვინოები და საიდს ზომაზე მეტი ასვა. საიდი რომ ზორბად შეზარხოშდა და აღარც აზრი ერჩოდა, დელარამმა მას ფერდში ერთი ისეთი ძლიერი მჯიღი ჰკრა, რომ მუცლიდან ბედის ჩიტის კუჭმაჭი გადმოანთხევინა. დელარამმა კუჭმაჭს ხელი დასტაცა, სასწრაფოდ გარეცხა და გადასანსლა.

იმ ღამეს დელარამმა საიდს მხევალი ქალი აღარ შეუგზავნა და თვითონ დარჩა მასთან.

დილით, საიდმა რომ გამოიღვიძა, სასთუმალქვეშ აშრაფებიანი ქისა მოძებნა, მაგრამ როდიღა დაუხვდა. ვაჟი მიხვდა, რა ფათერაკიც სწვეოდა, მაგრამ რაღა უნდა ექნა? არაფერი შეიმჩნია, წამოდგა და დელარამის კოშკიდან ჩუმად გაიძურწა. კოშკიდან კი არა, საიდი იმ ქალაქიდანაც გადაიხვეწა.

დილიდან სალამომდე გზებსა და ველებზე დაეხეტებოდა, ვიდრე ერთი ქალაქის სანახებს არ მიაღწა. შეხედა, სამი ყმაწვილი ერთმანეთს წაჰკიდებოდა და დავა ჰქონდათ. საიდი ახლოს მივიდა და ამბავი ჰკითხა. უთხრეს:

— ჩვენ სამი ძმა ვართ და მამის დატოვებულ სამკვიდროს გაყოფაზე ვდაობთ. შენ ჩვენს მოსარიგებლად გამოუგზავნიხარ ღმერთსო.

საიდმა ვინაობა ჰკითხა. ოქრომჭედელ შამუნის ვაჟები გამოდგნენ.

— მერეღა მამათქვენს რა დაემართა? — ჰკითხა ვაჟებს საიდმა.

— მამაჩვენი ბედის ჩიტის თავისა და კუჭმაჭის ეშხით ერთ დედაკაცს ეწვია სახლში. თურმე იმ ჩიტის თავი და კუჭმაჭი გერებს შეეჭამათ, მამაჩვენს იმ დედაკაცისათვის მოუთხოვია, ახლავე გერები აქ მომგვარე, მუცლები დაგუფატროთ და თავი და კუჭმაჭი ამოვაცალოთო. ბიჭები სახლიდან გაქცეულიყვნენ და ქალს ვეღარ ენახა. მამაჩვენი გაჯავრებულა და დედაკაცისათვის დანა ჩაუკრავს მუცელში, კივილზე მეზობლები მოცვივნულან და მამაჩვენი ხელში შემოკვდომიათ.

— ღმერთმა აცხონოს მამათქვენი და სასუფეველი დაუმკვიდროს იმ ქვეყნად. ახლა ერთი ის მითხარით, რა გაქვთ სადავო და გასაყოფი?

— ხალიჩა, ჩანთა და სურმის კოლოფი, — სხაპასხუპით მიაყარეს შამუნის ვაჟებმა.

— განა ღირს რომ მაგათ გაყოფაზე ერთმანეთს წაეკიდოთ? — გაკვირვებით ჰკითხა საიდმა.

— შენ რა იცი, — მიუგეს შამუნის ვაჟებმა, — ეს საგნები მთელ დუნიად ღირს. მაგალითად, ეს ისეთი ხალიჩაა, რომ როდესაც გააფენ, ზედ დაჯდები და ეტყვი: წმიდაო სულეიმან, მიმიყვანე ამა და ამ ალაგასო, ხალიჩა მყისვე იმ ადგილისაკენ გაგაფრენს. ეს ჩანთა კი წმიდა სულეიმანის ხსენებაზე, რაც კი რამ ხორაგს ინატრებ, ყველაფერს გაგიჩენს, ხოლო თუ სურმას ამოისვამ თვალში, გაუჩინარდები და ველარავინ დაგინახავს.

— ეს ყველაფერი ერთ კაცს უნდა ეკუთვნოდეს, — დაარიგა შამუნის ვაჟები საიდმა, — ოღონდ მისი პატრონი თქვენში ყველაზე მარჯვე და მოხერხებული უნდა იყოს. აი, ახლა მე ქვას გავისვრი, რომელიც უფრო სწრაფად გაიქცევა და იმ ქვას მომიტანს, თქვენში ყველაზე მარჯვე ის იქნება და ეს საგნებიც იმას დარჩებაო.

სამივე ძმა დაეთანხმა. საიდმა კი რაც ძალა და ღონე ჰქონდა ქვა მოიქნია და გასტყორცნა ტრიალ მინდორში. ძმებმა კისრისტეხით გაქუსლეს იმ ქვის მოსატანად; საიდმა ჩანთა და სურმის კოლოფი აიღო, ხალიჩაზე მოიკეცა და წამოთქვა:


— წმიდაო სულეიმან, მიმიყვანე დელარამის კოშკთან.

ხალიჩა მყისვე აფრინდა ჰაერში და საიდი დელარამის კოშკთან გააჩინა. ამასობაში შამუნის ვაჟები დაბრუნდნენ და გასროლილი ქვა მოიტანეს, მაგრამ აღარც ჩანთა დახვდათ, არც სურმის კოლოფი, არც ხალიჩა და აღარც მგზავრი. რაღას იზამდნენ? ყურებჩამოყრილები დაბრუნდნენ შინ.

საიდი დელარამის კოშკში დაბრუნდა, ჩანთა და ხალიჩა ერთ კუთხეში დამალა, თვალში სურმა ამოისვა, გაუჩინარდა და დელარამის ოთახში შეიპარა. შუა დღე იყო. დელარამს მაგიდა გაეწყო, ფლავის სინს მიჯდომოდა და გემრიელად შეექცეოდა. საიდი მეორე მხრიდან მიუჯდა და სინზე დაწყობილ საჭმელებს მიაძღა. უცბად დელარამმა შეამჩნია, რომ სინის მეორე მხარე ცარიელდებოდა და, დროდადრო მის ხელებს სინზე ვიდაცას ხელიც ხვდებოდა, დანახვით კი ვერაფერს ხედავდა.

დელარამს თავზარი დაეცა და შიშისაგან კივილი მორთო:

— ეი, შენ! ამ ოთახში რომ შემოპარულხარ, კაციშვილი ხარ თუ ავი სული, გულის სატრფოს გაფიცებ, ვინც არ უნდა იყო, საბურავი მოიხსენი და გამომეცხადეო!



საიდმა თვალებიდან სურმა ამოიწმინდა და დელარამს გამოეცხადა.

საიდი რომ დაინახა, ქალმა ფლიდურად შესძახა:

— საიდ, ძვირფასო, შენა ხარ? რომ იცოდე, როგორ მომენატრე, სად გადაიკარგე, მარტო რად დამტოვე?

ერთი სიტყვით, დელარამი მოჰყვა პირმოთნეობას და ფარისევლობას. საბრალო საიდმა კი დაიჯერა მისი ფლიდი სიტყვები. იფიქრა, მართალს ამბობსო, თან დელარამის უღვთო სილამაზე საკუთარ თავსაც ავიწყებდა. ენად გაკრეფილი დელარამი კი არა ცხრებოდა:

— საიდ, აქ როგორ გაჩნდი?

საიდმა გულუბრყვილოდ გაანდო დელარამს ხალიჩის, ჩანთისა და სურმის კოლოფის ამბავი.

რამდენიმე დღემ რომ გაიარა, დელარამი საიდს შეეხვეწა:

— საიდ, რამდენი ხანია ყაფის მთაზე\* ასვლასა და სეირნობაზე ვოცნებობ. რა კარგია, რომ შეგიძლია ჩემი სურვილის ასრულება. მოდი, ორივე დავსხდეთ შენს ხალიჩაზე, ყაფის მთაზე გავფრინდეთ, სეირნობით გული ვიჯეროთ და უკანვე დავბრუნდეთ.

საიდმა დელარამს ხატრი ვერ გაუტეხა და დაყაბულდა. ხალიჩაზე დასხდნენ და ყაფის მთისაკენ გაფრინდნენ. იქ ერთი ნაკადული მოჩხრიალებდა. დელარამი საიდს შეუჩნდა:

— გული დამწყდება, ამ ნაკადულში რომ არ ვიბანაოთ და ისე დავბრუნდეთ. მოდი, ტანთ გავიხადოთ და წყალში ჩავიდეთ.

— ძალიან კარგო, — დაეთანხმა საიდი.

ტანზე რომ გაიძრეს, დელარამი საიდს მიუბრუნდა:

— პირველად შენ ჩადი წყალში, აბა, შენი ტანი და სხეული წყალში როგორი ჩანსო.

გაშიშვლებული საიდი წყალში ჩავიდა და შუა ნაკადულში შეტოპა. დელარამმა კი სურმის კოლოფი და ჩანთა აიღო, ხალიჩაზე დასკუპდა და წარმოთქვა:

— წმიდაო სულეიმან, მიმიყვანე ჩემს კოშკთან!

ხალიჩა მყისვე აფრინდა და ვიდრე საიდი წყლიდან ამოვიდოდა, დელარამი უკვე ალბათ თავის კოშკში იქნებოდა.

\* ყ ა ფ ის მ თ ა — მითიური მთებია, რომლებიც მუსლიმანთა წარმოდგენით დედამიწას გარშემო არტყია.

საბრალო საიდი წყლიდან კი ამოვიდა, მაგრამ ახლა რაღა ექნა, საით წასულიყო, რა გზას დასდგომოდა?

საიდმა ტანსაცმელი ჩაიცვა და გზას გაუდგა. ბევრი იარა თუ ცოტა თარა, ერთ ზღვას მიადგა. გულზე ცეცხლი ეკიდებოდა, ეს ზღვა და მთები როგორ უნდა გადავიაროთ. იმედგაცრუებული იქვე ხის ძირას მიწვა და მიიძინა.

უცბად საიდს ძილში ჩაესმა ხეზე შემომჯდარი მტრედების საუბარი:

- დობილო!
- რა იყო, დაიკო, ჩემი თავი გენაცვალოს?
- რადა, აი იმ ვაჟს, ხის ძირას რომ წევს, თუ იცნობ?
- არა.

— ეგ საადის ძმაა — საიდი, რომელიც დელარამმა მოატყუა, ყველაფერი დასცინცლა და სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. მაგრამ ეს ვაჟი ამ ხის ტოტებს, ქერქსა და ფოთლებს თუ თან წაიღებს, ბედს ხელახლად ეწევა. ამ ხის ქერქს ვინც ფეხზე წაისვამს, წყალზე ისე გაივლის, თითქოს ხმელეთზე დადისო, ამ ხის ტოტს ვისაც შეახებს, სახედრად გადაიქცევა, მეორედ შეხებისას კი ისევ ადამიანის სახე უბრუნდება. ფოთლები თვალდავსილთა და ყრუთა წამალია.

ამის გაგონებაზე საიდი გახარებული წამოხტა და ხის ქერქი, ტოტები და ფოთლები მოაგროვა. მერე ქერქი ფეხებზე მოისვა და ზღვა ხმელეთივით გადაიარა. ერთ უცხო ქალაქს მიადგა, სადაც ჯგუფჯგუფად შეკრებილი ხალხი რაღაცაზე ჩურჩულებდა. იკითხა, რა ამბავიაო.

— რამდენიმე დღეა ჩვენი ხელმწიფის ქალიშვილი დაყრუვდა, ჯავრით ცრემლად იღვრება და ლამის ჭლექი გაუჩნდეს; ხელმწიფეს ეს ერთადერთი ქალიშვილი ჰყავს. სადაური ექიმები არ მოჰგვარეს, მაგრამ ვერაფერი უშველესო, — უპასუხეს საიდს.

სასწრაფოდ გაემართა საიდი ხელმწიფის სასახლისაკენ, მისვლის უმაღლ ხელმწიფე ინახულა და მოახსენა:

- დიდებულო ხელმწიფევ, მე განვკურნავ თქვენს ქალიშვილსო.
- თუ მართლა მოარჩენ ჩემს ქალიშვილს, ცოლად მოგათხოვებო, — მიუგო ხელმწიფემ.

საიდმა ხელმწიფის ქალიშვილს იმ გრძნეული ხის ფოთლები მოუსვა და მყისვე სმენა დაუბრუნა; ხელმწიფემ დიდად გაიხარა და ბრძანა, ქა-



ლაქი სარკეებით მოერთოთ. შვიდი დღე და შვიდი ღამე იზეიმეს და თავისი ასული მართლაც საიდს შერთო ცოლად.

რამდენიმე დღის შემდეგ საიდი ხელმწიფეს დაეთხოვა, რადგან დელარამის მოძებნა და მისთვის სამაგიეროს გადახდა ჰქონდა გადაწყვეტილი. დელარამის ქალაქს მიადგა და კოშკისაკენ გაეშურა. კართან გუშაგი გადაეღობა. საიდმა მას გრძნეული ჯოხი შეახო და სახედრად აქცია. მერე კიბეებს აჰყვა და დელარამის ოთახს მიაშურა.

დელარამმა მის ოთახში შესული საიდი რომ დაინახა, ერთი შეჰკვივლა:

— ეი, შე უზრდელო და ხეპრევე, ჩემს ოთახში ნებართვის გარეშე როგორ გაბედე შემოსვლაო.

— მოვედი, რომ სახედრად გაქციო და საპალნე აგკიდოო, — მშვიდად მიუგო საიდმა.

დელარამმა მხევალი ქალები მოიხმო — ეს თავხედი აქედან გააძევეთო. მაგრამ საიდმა დელარამსა და მის ორმოცსავე მხევალ ქალს თავისი ჯოხი შეახო და სახედრებად აქცია. საიდმა შეყრილი ცნობისმოყვარე ხალხიც სახედრებად აქცია და მასთან ახლოს მისვლას ველარავინ ბედავდა. ამის შემდეგ საიდმა სახედრებს — დელარამსა და მის ორმოცსავე მხევალს საპალნეები აჰკიდა და ხან ერთ მხარეს მიაჭენებდა და ხან მეორე მხარეს. იმდენი აწამა, რომ ღამის სული ამოხდათ.

ბოლოს დელარამი საიდს შეეხვეწა:

— სურმის კოლოფს, ჩანთასა და ხალიჩასაც დაგიბრუნებ, ოღონდ ისევ ადამიანად გადამაქციეო.

საიდი დათანხმდა, ოღონდ იმ პირობით, რომ დელარამს მისთვის ბედის ჩიტის კუჭმაჭიც უნდა დაებრუნებინა. ქალი ყველაფერზე თანახმა იყო. საიდი მას კვლავ შეეხო თავისი გრძნეული ჯოხით და ადამიანად გადააქცია. მერე გვერდით მოისვა, ღვინოები ასვა, დაათრო, ფერდში ერთი მაგარი მჯიღი ჰკრა და ბედის ჩიტის კუჭმაჭი გადმოანთხევიანა. საიდმა გარეცხა და გადაყლაპა. ამის შემდეგ საიდი ხალიჩაზე დაჯდა და თავისი ცოლისა და სიმამრისაკენ გაფრინდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ საიდმა მამის სანახავად წასვლა გადაწყვიტა, ხალიჩაზე დაჯდა და შინისაკენ, თავისი სამშობლოსაკენ გაფრინდა. საბრალო მოხუცი შვილებზე დარდითა და ჯავრით თვალდაუსილი დახვდა. საიდმა მამას იმ გრძნეული ხის ფოთლები ამოუსვა და ბერიკაცს თვალები

აეხილა. გახარებულმა მამამ ვაჟს მიუაღიერა და მამაშვილურად და-  
ლოცა.

საიდმა თავისი მამა ცოლთან და სიმამრთან წამოიყვანა და მერე  
ყველამ ერთად გასწია მეორე ძმის — საადის საძებნელად.

საადი უკვე გამოცდილი ხელმწიფე გამხდარიყო. მამის, ძმისა და  
ნათესავების ხილვით დიდად გაიხარა. ორმოცი დღე დარჩნენ სტუმრად  
საადთან და ერთმანეთს უამბეს თავიანთი თავგადასავალი.

საადმა მამა თავისთან დაიტოვა და მოხუცს დიდი პატივითა და მო-  
კრძალებით უვლიდა. საიდი კი თავის სახლში დაბრუნდა და, როცა კი მამა  
და ძმა მოენატრებოდა დროდადრო მიაკითხავდა ხოლმე.

ჩვენი ზღაპარი დასრულდა. როგორც საადს, საიდსა და მათ მოხუც  
მამას აუსრულდათ თავიანთი სურვილები, ერთმანეთი მოძებნეს და კვლავ  
ერთად შეიყარნენ, დაე, დიდებული ღმერთის წყალობით, ჩვენც მიგვე-  
ღწიოს ჩვენი მიზნებისა და საწადელისათვის.





## საარი და საირი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მოწყალე და ლმობიერი ფადიშაჰი. ამ ფადიშაჰს ასეთი ჩვეულება ჰქონდა: მის ქვეყანაში უცხო მხრიდან მოსულ კაცს ყოველგვარ თხოვნას უსრულებდა. იმისი ქველმოქმედების ხმა მთელ ქვეყანაზე იყო დარხეული.

ერთხელ ამ ჩვენი ფადიშაჰის ქალაქს ვიღაც ბანჯგვლიანი დერვიში მოადგა. დერვიშმა ქალაქში შესვლის უმაღლეს ფადიშაჰის სასახლეს მიაშურა. სასახლის კართან დერვიშს გუმაგი დაუხვდა და ჰკითხა:

— ვინა ხარ, ან რისთვის მოსულხარო?

— სხვათა ქვეყნიდან ვარ მოსულიო, — მიუგო დერვიშმა, — ერთი სათხოვარი მაქვს და ფადიშაჰს უნდა მოვახსენო.

გუმაგმა დერვიშის ამბავი ფადიშაჰს მოახსენა.

— შემოუშვითო, — უბრძანა ხელმწიფემ.

დერვიში სასახლეში შეუშვეს, ფადიშაჰს წარუდგა და ჰკითხა:

— ჰოი, ყოვლად მოწყალეო ფადიშაჰო, ამბობენ, რომ ხელმწიფე ამ ქალაქში უცხოდ მოსულ კაცს ყოველგვარ თხოვნას უსრულებსო. მართალია, თუ არა?

— დიახ, მართალია. — დაუკრა კვერი ხელმწიფემ.

— მაშ, თუ მართალია, — გათამამდა დერვიში, — იმედია, ჩემს თხოვნასაც შეიწყნარებ.

— რასაკვირველია, ოღონდ, მითხარი, რა გაგჭირვებია, — მიუგო ფადიშაჰმა.

— ხელმწიფეო, — დაიწყო დერვიშმა, — ტახტი დამითმე და უფლება მომეცი ორმოცი დღე შენს მაგივრად ვიმეფო.

ფადიშაჰს დერვიშის თხოვნა როდი ეჭაშნიკა, მაგრამ რაღა უნდა ექნა? — დასტური უკვე მიცემული ჰქონდა. ადგა და ტახტი დერვიშს დაუთმო, სამეფო გვირგვინიც დაადგა თავზე და დაარიგა:

— ჩემი ტახტი ორმოცი დღით შენთვის დამითმია, ოღონდ, იცოდე, ამ ხნის განმავლობაში შენი უსამართლობით არც ერთი ადამიანი არ უნდა დაიჩაგროს.

— მაგის ნუ გეფიქრებო, — დააიმედა დერვიშმა.

დერვიში ორმოცი დღე იჯდა ხელმწიფის ტახტზე და ამ ხნის განმავლობაში, როგორადაც კი ჰკუთნებდა, თავი არ დაუზოგავს და ცდილობდა, რომ ხალხი თავისკენ გადაებირებინა, გახსნა ხაზინის კარი და დაიწყო ოქრო-ვერცხლის გაცემა.

ხალხი გახარებული იყო, ეს ღვთისნიერი ხელმწიფე საიდან მოგვევლინაო. დერვიში კი ქვეშევრდომებს ასე ეუბნებოდა:

— მაინცდამაინც კეთილ კაცად ნუ ჩამთვლით და ჩემს მოქმედებას დიდ წყალობად ნუ მიიჩნევთ, მე ხომ თქვენს ქონებას გირიგებთო.

ორმოცი დღე რომ მიიწურა, ჩვენმა ფადიშაჰმა დერვიშს კაცი მიუგზავნა და შეუთვალა: შენი მეფობის ვადა დასრულდა და ტახტი დამიცალეო. პასუხად დერვიშმა ხალხი შეჰყარა და მიმართა:

— ვერ უყურებთ, ეს კაცი რას მიედ-მოედება! მეფობის ღირსი რომ ყოფილიყო, განა თავის ტახტს ვილაც დერვიშს დაუთმობდა? თავისი მრევლიც ეყვარებოდა და საჩუქრებსაც თვითონ დაურიგებდაო.

— ტყუილად ნუ გედავება, მაგას ხელმწიფედ აღარ ვიყაბულებთ, ჩვენ შენს გარდა სხვა არავინ გვსურსო. — შესძახა დერვიშს გულაჩუყებულმა ხალხმა.

ფადიშაჰმა რომ ეს სიტყვები მოისმინა, რეტი დაესხა. იფიქრა, თავი სადღა გამომეყოფაო და იმავ საღამოს თავისი ცოლითა და ორი ვაჟით — საადითა და საიდით ქალაქის ალაყაფიდან გავიდა და იმ არემარედან გადაიხვეწა.

ჩვენმა ნახელმწიფარმა და იმისმა ცოლ-შვილმა დიდხანს იხეტიალეს ველსა და უდაბნოებში და ბოლოს ერთ მდინარეს მიადგნენ. მდინარე კარგა მოზრდილი იყო და გაღმა ნაპირზე ატეხილი ტევრი იწყებოდა. მამამ შეატყო, რომ მისი ვაჟები მდინარეს მარტო ვერ გატოპავდნენ, ცოლს მიუბრუნდა და უთხრა:

— მოდი, ჯერ შენ გადი გაღმა და მერე მე სათითაოდ გამოვიყვან ბავშვებსო.

დედოფალი გაღმა გავიდა, მამამ კი საადი ხელში აიყვანა და წყალში შევიდა. შუა მდინარეს რომ მიაღწია, ტყიდან მშიერი ლომი გამოვარდა, ნაპირზე დატოვებულ საიდს ეძგერა და მოიტაცა. ეს რომ მამამ დაინახა, ხელ-ფეხი აუკანკალდა, საადი ხელიდან გაუვარდა და წყალმა მოიტაცა. საბრალო დედოფალს ამის დანახვაზე გული შეუღონდა და უგონოდ დაეცა.

ბევრი წვალეების შემდეგ ხელმწიფემ, როგორც იყო, ცოლი მოასულიერა, მაგრამ მეტი კი ველარაფერი შესძლო. აბა, რა უნდა ექნა, ლომს ხომ ველარ დაეწეოდა და საიდს ვერ გამოსტაცებდა, ან მდინარეში ხომ ვერ გადაეშვებოდა, რომ საადისათვის ეშველა? დედოფალს ნუგეში სცა:

— რა ექნა, ჩვენი ბედი ესა ყოფილა, რაც გვეწერა ალბათ ის აგვიხდაო.

ერთი სიტყვით, ხელმწიფე და დედოფალი ამ გასაჭირის შემდეგ, რაც მათ გადახდათ, ერთ სოფელს მიადგნენ და მის განაპირას ნანგრევებში დაბინავდნენ.

ერთხელ ნანგრევებს უცხო მხედარმა ჩაუარა. დედოფალი რომ დაინახა, გაოცებული დარჩა — ასეთი ლამაზი ქალი ჯერ არ ენახა. იფიქრა: ეს ქალი როგორმე ხელში უნდა ჩავიგდოო. მიუახლოვდა და უთხრა:

— ეი, კეთილო კაცო, ღმერთმა აცხონოს მამაშენი, ჩემს ცოლს მუცელი ასტკივდა, მშველელი კი არავინ ჰყავს. რა იქნება, შენი ცოლი წამყვეს საშველად. ხომ იცი, მეც კაცი ვარ და სამაგიეროს გადაგიხდით...

ხელმწიფეს მხედრის ნათქვამში იოტის ოდენა ეჭვიც არ შეჰპარვია და ცოლს მოუბრუნდა:

— წაჰყე, უშველე ამ კაცის ცოლს, ვინძლო გასამრჯელოც მოგცეს და ერთ ხანს თავი გავიტანოთო.

დედოფალი, რასაკვირველია, დაეთანხმა და მხედარს წაჰყვა.

ერთი სიტყვით, იმ კაცმა დედოფალი გაიტყუა. ქალი რომ მიხვდა, მხედარი მატყუებსო, ხვეწნა-მუდარა დაუწყო, ქვასაც კი მოალბობდა იმისი ვედრება, ოღონდ იმ კაცის გულს მაინც ვერაფერი მოუხერხა.

საწყალი ქმარი კი დიდხანს ელოდა დედოფლის დაბრუნებას, მაგრამ ამაოდ. ბოლოს, ძალიან რომ შეწუხდა, დედოფლის საძებნად წავიდა, მაგრამ მისი მნახველიც კი ვერ იპოვა.

ეს საბრალო კაცი ერთ დროს სახელმწიფოს განაგებდა, ახლა კი უღაბნოს მგელზე უარეს დღეში ჩავარდნილიყო. რა უნდა ექნა? გზას გაუდგა, ოღონდ არც ის იცოდა, რისთვის მიდიოდა და არც ის — სად მიდიოდა. იგი რამდენიმე დღესა და ღამეს გახელებული კატასავით, გამწარებული ხან იქით აწყდებოდა და ხან აქეთ, ვიდრე ერთ დილას რომელიღაც ქალაქის სანახებში არ ამოყო თავი. ქალაქის გალავანთან უამრავი ხალხი შეყრილიყო. გაოგნებულმა ერთ კაცს ჰკითხა:

— ამდენ ხალხს აქ თავი რისთვის მოუყრიაო?

— ხელმწიფე გარდაგვეცვალა, — უპასუხა იმ კაცმა, — მემკვიდრე არა ჰყავდა და ახლა ხალხი აქ შეგროვდა, ხელმწიფის ამოსარჩევად; მიმინოს გააფრენენ, ვისაც თავზე დააჯდება, ჩვენი ხელმწიფეც ის იქნებაო.

საბრალო ნახელმწიფარი ამის გაგონებაზე იქაურობას გაეცალა და ხალხს გაშორდა. ამასობაში მიმინოც გაუშვეს, მიმინომ იფრინა, იფრინა და ამ ჩვენს ნახელმწიფარს ზედ თავზე არ დაასკუპდა?! ხალხი შემოეხვია და ეს რა დაინახეს—მიმინო ვიღაც დაღონებულსა და ნაღვლიან კაცს დაჯდომოდა თავზე და მას კი ეს ბედნიერება აინუნშიც არ მოსდიოდა. თქვეს, ეს კაცი ხელმწიფედ არ გამოგვადგებაო, და მიმინო ხელახლად ააფრინეს. მიმინო ისევ იმ კაცს დააჯდა თავზე, ისევ და ისევ ჩვენი ნახელმწიფარი ამოარჩია. რაღას იზამდნენ? მის ურჩობას ყური არ ათხოვეს, წაიყვანეს, ხელმწიფის ტანისამოსი ჩააცვეს, თავზე სამეფო გვირგვინი დაადგეს და ტახტზე დასვეს.

ჩვენი ნახელმწიფარი ახლა, ტახტზე რომ დასვეს, თქვენ რაღა დაგიმალოთ და, ცოტათი დამშვიდდა.

ამ სახელმწიფოში თურმე ასეთი წესი ჰქონდათ: ფადიშაჰი რომ ტახტ-

ზე აღიოდა, ხუტბას\* თვითონ ამბობდა ხოლმე. ამიტომაც იყო, რომ აქაც ხელმწიფის კარისკაცები შემოეხვივნენ, რომ ესწავლებინათ, თავი როგორ დაეჭირა და როგორ მოქცეულიყო. მაგრამ ნახეს, რომ იგი საუკეთესოდ ერკვეოდა ყველაფერში, თითქოს სულ ხელმწიფედ მჯდარათ. ყველა გაოცდა.

კარგა ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ფადიშაჰი ხელახლა გაამეფეს, მაგრამ მას ცოლ-შვილის დაკარგვის დარდი გულში ჯერაც არ განელებოდა. ერთ მშვენიერ საღამოს იანგარიშა: მისი ვაჟები — საადი და საიდი, ცოცხლები რომ გადარჩენილიყვნენ, ერთი ჩვიდმეტისა იქნებოდა, მეორე კი თექვსმეტი წლისა. დილით ვეზირი დაიბარა და უთხრა:

— ორი დავალება უნდა შეასრულო: ერთი, ალაყაფის მცველს დაავალებ — ქალაქში უცხო კაცი რომ შემოვა, აქ მოიპატიჟოს, სასახლის სტუმარი იყოს და პირველი ღამე ბირუნში\*\* გაათიოს. მეორე, ჩვიდმეტი და თექვსმეტი წლის ყველა ახალგაზრდა შეკრიბეთ და ყოველ ღამე ორი მათგანი სასახლის გუმაგებად განაწესეთ, ოღონდ ისე მოაწყვეთ, რომ ყოველ წყვილში ერთი გუმაგი თექვსმეტი წლისა იყოს, მეორე კი — ჩვიდმეტისაო.

ვეზირმა ფადიშაჰს თავი მდაბლად დაუკრა და უპასუხა:

— დაე, მშვიდობა ნუ მოაკლდება ქვეყნიერების თანასწორ ხელმწიფეს, ყველაფერი ისე აღსრულდება, როგორც თქვენ ბრძანებთ.

გადიოდა დრო. ამ ხნის განმავლობაში, როგორც კი უცხო კაცი ქალაქში ფეხს შესდგამდა, ალაყაფის მცველი გადაუდგებოდა და უბრძანებდა:

— ქვეყნიერების თანასწორი ფადიშაჰის განკარგულებით დღეს მისი სტუმარი ხართ და ღამე სასახლის ბირუნში უნდა გაათიოთ.

ამას გარდა, ყოველ ღამე ორ ყმაწვილს, რომელთაგან ერთი ჩვიდმეტი წლის უნდა ყოფილიყო და მეორე თექვსმეტისა, სასახლის გუმაგებად აყენებდნენ. ფადიშაჰი კი ახლად მოსულ სტუმრებსა და გუმაგებს ჩუმად ნახულობდა და საგანგებოდ აკვირდებოდა.

ერთ მშვენიერ საღამოს ხელმწიფეს ახალი სტუმრებისა და ყარაულების დათვალიერება დაეზარა და ისე დაიძინა. შუაღამე იქნებოდა გადასული, რომ ვიღაც კაცის ყვირილმა გამოაღვიძა. კაცი შველასა და დახმარებას ითხოვდა. ხელმწიფემ ყველაზე საიმედო მონა იხმო და ჰკითხა:

\* ხუტბა მუსლიმანთა ლოცვაა, რომელსაც კითხულობენ ხოლმე მეჩეთებში პარასკეობით, აგრეთვე უქმეების დროს.

\*\* ბირუნი ირანული სახლის გარე ნაწილია, რომელშიაც მამაკაცები ცხოვრობენ. მისი საპირისპიროა ანდერუნი, სახლის შიგა ნაწილი, რომელიც ქალებისთვისაა განკუთვნილი.

— ეს ყვირილი საიდან ისმისო?

— სასახლის ბირუნდანო, — მიუგო მონამ.

— ახლავე გასწი და შეიტყვე რა ამბავია! — უბრძანა ხელმწიფემ. მონა წავიდა ამბის შესატყობად. რამდენიმე წუთის შემდეგ დაბრუნდა და ხელმწიფეს მოახსენა:

— დიდებულო ხელმწიფევ, დაე, თქვენი მსხვერპლი იყოს ეს უღირსი მონა! წუხელ სასახლის ბირუნში ერთი ცოლ-ქმარი სტუმრად დამდგარა. შუალამისას თურმე ქმარი საუბრის ხმამ გამოაღვიდა და რა დაინახა: მის ცოლს სასახლის გუშაგები კალთაში ჩასხდომოდნენ და ერთ ალერსში იყვნენ. ამაზე ქმარს ყვირილი დაუწყია — მიშველეთო.

ხელმწიფე განრისხდა. მონას უბრძანა:

— ახლავ წადი და ორივე ყარაულს თავი წააგდებინე!

მონა სასახლის ბირუნში დაბრუნდა ხელმწიფის ბრძანების აღსასრულებლად. ქალმა ხვეწნა-მუდარა დაუწყო: ნუთუ იმიტომ მოგვიწვიეთ სტუმრად ხელმწიფის სასახლეში, რომ შვილები კალთაში დამიხოცოთ? ჯერ მე გამომასალმეთ სიცოცხლეს და მერე ჩემი ბავშვებიო.

გაკვირვებული მონა ხელმწიფესთან დაბრუნდა და ყოველივე უამბო დალაგებით.

— წადი და ის ცოლ-ქმარი სასწრაფოდ აქ მომგვარეო, — უბრძანა ხელმწიფემ.

სტუმრები მყისვე ფადიშაჰს წარუდგინეს. ხელმწიფემ იკითხა, რა ამბავიაო. ქმარმა უპასუხა:

— ამ ქალაქში პირველადა ვართ. ხელმწიფის ბრძანებით ღამის გასათევად სასახლის ბირუნში მოგვათავსეს. უცბად ღამე გამეღვიდა და, რა ნახა ჩემმა თვალებმა, ჩემს ცოლს კალთაში სასახლის ყარაულები ჩასხდომოდნენ და ერთ ალერსში იყვნენ. მე ყვირილი ავტეხე. იმ ორი ყარაულის მოსაკლავად ხელმწიფის ბრძანებით მონა მოვიდა, მაგრამ ჩემმა ცოლმა ისინი რომ გადაერჩინა იცრუა, ესენი ჩემი შვილები, ჩემი საადი და საიდი არიანო.

ხელმწიფემ რომ საადისა და საიდის სახელები გაიგონა, ტანში ჟრუანტელმა დაუარა. ქალს მიუბრუნდა:

— ჰოი, ქალო! ეს შენი ქმარი რას ამბობს?

— ქვეყნიერების თანასწორო, ხელმწიფევ, — მიუგო ქალმა, — ეს ჩემი ქმარი როდია, მე ამა და ამ ქვეყნის ხელმწიფის ცოლი ვიყავი.

ერთხელ ჩემ ქმართან ერთი დერვიში მოვიდა, შეაცდინა და ტახტი წაართვა. იძულებული გავხდით იმავ საღამოს ჩვენი ქვეყნიდან გადავხვეწილიყავით. გზაში ერთ მდინარეს მივაღექით. ბავშვები რომ მდინარეზე გადაგვყავდა, ერთი ლომმა მოგვტაცა, მეორე კი წყალმა წაიღო. ამის შემდეგ მე და ჩემი ქმარი სოფლის ნანგრევებში დავბინავდით. იქ ერთმა მხედარმა ჩამოიარა. მე რომ დამინახა, მოიმინჯეზა, ჩემს ცოლს მუცელი სტკივალს და მთხოვა, საშველად გავყოლოდი. ვიფიქრე, მოვამშობიარებ და ჩქარა უკან დავბრუნდები-მეთქი. მაგრამ ის კაცი თურმე ცრუობდა; ასე მომატყუა და დღემდე ძალით მაკავებდა. გუშინ ამ ქალაქზე გავლამ მოგვიწია. ქალაქის ალაყაფის მცველმა ხელმწიფის ბრძანება გაგვაცნო — პირველი ღამე სასახლის ბირუნში უნდა გაათიოთო. ჩვენც დავმორჩილდით და აქ მოგვედით. სასახლეში რომ შემოვედი, ჩემი ქმარი და მისი მეფობის დრო გამახსენდა. დავწექით, მაგრამ თვალზე რულიც არ მომკარებია. ამასობაში კარიდან გუშაგების საუბარი შემომესმა. ჩემდა უნებურად ყური მივუგდე, ერთი გუშაგი მეორეს ეუბნებოდა:

— ძმობილო, ძილი რომ არ მოგვერიოს, მოდი ვისაუბროთ. შენ შენი თავგადასავალი მიაბზე და მეც ჩემსას მოგიყვებით.

— ძალიან კარგიო. — დაეთანხმა მეორე გუშაგი, რომელიც პირველზე უფროსი იყო და დაიწყო:

— მე საადი მქვია. ახლა რომ ყარაულადა და გუშაგად მხედავ, ადრე ასე როდი ვიყავი. მამაჩემი ხელმწიფე იყო და დიდი ქონება ჰქონდა. სხვათა შორის, იგი ძალიან ჰგავდა აქ ჩვენს ხელმწიფეს.

ერთხელ მამაჩემთან დერვიში მოვიდა და მოტყუებით ტახტი წაართვა. მამამ მე, ჩემი ძმა, რომელსაც საიდი ერქვა, და დედაჩვენი იმ ქალაქიდან წამოგვიყვანა. გზაში ერთ დიდ მდინარეს მივაღექით, მამამ იფიქრა, ჩემი შვილები მდინარეში ვერ გავლენო და მე ამიყვანა ხელში მდინარეზე გადასაყვანად, საიდი კი ნაპირზე დასტოვა. უცბად ტყიდან ლომი გამოვარდა და ჩემი ძმა მოიტაცა. მამა დაიბნა, ხელები აუკანკალდა, მე ხელიდან გავუვარდი და წყალმა მომიტაცა. სამი ფარსახი წყალმა მატარა. ერთმა მეველემ დამინახა და ამომათრია წყლიდან. ახლა ცოცხალი რომ ვარ, იმ კეთილი მეველის წყალობითაა. მეველე საკუთარი შვილივითა მზრდიდა და ხელმწიფის ბრძანება რომ მოვიდა, თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლის ყმაწვილებმა რიგრიგობით ხელმწიფის სასახლეში უნდა იყარაულონო, ახლა აქ გამომგზავნა.

მეორე გუშაგმა რომ ეს სიტყვები მოისმინა, გახარებულმა წამოიძახა:

— ღმერთო ჩემო, შენ ჩემი უფროსი ძმა ყოფილხარ! მე სწორედ ის საიდი ვარ ლომმა რომ მოიტაცა. ტყეს რომ გავშორდით, ერთმა მონადირემ დამინახა, შევეცოდე, ლომს ისარი ჰკრა და მისი ჭანგიდან დამიხსნა. მერე სახლში წამიყვანა და შვილივით მივლიდა. მადლი ღმერთს, რომ კვლავ ერთად შეგვყარა!

— ჰოი, ხელმწიფეო, — განაგრძო ქალმა, — ამ სიტყვებს რომ ვისმენდი, ვერ წარმოიდგენთ რა დამემართა. ანგარიშმიუცემლად გარეთ გავვარდი და გუშაგებს შევძახე: ბიჭებო, თქვენ ჩემი შვილები ხართ-მეთქი. მერე შიგნით შემოვიყვანე. კალთაში ჩავისვი და გულს ვიოხებდი, ვეალერსებოდი: ჩემო საად და ჩემო საიდ-მეთქი. ამ კაცს გაელვიდა და ყვირილი მორთო — მიშველეთო. მერე თქვენი მონა მოვიდა და მითხრა, ხელმწიფის ბრძანებით ეს ვაჟები უნდა დავხოცოთო.

ხელმწიფე ქალის ნალაპარაკევეს ყურს უგდებდა და აქამდე ძლივს იკავებდა თავს, მაგრამ აქ კი ველარ გაუძლო და შესძახა:

— ქალო, შენ ხომ ჩემი ცოლი ხარ და ეს ბიჭები კი ჩემი შვილები არიან! ასი ათასი მადლი უფალს, რომ ერთხელ კიდევ გიხილეთო.

ვერ წარმოიდგენთ, რა ბედნიერები იყვნენ ფადიშაჰი და მისი ცოლ-შვილი.

ამ ამბების შემყურესა და ამ სიტყვების მსმენელს ხელმწიფის ცოლის მომტაცებელ მხედარს გული საგულეს აღარ უდგებოდა და შიშით წნორის ფოთოლივით თრთოდა.

ბოლოს ხელმწიფემ ბრძანა, რომ ის საძაგელი კაცი ღრმა ორმოში ჩაესვათ, რათა ამიერიდან მის ხარბ თვალს სხვისი ქონებისათვის შურით აღარ შეეხედა.

ხალხმა რომ ეს ამბავი შეიტყო, გაუხარდათ, ქალაქი ათასფერი სარკეებით მორთეს და შვიდი დღე და ღამე იქაურობა გაჩირაღდნებული იყო.

ხელმწიფემ მონადირისა და მეველის მოსაყვანად კაცები გაგზავნა. იმ სიკეთისათვის, რაც მათ საადისა და საიდის მიმართ გამოიჩინეს, ხელმწიფემ ერთი მარჯვენა ხელის ვეზირად დაისვა, ხოლო მეორე — მარცხენა ხელის ვეზირად.

ჩვენი ზღაპარიც დასრულდა. იმედია, როგორც იაკობმა ორმოცი წლის შემდეგ იპოვნა თავისი დაკარგული იოსები, ხოლო ჩვენმა ფადიშაჰმა — თავისი ცოლ-შვილი, ჩვენც ისე ვეწევით ჩვენს საწადელს.



## ყვითელი ჰარი

იყო ერთი ხელმწიფე. მას მხოლოდ ერთი ასული ჰყავდა. ხელმწიფის ასულს ფუფუნებით ზრდიდნენ და ანებივრებდნენ, მაგრამ ის დედის გარდაცვალებას ნაღვლობდა და სულ სევდიანი იყო. ხელმწიფე ქალიშვილს უალერსებდა და ანუგეშებდა, ფიქრობდა, იქნებ გუნება გაეხსნასო, მაგრამ ქალის ბაგეებს ღიმილი მაინც არ ეკარებოდა.

ერთხელ ხელმწიფეს თავისი ასული უწინდელზე სევდიანი დახვდა. მიუალერსა და ჰკითხა:

— ჩემო საყვარელო გოგონა, ეგრე რამ დაგაღონა. მითხარი, ხომ არაფერი გაკლია? ოღონდ კი რამე მოიწადინე, თუნდ ჩიტის რძე, გინდ ადამიანის სული, ყველაფერს წუთში გაგიჩენო.

— ალაჰსა ვფიცავ, — მიუგო ქალიშვილმა, — მეც არ ვიცი, რა მომ-

დის. თუ ნებას მომცემ, სანადიროდ წავალ რამდენიმე დღით, იქნებ გული გადავაყოლო და სიმშვიდე დამიბრუნდეს.

ხელმწიფე დათანხმდა.

ქალიშვილმა რამდენიმე დღის თადარიგი დაიჭირა და სანადიროდ წასასვლელად მოემზადა. ხელმწიფემ თავის ასულს თან მისი ტოლი ახალგაზრდა ქალები, ჰარამხანის საჭურისები და ათი მონა გააყოლა. იფიქრა: ვინ იცის, ველსა და ჭალებში სეირნობამ ჩემს ქალიშვილს სევდა გაუქარვოსო.

ერთი სიტყვით, დანიშნულ დროს ხელმწიფის ასული და მისი ამა-ლა ცხენებზე შესხდნენ და ქალაქის კარიდან გავიდნენ. შუადღე იქნებოდა, რომ მდინარის ნაპირს მიადგნენ, აქა-იქ მოჩანდა გუნდად ამოსული ხეები. ხელმწიფის ასულს იქაურობა მოეწონა და თავის მხლებლებს უბრძანა:

— მშვენიერი ადგილია, გაშალეთ კარვები. ჯერჯერობით აქ დავბანაკდეთ და მერე ვნახოთ, რა იქნებაო.

— ძალიან კარგო, — ყველა დაეთანხმა და საქმეს შეუდგნენ. მონები ცხენებიდან ჩამოხდნენ და ხელმწიფის ასულს და მის მხევლებს კარვები გაუშალეს. ოდნავ მოშორებით თავიანთი კარვები დადგეს და მერე სხვა საქმეებს შეუდგნენ.

ცოტა ხნის შემდეგ სუფრაც გაშალეს და ისადილეს. ძალიან ცხელოდა. მგზავრები დაქანცულები იყვნენ და დასასვენებლად მიწვნენ.

მალე მთელ ბანაკს ჩასთვლიმა, მაგრამ ხელმწიფის ქალიშვილს თვალზე რული არ ეკარებოდა. მხარ-თეძოზე წამოწოლილიყო და ფიქრს მისცემოდა. ცოტა რომ დაისვენა, წამოდგა და მდინარის პირას გაისეირნა. უცბად დაინახა, რომ წყალს ერთი მოზრდილი ყვითელი ვარდი მოჰქონდა. ქალიშვილს ვარდი ძალიან მოეწონა. მოინდომა მისი დაჭერა და მარჯვე ადგილის ძებნაში მდინარის ნაპირს დაუყვა. რამდენიმე საათს თავდავიწყებით სდია ნაპირ-ნაპირ წყალში ჩაუარდნილ ვარდს. როცა გამოერკვა, სადამო ხანი იყო. მზე უკვე ჩადიოდა, ბანაკი კი ძალიან შორს იყო.

— ღმერთო, შენ მიშველე, ეს რა მომივიდა, — ამოიოხრა ქალიშვილმა, — ამ კუნაპეტ ღამეს მარტოდმარტო დარჩენილმა რა ქვას ვახალო თავი, ღამე სად გავათიო ან ნადირს როგორ გადავურჩე?

წყვედიადი ჩამოწვა. ქალიშვილს თავში მწარე ფიქრი უტრიალებდა და გაბოროტებული აქეთ-იქით აწყდებოდა. ბოლოს, სხვა რომ ვედარაფერი მოახერხა, ხეზე აცოცდა და გაიტრუნა.



მალე მთვარე ამოცურდა და უდაბნოს ბულიც განელდა. ხის ტოტებში ჯერ კიდევ კარგად ვერ მოეკალათა ქალიშვილს, რომ ჯორების ეჟვანთა წკარუნი და ფლოქვების თქარათქური შემოესმა. რამდენიმე წუთსაც არ გაუვლია და იმ ხეს ქარავანი მოადგა. წინ მოუძლოდა თეთრ ქურანზე გადამჯდარი ახოვანი და პირსავსე ყმაწვილი, რომელსაც უკან ათიოდე მხედარი მოჰყვებოდა.

თურმე ნუ იტყვით, ეს ხელმწიფის ვაჟი იყო. გზა აბნეოდა და აქეთ შემთხვევით გამოიარა. უფლისწულს ეს ადგილი ძალიან მოეწონა და ბრძანა: საპალნეები ჩამოხსენით და ბანაკი გაშალეთ.

მონები და მხედრები ცხენებიდან ჩამოხდნენ. ჯერ უფლისწულს გაუშალეს კარავი და მერე თავიანთი კარვებისა და სამზარეულოს გამართვას შეუდგნენ. მონებმა უფლისწულის კარავი სწორედ იმ ხის ძირას გაშალეს, რომელზეც ქალიშვილი იყო ასული.

ხელმწიფის ვაჟს თურმე ასეთი ჩვეულება ჰქონდა: მწუხრის ნამაზის \* შემდეგ ცოტას წასთვლემდა, მერე ადგებოდა, ვახშამს შეექცეოდა, ორ-სამ საათს კარისკაცებთან იმასლაათებდა და მერე კვლავ დაიძინებდა. დილით კი ძალიან ადრე დგებოდა.


მწუხრის ნამაზის შემდეგ ხელმწიფის ვაჟმა ჩვეულებისამებრ წაიძინა. მსახურმა ვახშამი მოართვა, სინზე დალაგებული საჭმელები კარავში დასტოვა და წავიდა. იფიქრა: როცა გაელვიძება, ივახშმებსო.

ქალიშვილი თურმე ხიდან ყველაფერს თვალყურს ადევნებდა. მსახური რომ წავიდა, ქალიშვილი ძირს ჩამოცოცდა, კარავში შეიპარა, უფლისწულის ვახშამს შეექცა და ისევ ხეზე აცოცდა.

ნახევარი საათის შემდეგ უფლისწულმა გამოიღვიძა და რა ნახა — მისი ვახშამი ვიღაცას შეეჭამა, გაჯავრდა, მონას დაუძახა და ჰკითხა: ჩემს ვახშამს ხელი ვინ ახლოო. მსახურებმა დაიფიცეს, არც ერთ ჩვენგანს ხელი არ უხლია და რა მოხდა, არაფერი ვიცითო.

რაღა უნდა ექნა? ვაჟი ნარჩენებს შეექცა და ცოტა ხნის შემდეგ ისევ დაიძინა.

\* ნ ა მ ა ზ ი ლოცვაა, რომელსაც მუსლიმანები დღეში ხუთჯერ ასრულებენ: დილით, მზის ამოსვლის დროს, შუადღისას, მზის ჩასვლამდე ორი საათით წინ, მზის ჩასვლისას და ძილის წინ. შესაბამისად ეწოდება: ცისკრის, შუადღის, ნაშუადღევის, მწუხრისა და ძილის-პირის ნამაზი.



დილით ბანაკი აიშალა. ჩალვადრებმა უფლისწულს ქარავნის დაძვრის ნებართვა სთხოვეს, მაგრამ უფლისწულმა იუარა:

— ეს ადგილი ძალიან მომეწონა და ორიოდ დღე აქ გავატაროთ. ერთი სიტყვით, მეორე დღესაც იქვე დარჩნენ.

მოსაღამოვდა. უფლისწულმა თვალი მოატყუა. მსახურებმა ვახშამი მოართვეს და კარავში დაუტოვეს. ქალიშვილი ისევ ჩამოვიდა ხიდან, კარავში შეიპარა, ნახევარი სინი მოატარიელა და ისევ ხეზე აცოცდა.

უფლისწულმა რომ გაიღვიძა, ვახშამს ეცა. სინი განახევრებული დახვდა! ძალიან გაჯავრდა და მსახურები მკაცრად დატუქსა, საცოდავები ეფიცებოდნენ, რა ხდება არაფერი გვესმისო. მაგრამ აბა, ვინ იყო მათი გამკითხავი?

მესამე საღამოსაც იგივე განმეორდა.

უფლისწულმა იფიქრა, აქ რაღაც ამბავიაო, და ერთ ხერხს მიმართა: შემდეგ საღამოს, მზის ჩასვლის ჟამს ტახტზე წამოწვა და თავი მოიმძინარა. მსახურებმა ვახშამი მოართვეს, სინი კარავში დასტოვეს და წავიდნენ. უცბად უფლისწულმა დაინახა, ხიდან მზესავით ლამაზი და ნარნარა ქალიშვილი ჩამოცოცდა, პირდაპირ მის კარავში შევიდა და მოურიდებლად დაუწყო ჭამა სინზე დაწყობილ საჭმელებს. კარგად რომ დანაყრდა, წამოდგა და ხეზე აცოცება დააპირა, მაგრამ ვაჟი ანაზღად მაჯაში სწვდა და ჰკითხა:

— ეს რა ამბავია? ვინ ხარ ან ჩემს კარავში რა გინდოდაო?

ქალიშვილმა დაწვრილებით უამბო უფლისწულს თავისი თავგადასავალი.

უფლისწულს ქალიშვილის გაცნობა და მასთან ბაასი ძალიან ეამა. იფიქრა: ამაზე უკეთეს საცოლეს, აბა, სად ვიშოვნო. წყრომა დაუცხრა და მორიდებით შესთავაზა:

— ხეზე რა გინდა, ჩემთან დარჩი ამ კარავშიო.

ქალიშვილი დათანხმდა. რამდენიმე საათი ტკბილ ბაასში გაატარეს და გული მოიხეს. მეორე ძილიც მოერიათ. ვაჟმა ხანჯალი იძრო და ლოგინის შუაში დასდო. ერთ მხარეზე თვითონ დაწვა, მეორეზე ქალიშვილმა დაიძინა.

ასე გაატარეს ერთად რამდენიმე დღე და ღამე. უფლისწულმა შენიშნა, რომ ქალიშვილი დილით გვიან დგებოდა ხოლმე.

ერთხელ უფლისწულმა იგი საგულდაგულოდ გააფრთხილა:

— ხვალ დილაადრიან აქედან უნდა დავიძრათ. ჩვენთან წამოსვლას თუ ისურვებ, ადრე ადექი, დროით რომ მოვემზადოთ და გზას გავუდგეთო.

მეორე დღეს უფლისწულმა ალიონზე გაიღვიძა, ქალიშვილს კი ისევ ტკბილად ეძინა. გაღვიძება მოერიდა. მხევალ ქალს მიუბრუნდა და უთხრა:

— წადი, მინდორში ყვითელ-ყვითელი ყვავილები დაკრიფე და მოიტანეო.

ქალი წავიდა და ჩქარა მთელი კალთა ყვავილები მოიტანა.

ვაჟმა ყვითელი ყვავილები მძინარე ქალიშვილს გულზე გადააყარა, მერე სასთუმალთან ხანჯალი დაუდო და პატარა წერილიც დაუტოვა: „ჩვენ რომ წასასვლელად ავიშალეთ, შენ ისევ ტკბილად გეძინა. მოგვერიდა და არ გაგაღვიძეთ. თუ გულმა ჩემსკენ გამოგიწიოს, რკინის ქალამნები ჩაიცივი, ხელში ფოლადის ყავარჯენი დაიკავე და მეძებე, ვიდრე არ მიპოვნი“.

უფლისწულმა წერილს ბოლოში ერთი პატარა ლექსიც მიაწერა, ქალიშვილს დაუტოვა და ქარავანი გზას გაუდგა.

ხელმწიფის ქალიშვილს კი ისევ ტკბილად ეძინა.

უკვე შუადღე იქნებოდა, ქალიშვილმა რომ გამოიღვიძა. გარშემო თვალი მოავლო. კაცის ჭაჭანება აღარსად ჩანდა და მხოლოდ მისი კარავი იდგა ობლად დატოვებული. იგი წამოდგა და უფლისწულის წერილი წაიკითხა. გულის სიღრმიდან ოხვრა აღმოხდა და სინანულით ტუჩზე იკბინა; არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

უცბად ქალიშვილმა შორიახლოს ერთი მწყემსი დაინახა, რომელიც ფარას აძოვებდა. დაუძახა და უთხრა:

— ამ კარავს ოქროს გუმბათიანად შენ გაჩუქებ, ოღონდ ეგ ფაფახი და ქურჭი მე მომეციო.

მწყემსი, რასაკვირველია, სიხარულით დათანხმდა. ქალიშვილმა ფაფახი და ქურჭი გამოართვა, უფლისწულის ხანჯალი წელზე შემოირტყა, ფაფახი დაიხურა, მხრებზე ქურჭი მოიგდო და ქარავანს გამოუდგა.

ახლა იმას აღარ იკითხავთ, გზაში რა გაჭირვება გადახდა ან რა დაბრკოლებები გადალახა? როსტომისა და ესფენდიარის\* ვაჟზე ნაკლები გაჭირვება როდი გადახდენია ამ ქალიშვილს, ვიდრე უფლისწულის ქალაქს მიადგებოდა.

ქალაქის კართან ქალიშვილს გუშაგი გადაუდგა:

\* როსტომი და ესფენდიარი ფირდოუსის უკვდავი პოემის „შაჰ-ნამეს“ გმირებია.

— ყმაწვილო (რაკი ქალიშვილი მწყემსურად იყო გამოწყობილი, გუშაგს ვაჟი ეგონა), ხელმწიფის ბრძანებაა, რომ უცხო კაცი ქალაქში არ შემოვუშვათ. გირჩევნია, საიდანაც მოსულხარ, იმავე გზით წახვიდეო.

საბრალო ქალიშვილს ელდა ეცა. რამდენი ტანჯვა-ვაება გამოიარა, ვიდრე აქამდე მოაღწევდა და ახლა კი უთხრეს: ქალაქში უცხო კაცის შემვება აკრძალულიაო. რა უნდა ექნა? გუშაგს ხვეწნა-მუდარა დაუწყო:

— ვის რა უნდა დავუშავო ან მე რა უცხო მნახეთ? გაღმა სოფელში ვცხოვრობ, ჩემს ნათესავს ფული უნდა გამოვართვა და ქალაქში ხორაგი ვიყიდოო.

გუშაგს შეებრაღა და ქალაქში შეუშვა.

ასე და ამრიგად, მწყემსის ქურქსა და ფაფახში გამოწყობილმა ხელმწიფის ასულმა ქალაქში შეაღწია. რამდენიმე დღე ქურჩა-ქურჩა დაეხეტებოდა და უფლისწულს დაეძებდა, მარგამ არ იქნა და ვერსად მიაგნო. დაღონდა. უკან დაბრუნებას აპირებდა, რომ ერთ აბანოს მიადგა. კართან ჩამწკრივებული ფარეშები, იასაულები და ასასები ახლოს არავის უშვებდნენ. ხელში კვერთხები ეჭირათ და მოზღვავებულ ხალხს იმით იგერიებდნენ.

ქალიშვილმა მორიდებით ჰკითხა ერთ-ერთ დამსწრეს:

— რა ამბავია, ხალხი ასე რატომ ფუსფუსებს?

— როგორ? განა არ იცი, რომ ჩვენი ხელმწიფის ვაჟი საქორწინოდ ემზადება? ახლა ამ აბანოში უნდა მოვიდეს ინისა და ბასმის წასასმელად\*.

ქალიშვილს ძალიან გაუხარდა ვაჟის კვალს რომ მიაგნო, მაგრამ ის კი აღარ ეჭაშნიკა, საქორწინოდ რომ ემზადებოდა.

ქალიშვილი დაღონდა და მწარე ფრქვს მიეცა. უცბად აბანოს კართან ჩოჩქოლი ატყდა და მსახურებმა ტახტრევანი დადგეს. ტახტრევანში უფლისწული იჯდა, რომელსაც ერთი ვეზირის ვაჟი ხელმარჯვნივ მოესვა, მეორე ვეზირისა — ხელმარცხნივ და უკან ცხენოსანთა რაზმი მოჰყვებოდა.

ყოველი მხრიდან ზღვა ხალხი მიაწყდა უფლისწულისა და მისი ამალის სანახავად.

ქალიშვილმა რის ვაი-ვაგლახით ხალხში გზა გაიკვლია და წინ წარ-

\* ირანში ქორწინების წინ ფეხისა და ხელის გულებს, აგრეთვე წვერ-უღვაშს ინითა და ბასმით იღებავდნენ ხოლმე.

სდგა, უფლისწულს თვალი თვალში გაუყარა და მისი დატოვებული ლექსი წამოიწყო.

უფლისწულმა რომ ლექსი მოისმინა, მთქმელი გულდაგულ შეათვალიერა და მიხვდა, ვინც უნდა ყოფილიყო. კარისკაცებს ანიშნა, ის მწყემსი მოიყვანეთ და გვერდით მომისვითო.

კარისკაცები სახტად დარჩნენ, მაგრამ აბა, უფლისწულის ნებასურვილს ხომ ვერ გადაუხვევდნენ?

მოკრძალებით ჰკითხეს:

— დიდო ბატონო, გვერდით ეს ვინ მოისვითო?

— ჩაცმულობის მიხედვით ნუ იმსჯელებთ. ამით ხშირად ტყუვდება ადამიანი, ბოლოს თქვენც მიხვდებით და ჩემი სიტყვებიც გაგახსენდებითო, — მიუგო უფლისწულმა.

ერთი სიტყვით, უფლისწულმა ჩვენი „მწყემსი“ სასახლეში მიიყვანა. მის დანახვაზე დედოფალს ელდა ეცა და ვაჟს ჰკითხა:

— ეს ვინ მოგიტრევია? განა ჩვენს სახელმწიფოში სახელოვანი კაცი გაწყდა, გვერდით მწყემსი რომ არ მოგესვა? თანაც ახლა, ქორწილი რომ კარზე მოგვდგომია. მამაშენის ვეზირებს თავი სასაცილოდ ხომ არ უნდა ააგდებინო?

ახლა ამას თავი დავანებოთ და უფლისწულის საცოლის ამბავი მოისმინეთ.

ამ ჩვენს უფლისწულს ერთი ხეპრე დეიდაშვილი ჰყავდა, რომელიც ვაჟს არც გარეგნობით მოსწონდა. დედოფალს კი დაეჩემებინა: გინდა თუ არა, ჩემი დისშვილი შეირთეო. ვაჟმა ბევრი იუარა, მაგრამ დედოფალი თავისას არ იშლიდა. ბოლოს ვაჟი კიდევაც დაიყოლია, სიტყვა ჩამოართვა, რომ იმ ქალის მეტს სხვას არავის შეირთავდა. თუ გინდათ მართალი იცოდეთ, ის მოგზაურობა, რომლის დროსაც ვაჟს გზა აებნა და შემთხვევით ხელმწიფის ქალიშვილს წააწყდა, ამ ქორწინებისაგან თავის დასაღწევად მოიმიზუნა. ერთი სიტყვით, ეს ძალიან გრძელი ამბავია და ამით თავს არ შეგაწყენთ.

ვაჟი რომ მოგზაურობიდან დაბრუნდა, დედოფალი აღარ ეშვებოდა. ჩასჩინებდა: ნუ აყოვნებ, ჩემი დისშვილი შეირთე, თორემ ჩემი ძუძუ შენზე არამი იქნებაო.

ბოლოს, ასე იყო თუ ისე, ვაჟი დაიყოლია და საქორწინო სამზადისსაც შეუდგნენ: უფლისწული აბანოში გაგზავნეს, როგორც ქორწინების წინ იცო-

დნენ ხოლმე. იქიდან რომ დაბრუნდებოდა, დააქორწინებდნენ და ნეფე-დე-დოფალს ერთად დასტოვებდნენ განმარტოებით.

უფლისწული რომ აბანოდან გამოვიდა, როგორც უკვე გიამბეთ, მწყემსურად გამოწყობილი ქალიშვილი დაინახა. გულის დადი განუახლდა და სასახლეში წაიყვანა.

მეორე სადამოსათვის უკვე ქორწილი იყო დანიშნული. დედოფალი ვაჟთან მივიდა და უთხრა:

— კმარა, ამაღამ ეგ მწყემსი დაითხოვე!

— არა, ხელს არ შეგვიშლის, ბაღში ჩავიყვანოთ, აუზთან ლოგინი გაუშალონ და იქ ვიყოლიოთ, — მიუგო ვაჟმა.

დედოფალს ვაჟის პასუხი არ ეჭაშნიკა, მაგრამ რაღას იზამდა?

— კეთილი, — ჩაიბუზღუნა დედოფალმა, — ეგრე იყოს, მაგრამ მიბრძანებ კიდევაც? — თითქოს არ იცოდე, რომ ხვალ ბაღში სუფრა უნდა გაშალონ ქალაქის გლახაკთა და დავრდომილთათვის!

ქალიშვილმა რომ ეს საუბარი მოისმინა, დაღონდა. ადგა და სასახლის კიბეები ჩაირბინა, ბაღში შევიდა და აუზთან აიტუზა. უცბად მწყემსის ქურჭი და ფაფახი წნორის ხის ქვეშ დაყარა, აბგიდან თავისი ტანსაცმელი ამოიღო, შიგ გამოეწყო და მოიკაზმა. მეორე ვაჟის დატოვებული ხანჯალი აიღო და მუცელში ჩაიკრა. სისხლმა შადრევანივით გადმოხეთქა და ქალიშვილი უღონოდ ჩაიკეცა.

სასახლეში კი ხელმწიფის ვაჟი და მისი დეიდაშვილი უკვე დააქორწინეს, დარბაზში შეიყვანეს და სუფრასთან ერთმანეთის გვერდზე დასვეს. უფლისწულს უცბად გულმა რეჩხი უყო, უნებურად წამოხტა, პატარძალი მიატოვა და ბაღში გავიდა. მუცელგამოფატრული ქალიშვილი რომ დაინახა, ვაჟმა ხანჯალს სტაცა ხელი, მუცელში იკრა და ისიც გვერდით მიუწვა.

პატარძალმა რომ ნახა ნეფე აღარ ბრუნდებოდა, ნადიმი მიატოვა და ისიც ბაღში შევიდა. მუცელგაფატრული უფლისწული და ვილაც უცხო ქალი რომ დაინახა, ერთი ხმამაღლა შეჰკივლა და გულშედონებული დაეცა. მის ხმაზე დედოფალი, ხელმწიფე და სტუმრები წამოიშალნენ და ბაღში გაცვივდნენ. იქ მუცელგაფატრული ქალ-ვაჟი და გულშემოყრილი პატარძალი დახვდათ. საშინლად განცვიფრდნენ, არავინ იცოდა ან ის ქალი ვინ იყო, ან რა უბედურება იყო მათ თავს.

ყველა უხმოდ იდგა გაშეშებული. უცბად წნორის ხეზე შემომჯდარი მტრედების ღუღუნის მოესმათ. ერთი მეორეს ეუბნებოდა:

— დობილო!

— გისმენ, ჩემი თავი გენაცვალოს, დაიკო!

— ეგ გაფატრული ქალი, — დაიწყო მტრედმა, — მაგანი ხელმწიფის ქალიშვილია. იგი ვაჟის სიყვარულმა და მასთან შეყრის სურვილმა მოიყვანა აქ მწყემსის ქურქში გამოწყობილი. ქალ-ვაჟმა მუცლები ერთმანეთის სიყვარულით დაიფატრეს. მაგრამ საშიში არაფერია. თუ ახლავე ამოუკერავენ მუცლებს და ზედ ამ ხის რტოს მოუსვამენ, ჭრილობა იმ წუთშივე შეუხორცდებათ და განიკურნებიან.

მართლაც უფლისწულსა და ქალიშვილს მაშინვე ამოუკერეს მუცლები და ზედ იმ წნორის ხის რტო მოუსვეს. ორივე განიკურნა და ქორწილიც განახლდა, ოღონდ ახლა ნეფე-დედოფლის ადგილას უფლისწული და ხელმწიფის ქალიშვილი დასვეს, დეიდაშვილი კი მისსავე ბიძაშვილს შერთეს.


ქორწილი დასრულდა. ორმოციოდე დღემ რომ გაიარა, ქალიშვილმა უფლისწულს სთხოვა:

— რომ იცოდე, როგორ მომენატრა მამა, რა იქნება, წავიდეთ და ვინახულობთ?

ვაჟი დათანხმდა და გზას გაუდგნენ. იმ ქალაქს რომ მიადგნენ, სადაც მამამისი ცხოვრობდა, ქალიშვილმა თავისი თავგადასავალი და უფლისწულის ამბავი გრაგნილზე დასწერა და მამას გაუგზავნა. ხელმწიფემ თურმე ბევრი იგლოვა თავისი ასული, ბევრიც ეძია, მაგრამ ვერსად მიაგნო. საცოდავს მისი ჯავრით არც დღე და არც ღამე თვალზე რული არ მიჰკარებოდა. გრაგნილი რომ წაიკითხა, ძალიან გაუხარდა, სიძე-ქალიშვილს ქალაქგარეთ გაეგება თავისი ნაზირ-ვეზირებით და დიდი პატივითა და დიდებით შეუძღვა ქალაქში. ორმოცი დღე და ღამე დიდ ლხინსა და ქეიფში იყვნენ. ხელმწიფის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, რომ მის ქალიშვილს, მაღალი ღმერთის წყალობით, ასეთი ბედნიერება ეწვია.

რაკი ხელმწიფეს ვაჟი არა ჰყავდა, სიძე თავის მემკვიდრედ გამოაცხადა.

დიდხანს აღარ გაუვლია, რომ ორივე სამეფო ამ ვაჟს დარჩა და ორი ქვეყნის ხელმწიფე გახდა.



## ც ე რ ე ნ ა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ღარიბი მხერხავი. იგი ყოველ ცისმარე დღეს ტყეში მიდიოდა, შეშას ჭრიდა და ქალაქში ჰყიდდა. აღებული გროშებით თავსაც ირჩენდა და ცოლსაც ინახავდა.

ზამთრის საღამო იყო. კაცი კერას ეფიცებოდა, ცოლი კი იქვე გვერდით ეჯდა და მატყლს ართავდა. ქმარმა ერთი ღრმად ამოიოხრა და ცოლს შესჩივლა:

— ალაჰს გაფიცებ, მითხარი, გრძნობ თუ არა ჩვენს უბედურებას? ნეტავ ერთი ბალღი გვეყოლოდა, ამ ზამთრის გრძელ ღამეებში თავისი ტიტინით მაინც შეგვეყოლიებდა. შეხედე ჩვენს მეზობლებს, ჩვენსავით როდი არიან, მათ სახლებში სულ ბავშვთა ტკბილი ტიტინი ისმის და ერთი ჟრიამული დგას.

— კი ვგრძნობ ჩვენს უბედურებას, — ოხვრით მიუგო ქალმა, —

მაგრამ რა უნდა ვქნათ? ალაჰმა შვილი არ გვადირსა, თორემ ერთი ცეროდენა ბავშვიც რომ გვყოლოდა, იმაზედაც ყაბულს ვიქნებოდი. ალაჰსა ვფიცავ, შენც ძალიან გეყვარებოდა.

ცოლი რომ ამას ამბობდა, კაცს ცხვირი დააცემინა. ქალმა ეს სიკეთის ნიშნად მიიჩნია და მიაძახა:

— ჰოი, ღმერთო მოთმინებისა, ისმინე ჩვენი ვედრება, ალაჰი ყოველთვის მოგვიწოდებს — „მოთმინებითა შენითა მოიპოვე სასუფეველი შენიო“.

გავიდა ხანი. ერთ მშვენიერ დღეს ქალს მუცელი ასტკივდა და ერთი პაწაწინა ბიჭი ეყოლა. ბავშვს ხელი, ფეხი, ყური და სხეულის სხვა ნაწილები ადამიანისა დაჰყვა, ოღონდ ყველაფერი ისეთი პაწაწინა, რომ თავი მუხუდოს მარცვალზე უფრო პატარა ჰქონდა.

ცოლ-ქმარი მაინც ძალიან გახარებული იყო, ბავშვს ექვსი ღამე უთიეს და ცეროდენა დაარქვეს.

— სწორედ არ აგვიხდა ალაჰის ვედრება? — უთხრა ერთხელ ქალმა ქმარს, — ახლა რაღა გაეწყობა, რაც არის. ბავშვს მზრუნველობა და აღერსი არ უნდა მოაკლდეს.

გადიოდა ხანი. დედ-მამა ცეროდენას მზრუნველობას არ აკლებდა, მაგრამ ბავშვი არ იზრდებოდა და ისეთივე პაწაწა რჩებოდა, როგორი ნამცეცაც დაიბადა. ოღონდ მაცდური თვალელები და სახის იერი მოწმობდა, რომ უაღრესად გამჭრიახი და გონიერი ბიჭი დადგებოდა.

ერთხელ მხერხავი თავის ამხანაგებთან ერთად ტყეში მიეშურებოდა. წასვლის წინ ცოლს გადაულაპარაკა:

— რა იქნებოდა, რომ ჩვენც გვყოლოდა მშველელი, რომელიც შეშის წამოსაღებად ტყეში ურემს ამოიყვანდაო?

ცეროდენამ მამის ნათქვამი გაიგონა თუ არა, ატიტიინდა:

— მამილო, მაგაზე რამ დაგაღონა, მე ამოგიყვან ტყეში ურემს.

— შენა, შვილო? — გაიკვირვა მამამ, — შენ ცხენის სადავესაც ვერ მოერევი. ხომ იცი, ლელვის მკორტნავ ჩიტს მოღუნული ნისკარტი უნდა ჰქონდეს! — დააყოლა ნიშნის მოგებით.

— მამილო, — არა ცხრებოდა ცეროდენა, — ოღონდ დედიკომ ურემში ცხენი შემობას და დანარჩენი მე ვიცი, კისერზე მოვასკუპდები და იქ მოვაგელვებ, სადაც შენ დამიბარებ.

— მაგას თუ მოახერხებ, უკეთესი რაღა იქნება? — დათანხმდა მამა, — ოღონდ, ჯერ საქმე გვიჩვენე და შექება მერე იყოს.

ასეც მოიქცნენ. დათქმულ დროს ცოლმა ცხენი შეკაზმა, ურემში შეაბა და ცეროდენა კისერზე შემოუსვა. თითქოს სამოცდაათი წელი ურემს ვკიდაო, ბიჭმა ცხენს ისე შეუძახა და ურემი ტყისკენ დასძრა.

იმ ადგილს რომ მიატანა, სადაც მამა მუშაობდა, ცეროდენას ყორესთან ორი კაცი შემოხვდა. ისინი სახტად დარჩნენ. გაოცებულებმა შეხედეს: ცხენი თოხარიკით მიჩინდრიკობდა, მეურმის ხმაც ისმოდა, ოღონდ თვითონ მეურმე არსად ჩანდა!

— ნამდვილი სასწაულია! — ჩაილაპარაკეს იმ კაცებმა, — მოდი გავყვეთ და ვნახოთ, ეს ურემი საიდან მოდის, სად მიდის და შევიტყუოთ, რაშია საქმეო.

ასეც მოიქცნენ და ურემს გამოუდგნენ. ურემმა ცოტა კიდევ იარა და იქვე ახლოს დადგა, სადაც რამდენიმე კაცი შეშის მორებს აპობდა. ერთბაშად მეურმის ხმაც გაისმა:

— მამილო, ურემი მოვიყვანე, მოდი ძირს ჩამომსვიო.

ცეროდენას მამა ურემთან მივიდა, ცალი ხელით ცხენს სადავე დაუჭირა, მეორეთი კი ძირს ჩამოსვა პაწაწინა ცეროდენა, რომელიც იქვე შეშის კუნძზე აცოცდა და წამოსკუპდა.

კაცებმა რომ ცეროდენა დაინახეს, გაოცდნენ. გადაწყვიტეს, რაღაც არ უნდა დასჯდომოდათ, ხელში ჩაეგდოთ. მივიდნენ და კაცსა ჰკითხეს:

— ძია, ამ პატარა ბიჭუნას ხომ ვერ მოგვყიდით?

— ვერაო, — მიუგო ცეროდენას მამამ, — ეს ჩემი ერთადერთი ვაჟი-შვილია და მთელი ქვეყნის ოქრო რომ დამილოცონ, ამას მაინც ვერ შევუღლებიო.

ცეროდენამ რომ ეს ლაპარაკი მოისმინა. მამას ტანზე შეაცოცდა, მხარზე დაასკუპდა და ყურში ჩასჩურჩულა:

— მამილო, მიჰყიდე მაგ კაცებს ჩემი თავი. შენ ჯიბეში ფული ჩაიჩხრიალე და ჩემი ჯავრი ნუ გექნება. მკვდარი თუ ცოცხალი ხელიდან დავუძვრები და ისევ შენ დაგიბრუნდებიო.

ცეროდენას მამა მიუბრუნდა კაცებს და ჰკითხა:

— მაინც რამდენს გაიმეტებთ ეს ბიჭი რომ მოგყიდოთო?

— ალალი იყოს შენზე ხუთი აშრაფიო. — მიუგო ერთმა მათგანმა.

— ეგრე ცოტა? — შეიცხადა ცეროდენას მამამ.

ბევრი ივაჭრეს თუ ცოტა, ათ აშრაფად მორიგდნენ. მამამ ფულები მიითვალა და ცეროდენა იმ ორ კაცს დაულოცა.

ცეროდენა მამას დაემშვიდობა, გადაჰკოცნა, მერე ახალ პატრონს მხარზე შემოაჯდა და გზას გაუდგნენ. ცეროდენა თვალს ადევნებდა მიდამოს და ყველაფერს საგანგებოდ იმახსოვრებდა. ასე მიდიოდნენ, ვიდრე მზე არ ჩაესვენა და მწუხრი ჩამოწვა. კარგად რომ შებინდდა, ცეროდენამ ითხოვა:

— ჯდომით ძალიან დავიღალე, ახლა ძირს ჩამომსვით და ცოტას ფეხითაც გავივლიო.

ერთი სოფლის ნანგრევებთან ცეროდენა ძირს ჩამოსვეს. თვალის დახამხამებაში ბიჭი ქვებსა და ღორღში გაძვრა-გამოძვრა და თავის სოროში ჩახტა. ქვემოდან ამოსძახა:

— ძმობილებო, მშვიდობით ბრძანდებოდეთ, მე აქ უნდა დავრჩე და თქვენი კი რა მოგახსენოთ, გასწით, საითაც გულმა გაგიწიოთო!

კაცები მისცვივდნენ დასაჭერად, მაგრამ ცეროდენა უკვე თავის სოროში ჩამძვრალიყო. ბევრი იწვალეს, დაემუქრნენ, ჯოხიც უჩხიკინეს სოროს, მაგრამ ყველაფერი ამაო აღმოჩნდა. მერე ისევ დაუყვავეს, დაუწყეს ხვეწნა-მუდარა — სოროდან ამოდით, მაგრამ არც ამან გასჭრა. ამასობაში ისეთი უკუნი ღამე ჩამოწვა, რომ ველარაფერს ხედავდნენ. რაღა უნდა ექნათ? ყურჩამოყრილები თავიანთ გზას გაუდგნენ.

კაცები რომ წავიდნენ, ცეროდენა სოროდან ამოძვრა და კრამიტის ნატეხის ქვეშ მყუდრო ბინა მოძებნა, სადაც ღამეს უშიშრად გაატარებდა. ჯერ კიდევ კარგად ვერ მოეკალათებინა, რომ ნანგრევებს ორი კაცი მოადგა მასლაათ-მასლაათით. ცეროდენა სმენად გადაიქცა. ერთი ეუბნებოდა მეორეს:

— რა ვიღონოთ, რომ ახუნდის \* ოქროები ხელში ჩავიგდოთ? იმ შეჩვენებულს თინბაზობა-თაღლითობით უამრავი ფული დაუგროვებია. ამბობენ, საკუჭნაოში ოქროს აშრაფებით სავსე დერგი უდგასო.

ეს რომ ცეროდენამ მოისმინა, ხმამაღლა შესძახა:

— ეი, თქვენ! მე გასწავლით, როგორ ჩავიგდოთ ხელში ახუნდის ოქროს აშრაფები!

გაოცებულმა ქურდებმა მხრები აიჩეჩეს:

\* ა ხ უ ნ დ ი — მოლა, სასულიერო პირი, რომელსაც დამთავრებული აქვს სპეციალური სასწავლებელი და ბავშვებს ამეცადინებს სოფლის სკოლაში.

— ვინ ხარ? სადა ხარ? გამოდი, დაგვეჩვენებო.

— მე ვარ, — მიუგო ცეროდენამ, — თქვენ არხეინად ბრძანდებოდეთ, წამიყვანეთ და მე ვიცოდე და ახუნდის ოქროს აშრაფებმა, ერთსაც აღარ დავუტოვებ დერგშიო!

— კეთილი, მაგრამ საიდან ლაპარაკობ? — ეკითხებოდნენ გაოცებული ქურდები.

— როგორ თუ საიდან ვლაპარაკობ! — მიუგო ცეროდენამ, — იქა ვარ, საიდანაც ჩემი ხმა გესმით. ხელი მიაფათურ-მოაფათურეთ და ადვილად მიპოვნითო.

ქურდებმა მიწაზე ხელი მიუსვ-მოუსვეს სიბნელეში და ცეროდენას წააწყდნენ. როდესაც შეხედეს, სიცილისაგან დაწყდნენ:

— შე ნამცეცა, შენა, საკუთარი თავისთვის რა შეგიძლია, რომ ჩვენც დახმარებას გვპირდებიო?

— წამიყვანეთ და მერე ნახავთო. — მოკლედ მოუჭრა ცეროდენამ.

— წავიდეთ! — წამოიძახეს ქურდებმა, — იმასაც ვნახავთ, რა შეიძლება ბრძანდებიო, — და გზას გაუდგნენ.

ერთი სიტყვით, ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, ბოლოს იმ მდიდარი ახუნდის ეზოს მიადგნენ. ცეროდენა ჭუჭრუტანაში გაძვრა, ჭიშკარი გააღო და ყველანი ეზოში შევიდნენ. ცეროდენა ხმამაღლა გაჰყვიროდა:

— კეთილი, მაგრამ ახუნდს სად უდგას ოქროებით სავსე დერგი? მარტო იმის მოსაპარავად მოხვედრათ, თუ სხვა რამეების მოპარვასაც აპირებთ?

ქურდებმა შეუტიეს:

— ჩუმად, შე არდასაცალეებელო, შენა, ხათაბალაში არ გაგვხვიო! ცეროდენამ კი ყვირილს უმატა:

— ჰოი, ალაჰის გულისათვის, ნუ გერიდებათ, მითხარით, რა გინდათ და ყველაფერს მოგაწოდებთ! ჩქარა, აბა, რაღას აყოვნებთ?!

— რა ამბავში ხარ, — კვლავ შეუტიეს ცეროდენას, — კუდზე ფეხი რომ არავინ დაგადგა, ეგრე რომ წრიპინებ? ხომ არ გინდა, ჩვენი თავი დააჭერინო? ჩუმად, თავს ლაფი ნუ დაგვასხი!

ცეროდენას წრიპინზე მსახურს გამოელვინა, მაგრამ უმაღვე ჩასთვლიმა. ქურდებმა კი ახლა წყნარად და დაყვავებით უთხრეს ცეროდენას:

— გასწი საკუჭნაოსაკენ და თაროზე რაც კი მჩატე და თან ძვირფასი რამ ნახო, ჩამოიღე და მოგვაწოდე!

ცეროდენამ რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ორჯერ დაიწრიპინა:

— ძალიან კარგი, მოდით, მომიახლოვდით, რასაც მოისურვებთ, ყველაფერს გადმოგაწოდებთო.

ცეროდენას წრიპინზე მსახურს გაეღვიდა და ლოგინიდან წამოვარდა. შეშინებულმა ქურდებმა დაჰკრეს ფეხი, კისრისტეხით გაცვივდნენ ჭიშკრიდან და სიბნელეში გაუჩინარდნენ. მსახური კი აქეთ ეცა, იქით ეცა და სანთლის ასანთებად კვესისა და აბედის ძებნას მოჰყვა. ცეროდენამ დრო იხელთა, ჯერ ჭიშკარი დაკეტა, მერე საბძელში შეძვრა და თივაში გაინაბა. მსახურმა კვესი გაჰკრა, სანთელი აანთო და სახლი დაათვალიერა. არაფინ ჩანდა და ჭიშკარიც ჩარაზული იყო. იფიქრა: ალბათ დამესიზმრაო, და ისევ ძილს მიეცა. თივაში მოკალათებული ცეროდენა კი თავისთვის ფიქრობდა: ამ დამეს, როგორც იქნება, გავატარებ, დილით კი მამის საძებნელად გავუდგები გზასო. რა იცოდა, საბრალომ, რომ ცხოვრებაში ყოველ წუთში ათასი ხიფათია მოსალოდნელი!

ინათა თუ არა, მსახური საბძელში შევიდა, რომ ძროხისათვის თივა წაეღო. შემთხვევით სწორედ ის გროვა ამოიღლიავა, რომელშიც ცეროდენას ეძინა. მსახურმა თივა თავლაში შეიტანა და ძროხას ჩაუყარა ბაგაში. ძროხამ ერთი მოქნევით თივა და მასთან ერთად ცეროდენაც ყბებში მოიქცია. ცეროდენას მყისვე გამოეღვიდა, მაგრამ, ვაი, იმ გამოღვიძებას! ძროხის ხახაში არ აღმოჩნდა?!

— ჰოი, ღმერთო და ჩემო გამჩენო, ეს რა დამემართა. ნეტავ ხელის წისქვილში ხომ არ მოვხვდი?

ცეროდენამ მიიხედ-მოიხედა და მიხვდა, რა გასაჭირშიც იყო. ბევრს ეცადა, კბილებს შორის რომ არ მოქცეულიყო. უცბად ცეროდენა ხახაში ჩასრიალდა და ძროხის ფაშვში ამოჰყო თავი. ირგვლივ სიბნელე იყო და ვერაფერს ხედავდა. ძროხა კი ხარბად იცოხნებოდა და თივას ნთქავდა. ფაშვი სულ უფრო და უფრო იბერებოდა და შიგ ცარიელი ადგილი აღარ რჩებოდა.

საბრალო ცეროდენას სული შეეხუთა და ყვირილი მორთო ძროხის ფაშვიდან:

— ეჭვი, ბიძიკო, გესმის? მეტი თივა აღარ მომიტანო, ისე გამოვძეხი, ლამის ნაწლაგები დამისკდეს!

თურმე მსახური ამ დროს ძროხას წველიდა. ცეროდენას ხმა რომ გაიგონა, შეკრთა და შიშმა აიტანა. გარეთ გავარდა გაბოროტებული. ქოთანს

ფეხი წამოჰკრა და მთელი რძე დაღვარა. ახუნდთან მივარდა და სულმოუ-  
თქმელად ამოიხროტინა ენის ბორძიკით:

— ბატონო ჩემო, ჩვენმა ძროხამ ლაპარაკი დაიწყო!

ახუნდს ეს ამბავი სასაცილოდ არ ეყო და მსახურს შეუტია:

— რეგვენო, ვის გაუგია, რომ ოთხფეხი ლაპარაკობდესო.

— თუ არა გჯერათ, წამობრძანდით და თვითონ ნახავთ, — არ ეშვე-  
ბოდა მსახური.

ახუნდი მსახურს გაჰყვა და თავლაში შევიდა. უცბად ცეროდენას წრი-  
პინი შემოესმა:

— ბალახს ნულარ დამიყრით, გავძეხი! გავძეხიო!

ახუნდი შიშმა აიტანა. იფიქრა, ძროხის სხეულში ნამდვილად ეშმაკმა  
დაისადგურაო. სასწრაფოდ ყასაბი მოაყვანინა და ძროხას ყელი გამოჭრეს.  
ძროხა გაატყავეს, აქნეს, გამოშიგნეს და ფაშვი ნაგვის ორმოში გადააგდეს.

ცეროდენამ პატარა შვება იგრძნო, გარშემო ოდნავ განათდა, მაგრამ  
გარეთ გამოსასვლელად ნასვრეტს მაინც ვერ მიაგნო.

ძროხის ფაშვიდან თავის დაღწევის ცდაში რომ იყო ცეროდენა, ახალ  
გასაჭირში ჩავარდა: ნაგვის ორმოს მშიერმა მგელმა ჩაუძუნძულა, ფაშვს  
ეძგერა და თვალის დახამხამებაში გადასანსლა. ცეროდენას ჯერ ძალიან  
შეეშინდა, მაგრამ მერე იხტიბარი აღარ გაიტეხა. იფიქრა: ეს კიდევ უკე-  
თესი, მამის სახლამდე თავს სწორედ ამ მგელს მივაყვანინებო, და საუბარი  
გაუბა მგელს:

— ჰოი, მამიდა მგელო! ძროხის აყროლებული ფაშვი რა შენი სა-  
კადრისია, ეგრე ხარბად რომ გადასანსლე? მაგას ძალლიც კი არ დააკარე-  
ბდა პირს!

— მშიოდა და რა უნდა მექნა, სხვა რა უნდა მეჭამაო? — ჰკითხა  
გაკვირვებულმა მგელმა.

— რა და ცხვრის ხორცი, კარაქი, თაფლი, შემწვარ-მოხრაკული და  
სხვა ნუგბარ-ნუგბარი საჭმელებიო, — მიუგო ცეროდენამ.

— ეგენი სად უნდა ვიშოვო? — ჰკითხა მაღაზე მოსულმა მგელმა.

— იქით წადი, საითაც მე მიგასწავლი და ყველაფერს თავზე საყრე-  
ლად იშოვიო, — წააქეზა ცეროდენამ.

ერთი სიტყვით, გაბრიყვებული მგელი თავისი მამის სახლს მიაყენა.  
სამზარეულოს კედელთან მიიყვანა და უთხრა:

— აი, ამ კედელს იქით სულ შემწვარ-მოხრაკულებით სავსე სამზა-

რეულოა. შიგ შესვლა კი მხოლოდ ბანზე დატანებული სარკმლიდან შეიძლება.

მსუნაგი მგელი დიდის ვაი-ვაგლახით აფოფხდა ბანზე და სარკმლიდან სამზარეულოში ჩახტა. ეძგერა მშრალად მოხარშულ ხორცს, შემწვარ-მოხრაკულებს, კარაქს, სხვადასხვა კერძებს და ხარბად შეახრამუნა.

ცეროდენამ მგლის მუცელში ერთი წვრილი ნაწლავი მონახა, მარჯვედ მოიკალათა და მხნეობა მოიკრიბა. როცა მგელს მომეტებული ჭამით მუცელი დაუმძიმდა და ტიკივით გაიბერა, ცეროდენამ, რაც ძალა და ღონე ჰქონდა წივილ-კივილი მორთო.

— ეგრე რა გაყვირებსო? — ჰკითხა გაოცებულმა მგელმა.

— მიხარია, გემოზე რომ გამოძეხი და მეც ვმხიარულობო. — მიუგო ცეროდენამ.

— ღვთის გულისათვის, შენს სიხარულს, მოდი, ეგრე ნუ გამოხატავ, თორემ ხალხს გაედვიძება და გამომიდგებიან, მე კი მეტი ჭამისაგან რუმბივით ვარ გატიკნული და სუნთქვა მეკვრისო. — შეეხვეწა მგელი.

— შენ რა გაგეგება, — არა ცხრებოდა ცეროდენა, — მე სწორედ ასე უნდა ვიმხიარულო, — და კიდევ უფრო მეტი ძალით მოჰყვა წივილსა და კივილს.

ცეროდენამ იმდენი იყვირა, ვიდრე ოჯახის პატრონები, თავისი დედამა არ გააღვიძა. მივიდნენ და ჭუჭრუტანნიდან სამზარეულოში შეიხედეს. ნახეს, რომ შიგ ერთი ვეება, ფაშვგაბერილი მგელი დაიზლაზნებოდა.

კაცმა ცოლს ხელში ნამგალი დააჭერინა და კარში დააყენა, თვითონ კი ცულის მოსატანად წავიდა. ცეროდენამ რომ მამის ხმა გაიგონა, შესძახა:

— მამილო, გამარჯობა! ფრთხილად იყავი, იცოდე, მე ამ მგლის მუცელში ვზივარო.

— დიდება ღმერთს, რომ შვილი უკან დაგვიბრუნდა, — წარმოსთქვა გახარებულმა მამამ და ცოლი გააფრთხილა: — მგელი ისე უნდა მოვკლათ, რომ ჩვენს ბიჭიკოს არა ვავნოთ რაო.

კაცმა სამზარეულოს კარი გამოაღო და შიგ შევიდა. მგელმა უკანასკნელი ღონე მოიკრიბა და ის იყო უნდა დაძგერებოდა, რომ მან ცული მოუქნია და ისე ღონივრად უთავაზა კეფაში, რომ მგელს თვალთ დაუბნელდა და იქვე სული განუტევა.

ცოლ-ქმარმა მგელი დიდი სიფრთხილით გამოფატრა და მუცლიდან ცეროდენა ამოიყვანეს.

დედ-მამის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

— შენ ანცო, შენა! — უთხრა მამამ ცეროდენას, — დღედაღამ შენზე ფიქრით დავილიეთ, ჯავრისაგან აღარ ვართ, ეს ბიჭი სად დაგვეკარგა და ნეტავ რასა შვრებაო.

— მამილო, რომ იცოდე, რამდენი ვიმოგზაურე და რა ამბები გადა-  
ქხდა! — დაიწყო ცეროდენამ, — მადლობა ღმერთს, რომ ისევ ვეღირსე  
აუფთა ჰაერით სუნთქვას. რა არ გადამხდა თავს! ჯერ იყო და თავვის სო-  
როში მოვხვდი, მერე ძროხის ფაშეში და ბოლოს კი მგლის ნაწლავში ვი-  
ყავი. მადლობა ღმერთს, რომ ისევ თქვენთან ვარ. ამიერიდან ქვეყანა რომ  
დამილოცონ, კალთიდან აღარ მოგშორდებითო.

დედ-მამას ძალიან მოეწონა ცეროდენას ნათქვამი. უთხრეს: ოქრო-  
ვერცხლში რომ ჩაგვსვან, ველარც ჩვენ შეგელევითო. მოეფერნენ შვილს,  
მიუაღერსეს და დიდხანს, დიდხანს ცხოვრობდნენ ერთად ბედნიერად და  
სიამტკბილობით.





## ც ხ ვ ე რ ი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ფადიშაჰი. მას ჰყავდა მეტად ჭკვიანი და დაკვირვებული ვაჟი. ერთხელ ფადიშაჰმა თავისი სამეფოს შემოვლა და დათვალიერება განიზრახა, ვაჟი დაიბარა და უთხრა:

— შვილო, წავალ, ქვეყანას შემოვივლი, ხალხს მოვინახულებ და დავამშვიდებ, ხარკს გავწერ და ხაზინას შევავსებ. ჩემს დაბრუნებამდე ქვეყნის საქმეს შენ უნდა გაუძღვე. ფხიზლად იყავი და, თუ შემაგვიანდეს. ბაჟი და ხარაჯა დროზე აკრიფე. ამას გარდა, ხომ იცი, დედაშენი ფეხმძიმე-დაა, ქალი რომ ეყოლოს, ძალიან მეწყინება. თუ ღმერთმა ქნა და ვაჟი გაუჩნდა, უბრძანე, ბუკსა და ნადარას ჰკრან, ქალაქი მორთონ და შვიდი დღე და ღამე გააჩირაღდნონ. ღმერთმა კი დაგვიფაროს, მაგრამ, თუ მოხდა და გოგო დაიბადა, არსად გაამხილო, ბავშვი ჩუმად მოკალი, სისხლი ჭიქაში ჩაასხი და ჩემი ოთახის ერდოზე დაკიდებული დამახვედრე.

— აღსრულდეს ნება თქვენით, — მორჩილად მიუგო ვაჟმა.

ფადიშაჰმა ესა თქვა და გზას გაუდგა. რამდენიმე დღის შემდეგ დედოფალს გოგო ეყოლა. ვაჟმა იფიქრა: სხვა რა ღონეა, ხელმწიფის ბრძანება უნდა შესრულდეს და ეს ბავშვი უნდა მოვკლაო. წავიდა, ჩვრებში გამოხვეული გოგონა აიყვანა და მოკვლა დაუპირა. საბრალო ბავშვმა ძმას ისეთი თვალებით შეხედა, რომ ვაჟს სიბრალულთ გული ჩაეთუთქა. და-ძმური სიყვარული მოერია და თქვა:

— რაკი სხეულს ღმერთმა ჩაუდგა სული, სადაური წესია ღვთის მონამ ამოხადოს? ამ ბავშვის ცოდო მე რატომ უნდა ვზიდო? ბედის ანაბარა მივატოვებ და თავისით მოკვდეს მშიერ-მწყურვალიო.

ასეც მოიქცა, ბავშვს თავზე ტაშტი გადაამხო და ღვთის ანაბარა მიატოვა.

სამიოდე დღის შემდეგ ვაჟი სანახავად მივიდა. ტაშტი ახადა და რა დაინახა! ბავშვს პირში სალოკი თითი ჩაედო, ძუძუსავით წოვდა და მშვენივრად გრძნობდა თავს. მისი სიბრალულთ ვაჟს თვალები აუცრემლიანდა. იფიქრა, რაც არ უნდა მოხდეს, ეს უცოდველი ჩვილი ბავშვი უნდა გადავარჩინოო.

ვაჟი ასეც მოიქცა: მტრედი დაკლა, სისხლი ჭიქაში ჩაასხა და ერღოზე ჩამოჰკიდა. მერე სასახლეში ერთი ბნელი სარდაფი მოძებნა, მოხუცი გამდელიც იშოვა, ბავშვი ჩააბარა და იმ სარდაფში დააბინავა.

გადიოდა წლები. გოგონა იმ სარდაფში იზრდებოდა და ჯერ არც სინათლე ენახა, არც მზე, არც ადამიანები და არც ის იცოდა, ქვეყნად რა ხდებოდა ან თვითონ ვინ იყო. ამ ხნის განმავლობაში ხელმწიფის გოგონას და მის გამდელს, უფლისწულის ბრძანებით ჩუმად უზიდავდნენ სადილ-ვახშამს მეფის სამზარეულოდან.

ერთხელ ქალიშვილს სინით სადილი რომ მოართვეს, კერძში ძვალი იპოვა. ძვალი ჯერ არ ენახა. გაუკვირდა და გამდელსა ჰკითხა, ეს რა არისო.

— ძვალია, შვილო, გადააგდეო, — ასწავლა გამდელმა.

— ძვალი რაღა არისო?

— ადამიანები ძროხის, ცხვრისა და სხვა ცხოველების ხორცი იკვებებიან. ცხოველებს კლავენ, ხორცს ხარშავენ და მერე გემრიელად შეექცევიან. ძვალი კი იმ ცხოველების ხორცში არის ხოლმე. შენ ყოველ დღე

ასეთი ცხოველების ხორცს შეეჭყვევი. დღეს ხორცს შემთხვევით ძვალისც გამოჰყოლიათ, — მიუგო გამდელმა.

გოგონა დაღონდა. ჭამა შეწყვიტა, ძვალი ზიზღით მოიქნია და კედელს შეახეთქა. ბუდად კედელი ისეთი სიფრიფანა გამოდგა, რომ ძვლის მონახვედრ ადგილას გაიბზარა, ბზარიდან კი მზის სხივებმა შემოანათეს. გოგონამ რომ სინათლე იხილა, ძალიან გაუკვირდა და გამდელს ჰკითხა:

— საყვარელო გამდელო, ეს რა არის, რომ ანათებსო?

— ეს მზის სხივებით, — მიუგო გამდელმა და ახლა იმის ახსნა დაუწყო, თვითონ მზე რას წარმოადგენდა.

— ოჰ, რა კარგი რამ ყოფილა მზეო, — აღტაცებით შესძახა გოგონამ.

ერთ მშვენიერ დღეს, გამდელი რომ სარდაფიდან გავიდა, გოგონამ ძვალი აიღო და გაბზარული კედლის ჩიჩქნა დაიწყო. ბზარი თანდათან მატულობდა და ბოლოს საკმაოდ დიდი ჭუჭრუტანა გაჩნდა, საიდანაც კარგად მოჩანდა წინ გადაშლილი ველი. ამის შემდეგ გოგონა ყოველ დღე მიდიოდა იმ ხვრელთან და საათობით გადაჰყურებდა არემარეს. ხედავდა ადამიანებს, სახედრებს, ხრებს, ძროხებს, ცხვრებს, ყვავებს, ხეებს; ქვებსა და სხვა ისეთ საგნებს, რომლებიც მანამდე არ ენახა. გოგონა ყველაფერს თავის გამდელს ეკითხებოდა, და ისიც დაწვრილებით უყვებოდა მათ ამბავს.

ჩვენი ხელმწიფე კი, ამ გოგონას მამა, ერთი წლის შემდეგ მოგზაურობიდან დაბრუნდა. ერდოზე სისხლიანი ჭიქა დახვდა. მიხვდა, რომ დედოფალს გოგო გასჩენოდა, მოკლულად ჩასთვალა და კრინტიც არ დაუძრავს. ახლა კი მისი ასული უკვე მეთექვსმეტე წელში გადამდგარიყო.

ერთხელ ქალიშვილმა თავის გამდელს ჰკითხა:

— ძვირფასო გამდელო, გემუდარები, მითხარი, ვინა ვარ, ამ ბნელ სარდაფში რისთვის გამომამწყვდიეს ან გარეთ რატომ არ მიშვებენ?

გამდელმა ათასი რამ მიუკიბ-მოუკიბა და ქალიშვილს გზა-კვალი კიდევ უფრო აუბნია.

ერთხელ გოგონა ჭუჭრუტანასთან იჯდა და მიდამოს გადაჰყურებდა. დაინახა, რომ ვიღაც მწყემსს ორმოცდაათიოდე ცხვარი წინ გაეგდო და ღიღინით მისდევდა. ჭუჭრუტანას რომ გაუსწორდა, ქალიშვილი მწყემსს გამოელაპარაკა.

იმ დღიდან მოკიდებული, როცა კი შემთხვევა მიეცემოდა, ქალიშვილი

იმ მწყემსს ელაპარაკებოდა ხოლმე. ამ გამოლაპარაკება-საუბარში მწყემსმა და ქალიშვილმა კარგად გაიცნეს ერთმანეთი.

ერთხელაც გოგონამ მწყემსსა ჰკითხა:

— არ შეგიძლია, ისეთი ცხვრის ტყავი მომიტანო, რომ შიგ ადამიანი ჩაეტიოს?

— რატომაც არაი, — მიუგო მწყემსმა. წავიდა და ერთი მსუქანი ერკემალი დაკლა და გაატყავა. მერე ტყავი საგულდაგულოდ გაწმინდა, გაასუფთავა, ბზით გატენა და ქალიშვილს მიუტანა. მწყემსს ტყავი ისე კოხტად გამოეყვანა, რომ კაცი ნამდვილ ცხვარში ვერ გამოარჩევდა.

ქალიშვილმა მწყემსს დიდი მადლობა გადაუხადა და ცხვრის ტყავი სარდაფის კუთხეში მიაგდო: ერთხელაც იქნება, გამომადგებაო.

ხელმწიფის ქალიშვილს სარდაფში ყოფნა მობეზრდა. ერთხელ, გამდელი რომ გარეთ გაიგულა, სარდაფიდან ეზოში ამოვიდა, იქიდან კი ბაღში ამოჰყო თავი.

მაღალი ხეები, ბურქები, ფერად-ფერადი ყვავილები და შადრევნები რომ დაინახა, ქალიშვილი კინალამ ჰკუაზე შეირყა. ბაღი ძალიან მოეწონა. ხან ერთ კუთხეს მიაწყდებოდა, ხან მეორეს. დაათრო წალკოტის მშვენებამ და განცხრომასა და ოცნებას მიეცა.

ამასობაში სასახლის აივანზე ფადიშაჰი არ გადმოდგა?! ბაღში რომ ისეთი ლამაზი ქალი დაინახა, მის გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა. ქალი სხეულის აღნაგობით, თვალ-წარბით, ფერ-ხორციით, ტურ-კბილითა და, ერთი სიტყვით, ყოველმხრივ ისე იყო შემკული, რომ თვით შური-მტრობაც ვერაფერ ნაკლს უპოვიდა. ფადიშაჰს გაუკვირდა, — ნეტავ ვინ არის, მარჯვენა ხელის ვეზირის ქალიშვილია, თუ მარცხენა ხელის ვეზირისაო?

ფადიშაჰი ისე მოიხიბლა ქალის მშვენებით, რომ მას თავის ჰარამხანაში გაგზავნა დაუპირა. ბაღში შევიდა, მაგრამ ვაჟი გადაეღობა:

— დაე, თქვენი ფეხის მტვერი იყოს ეს უღირსი მონა, — თქვა თავის თავზე ვაჟმა, — ხელმწიფევ, იცოდეთ, რომ ეს ქალი თქვენი ღვიძლი შვილია.

— რომელი შვილიო?! — შეიცხადა გაკვირვებულმა ფადიშაჰმა.

— რომელი და დედოფალს თქვენი მოგზაურობის დროს რომ ეყოლა. გახსოვთ, გოგო თუ გამოდგებოდა, თქვენი ბრძანებით რომ უნდა მომეკლა? დედოფალმა მაშინ აი, სწორედ ეს ქალიშვილი შობა, მე შემეცოდა და არ მომიკლავს. ახლა კი, აი, რამოდენა ქალიშვილი გახდაო.

ხელმწიფემ რომ ეს მოისმინა, თონესავით აენტო სიბრაზისაგან და ბრძანა:

— ახლავე ჯალათს დაუძახეთ, ორივეს აქვე თავი წააგდებინოსო, — და თავის ქალ-ვაჟზე მიუთითა.

ეს ამბავი მარჯვენა ხელის ვეზირს შეატყობინეს. ვეზირმა ქუდს ხელი დაავლო, ლაბადა ბეჭზე მოიგდო, ხელმწიფესთან მიიჭრა, ფეხებში ჩაუვარდა და შეევედრა:

— ჰოი, ქვეყნიერების სწორი დიდებულო ხელმწიფევ! ასეთ საქმეს ნუ ჩაიდენ, თორემ სამწყსო აგიჯანყდება და ტახტიდან ჩამოგაგდებენო.

ვეზირის რჩევა ხელმწიფეს ჭკუაში დაუჯდა, გადაწყვეტილება შეცვალა და ბრძანა, ქალიც და ვაჟიც ჩემი სამეფოდან გააძევეთო.

ასეც მოხდა.

ქალიშვილმა ორიოდ ხელი ტანსაცმელი და სხვა საჭირო საგნები, აგრეთვე ცხვრის ტყავი აიღო, ძმას ხელი ჩაჰკიდა და გზას გაუდგინა. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, ბოლოს ერთ გზაჯვარედინს მიადგინა. ნახეს, ხის ძირას ერთი უშველებელი ლოდი ეგდო, ზედ ეწერა:

„ჰოი, თქვენ, ვინც აქამდე წყვილად მოსულხართ, ამიერიდან ღმერთმა გაშორეთ ისევ ერთი გზით სიარული. თუ ერთად ივლით, საწადელს ვერ ეწევით! ცალ-ცალკე წადით სხვადასხვა გზით და თან წაიღეთ ამ ხის ტოტი და ფოთლები. ფოთლები ყოველგვარ სენს განკურნავს, ტოტი კი მდინარეებისა და ზღვების გადალახვაში დაგეხმარებათ“.

ეს რომ წაიკითხეს, ორივე ძალიან დალონდა. თქვეს, სხვა რა ღონეა, ერთმანეთს უნდა გამოვეთხოვით და სხვადასხვა გზას გავუდგეთო. ასეც მოიქცნენ.

— რა გაეწყობა, რაკი ასეა, მე ცხვრის ტყავში ჩავძვრები და ამ ხის ფოთლებს თან წავიღებო; — თქვა ქალიშვილმა.

ქალიშვილი ცხვრის ტყავში ჩაძვრა და რომ შეგეხებათ, ნამდვილი ცხვარი გეგონებოდეთ; ეჭვს ვერავინ მიიტანდა, თუ ადამიანი იყო.

ქალ-ვაჟი ჯერ ერთმანეთს არ გამომშვიდობებოდნენ, რომ იმ გზაჯვარედინს მესამე მგზავრიც მოადგა. ცხვრის ტყავში გადაცმულ ქალიშვილს რომ შეხება, ნამდვილი ცხვარი ეგონა, აღტაცება ვეღარ დაფარა და ჩაილაპარაკა:

— ჩემს დღეში ასეთი კობტა ცხვარი არსად მინახავსო.

— რაკი ასე ძალიან მოგეწონა, შენი ფეშქაში იყოსო, — შესთავაზა

ვაჟმა, — შენთვის მიჩუქნია, თღონდ იცოდე, რომ ჩვეულებრივი ცხვარივით ბალახს როდი ძოვს, მხოლოდ ადამიანის საზრდოთი იკვებებაო.

ერთი სიტყვით, უცნობმა ცხვარი გამოართვა და გზას გაუდგა. ვაჟმა კი იმ ხეს ტოტი შეატეხა და სხვა გზას დაადგა.

რამდენიმე დღის სიარულის შემდეგ ცხვარი და კაცი ერთ ქალაქს მიაღგნენ. კაცმა ნახა, რომ ქალაქის მცხოვრებლები დაღონებულები იყვნენ. ერთ კაცს ჰკითხა:

— ძმობილო, მთელი ქალაქი ეგრე რამ დააღონაო?

— ჩვენი ფადიშაჰის ქალიშვილი ჭკუაზე შეირყა, — მიუგო კაცმა, — ბევრს ეცადნენ, მაგრამ ვერაფერი უშველეს, ამ ამბავს მთელი ქალაქი განიცდის და ჯავრობსო.

უცბად ცხვარმა ენა აიღვა და კაცს უთხრა:

— წადი, ხელმწიფეს მოახსენე, შვილს მე მოგიჩინე-თქო!

კაცს ძალიან გაუკვირდა, ცხვარმა რომ ადამიანის ხმით დაილაპარაკა: ცოტა შეეშინდა კიდევაც, მაგრამ ბოლოს დამშვიდდა და ჰკითხა:

— მერედა როგორ უნდა მოვარჩინო ხელმწიფის ასულიო?

ცხვარმა რამდენიმე ფოთოლი მისცა და დაარიგა: ამით ტანი დაუზილე და ქალიშვილი ხელად განიკურნებაო.

კაცმა ფოთლები გამოართვა და ის ხელმწიფის სასახლისაკენ გაემურა. მივიდა და ფადიშაჰს მოახსენა:

— დიდებულო ხელმწიფეო, მე განგკურნავ თქვენს ქალიშვილსო.

— მაგას თუ მოახერხებ, ათას ოქროს აშრაფს გაჩუქებო, — უთხრა ფადიშაჰმა.

— უბრძანეთ, მომგვარონ თქვენი სწეული ქალიშვილი! — თავდაჯერებით წარმოთქვა კაცმა.

ერთი სიტყვით, ხელმწიფის ქალიშვილი მოიყვანეს. კაცმა მას ტანი გრძნეული ხის ფოთლებით დაუზილა და ქალი მყისვე განიკურნა. გახარებულმა ხელმწიფემ მართლაც, ათასი ოქროს აშრაფი უბოძა. კაცი ცხვართან დაბრუნდა და უთხრა:

— შენი ფოთლების მეოხებით ათასი ოქროს აშრაფი ვიშოვე. ახლა მითხარი, სიკეთე როგორ გადაგიხადო?

— სხვა ქვეყანაში წამიყვანე და იქ ჩემ ნებაზე გამიშვიო, — სთხოვა ცხვარმა.

— კარგიო, — უთხრა კაცმა და გზას გაუდგა. ბევრი იარეს თუ ცოტა

იარეს, ერთ უცხო ქალაქს მიადგნენ. ქალაქის ალაყაფთან იქაური ხელმწიფე შემოხვდათ, რომელიც თურმე ნადირობიდან ბრუნდებოდა. ხელმწიფე დაღლილ-დაქანცული და მოღუშული იყო. ცხვრის დანახვაზე გუნება გაეხსნა, ვეზირს მიუბრუნდა და უთხრა:

— ხედავ, რა მშვენიერი და კობტა ცხვარიაო?

კაცმა ეს სიტყვები გაიგონა, ცხვარი ხელმწიფეს მიაართვა და უთხრა:

— თქვენი ფეშქაში იყოს, დიდებულო ხელმწიფე! ოღონდ იცოდეთ, ჩვეულებრივი ცხვარივით ბალახს არა სძოვს და მხოლოდ ადამიანის საზრდოთი იკვებებაო.

ხელმწიფემ ერთი მუჭა ხურდა ფული ჩაუჩხრიალა და ცხვარი გამოართვა. ცხვარი სასახლეში მიიყვანეს და მზარეულს მიაბარეს მოსავლელად.

ცხვარმა სასახლეში მისვლის უმაღლესე შეამჩნია, რომ ყველა დაღონებული იყო. მალე მიზეზიც შეიტყო: თურმე ხელმწიფეს ვაჟი დაჭკარგვოდა და დიდი და პატარა წუხდა და ნაღვლობდა.

ცხვარს ჩვეულებრივ სამზარეულოში ეძინა ხოლმე. ერთ ღამეს სამზარეულოში ზანგი მზარეული ქალი შეიპარა ფეხაკრეფით. დედაკაცმა სინზე ცოტა ფლავი დაყარა, პურის ნატეხები დააწყო, წკეპლა აიღო და ღამის წყვდიადში გაუჩინარდა.

ცხვარი ქალის საქციელმა დააეჭვა და უკან გამოუდგა. ზანგი მოახლე კუნაპეტ ღამეში ფეხაკრეფითა და სიფრთხილით სადღაც მიიჩქაროდა. ქალაქგარეთ გავიდა და ერთ ნანგრევთან გაჩერდა. იქ პატარა მღვიმე იყო. დედაკაცმა მღვიმის კარი მონახა და შიგ შევიდა. ცხვარი შორიახლოს გაირინდა და სმენად იქცა. მღვიმედან გაკაპასებული დედაკაცის ხმა მოესმა, ვიდაცას მუქარით ეუბნებოდა:

— მითხარი, თუ გიყვარვარ და, აი, ამ ფლავით გაგიმასპინძლდები, თუ არა და, ვაი შენი ბრალი: ამ ხმელი პურის მეტს არაფერს გაღირსებ და ზურგსაც როზგით აგიჭრელებო.

— მიყვარხარ კი არა, ჭირივით მეზიზღები, შე კუდიანო, შენა! — მოესმა ცხვარს მამაკაცის ხმა, რომელსაც ეტყობოდა ქალმა როზგი დაუშინა თავგამეტებით.

ცხვარმა ყველაფერი თავის თვალთ ნახა, მოისმინა და მერე სასახლეში დაბრუნდა.

მეორე დღეს, დაბინდდა თუ არა, ზანგი მოახლე თვალსა და ხელს



შუა გაქრა. ცხვარი ხელმწიფის ოთახში შებაკუნდა, ხელმწიფეს ხალათის კალთაში ჩააფრინდა და თან თავით ანიშნებდა, უკან გამომყევით. ხელმწიფეს და მის კარისკაცებს გაუკვირდათ. ვეზირი წამოდგა და ხელმწიფეს უთხრა:

— თავი მომიკვდეს, თუ ეს შემთხვევითი რამ იყოს, უეჭველად რაღაცას გვანიშნებს ეს ცხვარი. წაგყვეთ ერთი, ვნახოთ, სად წაგვიყვანსო.

ხელმწიფე, ვეზირი და რამდენიმე კარისკაცი, მართლაც, უკან გაჰყვნენ. ცხვარმა ისინი ქალაქგარეთ ნანგრევებში მღვიმესთან მიიყვანა, სადაც წინა ღამით ზანგი დედაკაცი შევიდა. მღვიმეში შევიდნენ, შიგ ზანგი ქალი და მის მიერ დატყვევებული, ნაგვემი და ნაწამები ხელმწიფის ვაჟი იპოვეს. ვაჟს მთელი სხეული როზგით ჰქონდა აჭრელებული. ხელმწიფე და მისი კარისკაცები რომ დაინახა, მოახლე ადგილზევე გაშრა.

გახარებულმა ხელმწიფემ ვაჟი სასახლეში წაიყვანა, ხოლო ზანგი დედაკაცი თმებით გამოაბმევინა ჯორის კუდზე და ჯორი უდაბნოში გააჭენეს.

ამ ამბიდან რამდენიმე დღე რომ გავიდა, ფადიშაჰმა ეს კობტა და გონიერი ცხვარი მეზობელი ქვეყნის ხელმწიფეს უფემქაშა. მას ყველა ღირსებით შემკული საქორწილო ვაჟი ჰყავდა. კარგა ხანი იყო, რაც მეფე და დედოფალი ვაჟისათვის საპატარძლოს არჩევდნენ, მაგრამ არ იქნა და ვაჟი ვერ დაიყოლიეს: ის ყველას იწუნებდა და ცოლად მოყვანაზე უარს ამბობდა. მშობლები გაწამებული იყვნენ. განსაკუთრებით საბრალო დედოფალმა აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. აი, სწორედ ასეთ დროს მოხვდა ჩვენი ცხვარი ხელმწიფის სასახლეში.

კარისკაცებმა რომ შეიტყვეს, ცხვარი ადამიანის საზრდოთი იკვებებოდა, ძალიან გაუკვირდათ. სასახლის ერთ მყუდრო ყურეში დააბინავეს და მეფის ჯალაბი და კარისკაცები მასთან თამაშით თავს იქცევდნენ და ერთობოდნენ.

ერთ მშვენიერ დღეს დედოფალმა აბანოში წასვლა გადაწყვიტა. მხეაღლი ქალები დაფაცურდნენ: წინდაწინ წავიდნენ და თან წაიღეს აბანოში ხალიჩა, თასი, ტაშტი, წყლის დასასხმელი თუნგი, სპილენძის სინი, პირსახოცები და ბოხჩაში გამოკრული სხვა საჭირო ნივთები. მერე დედოფალიც დაიძრა რამდენიმე მხევალი ქალის თანხლებით. ცხვარი მოუსვენრად აკუნტრუმდა, დედოფალს კაბის კალთაში ჩაეჭიდა და უკან გამოუდგა. დედოფალი გაჯავრდა, თავში სავარცხელი ჩასცხო და შეუტია:

— რაო? შენც ჩემთან ერთად მოინდომე აბანოში წასვლა? საოცარი წუთისოფელია, პირუტყვსაც ვერ გაუყადრებ თავს, რომ მერე თავზე დაჯდომა არ მოგიინდომოს! — ჩაიბუზღუნა დედოფალმა და აბანოსაკენ გასწია.

ცხვარმა კი ერთი მყუდრო ადგილი მონახა, ტყავი გაიძრო, კაბაში გამოეწყო და აბანოსაკენ გაეშურა. რომ მივიდა, დედოფალი და მისი ამაღლა გაოცდნენ ქალიშვილის მშვენიებით.

დედოფალი წამოდგა, უცნობი ქალიშვილი გვერდით მოისვა და თავზე წყალიც კი დაუსხა. დედოფალი ქალიშვილს საგანგებოდ აკვირდებოდა და თან გუნებაში ფიქრობდა: ასი თვალითაც რომ შეხედოს კაცმა, მაინც ვერაფერ ხინჯს უპოვის. სწორედ ჩემი ვაჟის შესაფერისია, მორჩა და გათავდაო.

დედოფალი ქალიშვილს კიდევ უფრო დაუტკბა და თავაზიანად ჰკითხა:

- ხანუმ, სადაური ბრძანდებითო?
- აქაური ვარო.
- რომელი უბნიდანო?
- თავში სავარცხლისმცემელთა უბნიდანო.

დედოფალს უბნის სახელი რომ არ დავიწყებოდა, გუნებაში რამდენიმეჯერ გაიმეორა ეს სახელი.

ქალიშვილმა ბანაობა ყველაზე ადრე დაამთავრა, ჩაიცვა და წავიდა. დედოფალი კარამდე მიჰყვა, გამოთხოვებისას ლოყაზე აკოცა და უთხრა:

- ინშალაჰ,\* ალაჰის შეწევნით, ერთი დღეც იქნება შინ გეწვევითო.
- სამსახურისათვის მზად მიგულეთ! — მიუგო ქალიშვილმა და წავიდა.

აბანოში დიდხანს აღარც დედოფალი დარჩენილა, სასწრაფოდ ჩაიცვა და სასახლეს მიაშურა. მისვლის უმაღ ვაჟი მოინახულა და უთხრა:

— შენ გენაცვალოს ჩემი თავი, ჩემო საყვარელო შვილო, ბედი კარზე გვეწვია. შენ რომ მოგეწონება, სწორედ ისეთი საპატარძლო ვიპოვე. დღეს აბანოში ერთი ქალიშვილი შემხვდა: ზრდილი, კეთილშობილი, ლამაზი, ეშხიანი... დღემდე იმისთანა ლამაზი ქალი არც კი მინახავს. მისი მშვენიების აღწერა ენით შეუძლებელია, თვითონ ნახე და დარწმუნდები. ხომ იცი, სად ნახული და სად გაგონილიო. მაღალია, შავთვალწარბა, ტუჩები იამა-

\* ინშალაჰ — ღმერთმა ჰქნას.

ნის ელვარე სარდიონს მიუგავს და ტანი — ჟასმინის კონას. ერთი სიტყვით, დღეს შენმა იღბალმა შეგვახვედრა ერთმანეთს აბანოში. ვინაობაც შევიტყვე, თურმე თავში სავარცხლისმცემელთა უბანში ცხოვრობს. ხვალ დილითვე გავუგზავნი შუაკაცებს!

ვაჟმა დედის აღტაცებული სიტყვები რომ მოისმინა, უთხრა:

— კარგი, დედიკო, მაჩვენეთ ის ქალიშვილი და დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთო.

მეორე დღეს, ინათლა თუ არა, დედოფალმა თავისი გადია და რამდენიმე დიდებული თავში სავარცხლისმცემელთა უბნის საძებნელად გაგზავნა და თან მსახურები გაატანა. მთელი ქალაქი გადააბრუნეს, სალამომდე კარდაკარ დადიოდნენ, მაგრამ არ იქნა და იმ უბანს ვერ მიაგნეს, ქალიშვილმა რომ დაუსახელა. სალამოს დაღლილ-დაქანცულები სასახლეში დაბრუნდნენ და დედოფალს მოახსენეს:

— ვის აღარ ვკითხეთ, მაგრამ ვერავინ მიგვასწავლა თავში სავარცხლისმცემელთა უბანი. ხალხმა მასხრად აგვიგდო — ამ ქალაქში რანაირი უბანი არ გვსმენია, მაგრამ თავში სავარცხლისმცემელთა უბანი ჯერ არავის გაუგონიაო.

დედოფალი დაღონდა; ეწყინა, ქალიშვილი მატყუარა რომ გამოდგა. ბოლოს იხტიბარი მაინც არ გაიტეხა, იფიქრა, ქვის ქვეშ რომ იყოს დამალული, მაინც უნდა მივაგნო, თორემ სხვები გადაიბირებენო.

რამდენიმე ხნის შემდეგ ერთმა დიდებულმა დედოფალი ნიშნობაში მიიპატიჟა. იგი მოირთო, მოიკაზმა და წვეულებაში გასწია თავისი ამალით. ცხვარი კვლავინდებურად აკუნტრუნდა, დედოფლის ჩადრის ბოლოს ჩაეჭიდა და უკან გამოუდგა. დედოფალი ისევ გაჯავრდა, საკინძედან ქინძისთავი გამოიძრო, ცხვარს თავში ჩასჩხვლიტა და თავიდან მოიშორა.

როგორც კი დედოფალი თვალს მიეფარა, ცხვარმა ერთ მყუდრო კუთხეში ტყავი გაიძრო, კაბა ჩაიცვა და... ჩვენმა ლამაზმა და მოხდენილმა ქალიშვილმა წვეულებაში ამოჰყო თავი! მისი მშვენებით მოხიბლული ხალხი ქალიშვილს რკალად შემოერთყა და გაოცებული მხრებს იჩეჩავდნენ: ვინ არის ან საიდან გაჩნდაო?

დედოფალმა რომ დაინახა, წამოხტა, ქალიშვილს მივარდა, მოეხვია, გადაჰკოცნა და უთხრა:

— გეთაყვა, გახსოვს, აბანოში რომ გნახე? მაშინ მითხარი, თავში სავარცხლისმცემელთა უბანში ვცხოვრობო. საძებნელად კაცები გამოგვგზავ-

ნე, მაგრამ ყველა ამბობდა თურმე, ამ ქალაქში მაგის მსგავსი უბანი არ არსებობსო.

— მომიტევეთ, — მიუგო ქალიშვილმა, ჩვენს უბანს სახელწოდება გამოეცვალა, ახლა თავში ქინძისთავითმჩხვლეტელთა უბანი ჰქვია.

დედოფალმა ესეც საგულდაგულოდ დაიმასსოვრა.

სტუმრები ჯერაც ტკბილად ილხენდნენ, რომ ქალიშვილი ჩუმად გაიპარა, სასახლეში დაბრუნდა და ისევ ცხვრის ტყავში გამოეწყო.

ნახევარი საათის შემდეგ დედოფალიც დაბრუნდა წვეულებიდან. გახარებული ვაჟთან მივიდა და უთხრა:

— დღეს ნიშნობაში ის ქალიშვილი ვნახე, ადრე რომ გეუბნებოდი. თურმე თავში სავარცხლისმცემელთა უბანში კი არა, თავში ქინძისთავითმჩხვლეტელთა უბანში ცხოვრობს. ხვალვე გაგზავნი მაშვლებს და, ღვთის შეწევნით, ამ კვირის ბოლომდე ნიშნობის საქმეს მოვაგვარებთო.

მეორე დღეს დედოფალმა ისევ გაგზავნა ხალხი ქალიშვილის საძებნელად. საღამოს ახლაც დაღლილ-დაქანცულები დაბრუნდნენ და მოახსენეს:


— ამ ქალაქში არც მაგისთანა უბანი ყოფილა. ხალხს რომ ვეკითხებოდით, სიცილს გვაყრიდნენ: რეებსა ჩმახავთ, ხან თავში სავარცხლისმცემელთა უბანს დაეძებთ, ხან თავში ქინძისთავითმჩხვლეტელთა უბანს, ვინ იცის, მერე კიდევ რას მოიგონებთო!

დედოფალი საქმეს ჩაუკვირდა და მიხვდა, რომ სწორს ეუბნებოდნენ. მართლაცდა, როგორ შეიძლებოდა ქალაქის უბნებს ასეთი სახელები რქმეოდა? თუმცა დედოფალს ის მაინც ვერ გაეგო, ქალი მოჩვენება იყო, ხორცშესხმული თუ ზეციური არსება.

რამდენიმე ხნის შემდეგ დედოფალი ქორწილში მიიწვიეს თავისი ამალით. ცხვარს დედოფლის წასვლა გამოეპარა და გვიან შეიტყო. ეზოში ჩავიდა და მოფარებულ ყურეში ცხვრის ტყავი გაიძრო, აუზში ჩახტა და თავი და ტანი დაიბანა. მერე კაბაში გამოეწყო და წვეულებაში გაეშურა.

თურმე ამ ამბავს ხელმწიფის ვაჟი სასახლის ფანჯრიდან თვალს ადევნებდა. შეხედა: ცხვრის ტყავიდან ქალიშვილი გამოძვრა, თითიდან ბეჭედი მოიძრო, აუზის კიდევუ დადო, წყალში ჩახტა, თავი და ტანი დაიბანა, სასწრაფოდ კაბა ჩაიცვა და შურდულივით სადღაც გაქრა. სიჩქარეში კი აუზის კიდევუ დადებული ბეჭდის აღება დაავიწყდა.

უფლისწულს დედოფლის ნათქვამი გაახსენდა, ლამაზი ხანუმის ამ-



ბავს რომ უყვებოდა, მაგრამ ეს ქალიშვილი გაცილებით უფრო ლამაზი იყო, ვიდრე დედოფალმა აუწერა. მის მშვენიერ, უმანკო სხეულს ავი თვალიც კი ვერავითარ წუნს ვერ დასდებდა.

ვაჟი ეზოში ჩავიდა, აუზის კიდედან ქალიშვილის ბეჭედი აიღო და სასწრაფოდ თვითონაც ქორწილში გასწია. მივიდა და რას ხედავს: იმდენი ხალხია, რომ თავი კუდს ვერ მოიქნევს. თითქოს მეორედ მოსვლის დღე იდგა, ისე არეულიყო ერთმანეთში ქალი და კაცი. ვაჟმა რის ვაი-ვაგლანით მიაღწია ქალიშვილამდე და ბეჭედი კალთაში ჩაუგორა.

ქალიშვილს ბეჭდის დანახვაზე ფერი ეცვალა, მიხვდა, რომ საიდუმლო გამოაშკარავდა. ქორწილში ვეღარ დადგა, სასახლეში დაბრუნდა და ფიქრს მიეცა, როგორ მოვიქცეო.

დედოფალს წვეულებაში ჩვენს ლამაზ ქალიშვილზე ეჭირა თვალი. უცბად შეამჩნია, რომ ქალიშვილი სადღაც გაქრა. ერთი კი მოჰკრა თვალი სტუმრებში, მაგრამ მერე ვეღარსად დაინახა. გუნება წაუხდა, წვეულება მიატოვა და ისიც სასახლეში დაბრუნდა ადრინადა.

ვახშმობის დროს ვაჟმა დედოფალი გააფრთხილა:

— ჩემი ვახშმის სინი ცხვარს დაადგით თავზე და, დაე, იმან მომართვას საჭმელებით.

დედოფალი დათანხმდა.

ვახშმობის დროს, მართლაც, კერძებიანი სინი ცხვარს თავზე დაადგეს და უფლისწულის ოთახისაკენ ანიშნეს წასულიყო. კიბის სამიოდე საფეხური დიდის გაჭირვებით რომ აიარა, სინი თავიდან გადმოუვარდა და ჯამები სულ ერთთავად დაიმსხვრა. მიუხედავად ამისა, უფლისწულმა დაიჩემა: გინდა თუ არა, ვახშამი ამ ცხვარმა მომართვასო!

ერთი სიტყვით, სინი რამდენიმეჯერ გადმოუვარდა თავიდან, ბევრი ჭურჭელი დაამსხვრია, მაგრამ ბოლოს, როგორც იქნა, ცხვარმა ვახშამი მიართვა ხელმწიფის ვაჟს.

ვაჟმა სინი ჩამოართვა, მაგიდაზე დადო და ქალიშვილს უთხრა:

— ახლავე გაიძრე ეგ ცხვრის ტყავიო.

სხვა რა ღონე იყო? ქალიშვილმა ცხვრის ტყავი გაიძრო, მერე ერთად დასხდნენ და ტკბილი მუსაიფი გააბეს. რა თქვეს და რაზე იბაასეს, აბა ჩვენ რა ვიცით?

დედოფალმა რომ დახედა, მთელი საათი გავიდა და ცხვარი კი უფლისწულის ოთახიდან არ დაბრუნებულყო, შეეშინდა, ფერდში არ

ურქინოსო და ვაჟის ოთახის კართან მივიდა. შიგნიდან ტკბილი მასლა-  
თი შემოესმა. გაოცდა, ოთახში შევიდა და თვალებს არ დაუჯერა:

ვაჟთან სწორედ ის ლამაზი ხანუმი იჯდა, რომელსაც მთელ ქალაქში  
დაეძებდა! მოულოდნელი სიხარულისაგან ენა დაება და გული შეუღონდა.

დედოფალი რომ მოაბრუნეს, ხან თავის ვაჟს მიშტერებოდა გაოგნე-  
ბული, ხან იმ მშვენიერ ასულს. ახლა კი მიხვდა, რომ ნამდვილი ცხვარი კი  
არა ცხვრის ტყავში გადაცმული ქალიშვილი იყო. იმასაც მიხვდა, რატომ  
უსახელებდა ქალიშვილი ქალაქის უბნების უცნაურ სახელებს.

დედოფალმა ვინაობა გამოჰკითხა და, ქალი რომ ხელმწიფის ასული  
გამოდგა, სიხარული გაუასკეცდა.

იმავე საღამოს ქალიშვილი მოსასვენებლად ცალკე ოთახში დააბი-  
ნავეს და მსახურები მიუჩინეს.

მეორე დღეს სასახლეში უკვე ქორწილზე დაიწყეს სჯა-ბაასი. ქალი-  
შვილმა თქვა:

— უფლისწული მეც მიყვარს და მასთან შეუღლებაზე თანახმა ვარ,  
ოღონდ ქორწილს ნუ ვიჩქარებთ. მადროვეთ, ჩემი დაკარგული ძმა  
ვიპოვოთ.

საპატარძლოს ყველა ერთხმად დაეთანხმა. მან უფლისწულს სთხოვა:

— მხატვართუხუცესს უბრძანეთ, მოვიდეს და მე დამხატოს. მერე  
ჩემი სურათი ქალაქის ალაცაფთან გამოჰკიდონ. გუშავს დაავალეთ —  
მგზავრებს დააკვირდეს, ვინც ჩემს სურათს დაინახავს და ტირილი აუვარ-  
დება, სასწრაფოდ აქ მომგვარონო.

— ძალიან კარგიო, — მიუგო უფლისწულმა და ისე მოიქცა, როგორც  
ქალიშვილმა სთხოვა.


რამდენიმე თვის შემდეგ ქალაქის ალაცაფს ქალიშვილის დაკარგული  
ძმა მოადგა. თურმე საბრალოს თავისი დის ძებნაში ბევრი ქვეყანა მოეგლო  
და გზაჯვარედინიდან წამოღებული ხის ტოტის დახმარებით მრავალი  
ზღვა და მდინარე გადაელახა. ალაცაფზე ჩამოკიდებული სურათი რომ დაი-  
ნახა, ვაჟმა თავისი და იცნო და ქვითინი აუვარდა. კარის მცველმა ეს შე-  
ამჩნია და ვაჟი ხელმწიფის სასახლეში გაგზავნა. სასახლიდან ქალიშვილი  
გამოეგება, გახარებულ ძმას კისერზე მოეხვია და იმანაც ტირილით გუ-  
ლი მოიოხა. რასაკვირველია, ხელმწიფის ვაჟსაც ძალიან გაუხარდა, ცო-  
ლისძმა რომ იპოვა.

ერთი სიტყვით, რამდენიმე დღის შემდეგ ქორწილის სამზადისს შეუდ-

გნენ. ხელმწიფეს თურმე ამ სასიძო ვაჟის გარდა ქალიშვილიც ჰყოლოდა.  
იგი პატარძლის ძმაზე დანიშნეს და ერთდროულად ორი ქორწილი გადა-  
იხადეს, ლხინი შვიდი დღე და ღამე გრძელდებოდა.

როგორც ჩვენი ზღაპრის გმირებს აუსრულდათ სურვილები, ისე შენც  
აგისრულდეს საწადელი, ჩემო მსმენელო.





## მ ა რ ჩ ი ე ლ ი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ღარიბი და უქონელი მეკურტნე. იგი ყოველ დილით ბაზარში მიდიოდა და თოკითა და კურტნით მძიმე ტვირთი გადაჰქონდ-გადმოჰქონდა. ასეთი ჭაპანწყვეტით აღებული გროშებით თავსაც ირჩენდა, ცოლსაც ინახავდა და ღმერთსაც მადლსა სწირავდა.

ერთხელ თურმე ჩვენი მეკურტნის ცოლმა აბანოში წასვლა მოიწადინა. წინადღით გარეცხილი, საკერებლებით აჭრელებული კაბა, პირსახოცი და საჭირო ნივთები ბოხჩაში გამოკრა და გზას გაუდგა.

ქალს აბანო ცარიელი დაუხვდა. ბოხჩა გასახდელში დატოვა, სურა, თავსაბანი მიწა და სახეხი ქვა შიგნით შეიტანა, აუზს მიუჯდა და ხელფეხის ხეხვას შეუდგა.

უცბად აბანოს კარი გაიღო და ერთი ხმაური და ალიაქოთი ატყდა.

განსაკუთრებული კი არაფერი მომხდარიყო, ფადიშაჰის მარჩიელთუხუცესის ცოლი მოვიდა თურმე საბანაოდ. სანამ ქალი თვითონ გამოჩნდებოდა, აბანოში შეარბენინეს ვეებერთელა სპილენძის ტაშტი, მერე ისიც შემობრძანდა მედიდურად ოთხიოდე მოახლის თანხლებით.

მეკურტნის ცოლმა შეხედა, მაგრამ ამას რას ხედავს: დედაკაცს ფაშვი ვეება ბოყვს მიუგავდა, კისერი — დევის კისერს, შავი ქვის სვეტებივით ფეხები ჰქონდა, ვეშაპის ხახის მსგავსი პირი, დახეული ჯღანებივით ყურები, თანაც მურღალი იყო და ტურტლიანი, მაგრამ იმას არ იკითხავთ, თავი როგორ მოჰქონდა? ისე იბღინებოდა, გეგონებოდათ, ციდან ჩამოფრენილათ. ან როგორი მოწიწებით მიეგებნენ აბანოს პატრონი, მექისე და სხვები.

მეკურტნის ცოლი გაოგნებული შეჰყურებდა ამ ამბავს და გუნებაში ფიქრობდა: ღმერთო ჩემო, რა იქნებოდა, მამაზეციერს ჩემთვისაც მოენიჭებინა იოტისოდენა ბედი და იღბალი? ეს ვითომ ვინა ბრძანდება, თავს რომ აგრე ინებივრებსო?

მეკურტნის ცოლი ბანაობას მორჩა და გასახდელში გამოვიდა. ხედავს, მისი ბოხჩა ტახტზე აღარ დევს, კაბა და პირსახოცი ვილაცას ძირს გადმოუყრია, ჭენჭებში ჩაცვენილა და თითქმის მთლინად დასველებულა.

ქალმა იკითხა:

— ვინ ჩამოაგდო ტახტიდან ჩემი ბოხჩა?

— მარჩიელის ცოლი რომ მოვიდა და ტანთ გაიხადა, უცბად შენს ბოხჩას მოჰკრა თვალი და იკითხა, ვისიაო. რომ უთხრეს, ერთი მეკურტნის ცოლისააო, რაღაც ჩაიბუზღუნა, ბოხჩას წიხლი ჰკრა და ძირს გადმოაგდო. აბანოს პატრონს შეეშინდა და ვერ გაბედა აღება. ვიფიქრე, შიგნით რომ შევა, მე ავიღებ-მეთქი, მაგრამ სულ გადამავიწყდა, — უპასუხა აბანოს პატრონის თანაშემწემ.

მეკურტნის ცოლმა ნაღვლიანად ამოიოხრა, ჩაიცვა და შინისაკენ გასწია.

საღამოს, ქმარი რომ შინ დაბრუნდა, ქალმა ლანძღვა-გინებით აიკლო, აბანოს ამბავი მოუყვა და გააფრთხილა:

— ორში ერთი, ან მარჩიელის რამლს \* უნდა მოჰკიდო ხელი, ან გამ-

\* აღმოსავლეთში ფართოდ ცნობილი რამლით მკითხაობა შემდეგში მდგომარეობს: კამათლებს დაპყრიან უჯრა-უჯრა დაყოფილ ციფრებიან დაფაზე, კამათლების ციფრებსა და დაფის უჯრის ციფრებს, სადაც კამათელი დაეცა, ერთმანეთს უღარებენ და პასუხს საგანგებო სამკითხაო წიგნში ნახულობენ.

შორდე და გამათავისუფლო. ერთი სიტყვით, თუ გინდა კვლავაც შენი ცოლი ვიყო და შენი ჭირი და ლხინი გავიზიარო, კურტანი მოიშორე და მარჩიელობას მოჰკიდე ხელი.

— ქალო ჭკუაზე ხომ არ შეიშალე? — მიუგო გაკვირვებულმა ქმარმა, — ცოდნა მე არა მაქვს და განათლება, რომელ მარჩიელობაზე ლაპარაკობ, რა გულთმისანი მე მნახე?!

— ერთი გითხარი და გაუათავე! — მოჭრა ცოლმა, — თუ მარჩიელობას ვერ შეძლებ, მაშინ გავიყაროთ. წავალ, ერთ ვინმე მარჩიელს მოვნახავ და ცოლად გავყვები. მეცა მაქვს გულის კუნჭულში ჩამარხული სურვილები და მისწრაფებები. ისეთ მახინჯ დედაკაცს, როგორც მარჩიელთ-უხუცესის ცოლია, თავი მოაქვს ცასა და ქვეყანაზე. მე კი, მიუხედავად ჩემი სილამაზისა, ვიღაც მეკურტნე მუშის ცოლი ვარ. ალაჰსა ვფიცავ, ან მარჩიელობას მოჰკიდე ხელი, ან ჩვენს შორის ყველაფერი უნდა გათავდეს!

კაცმა ნახა, რომ ცოლმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. იმასაც მიხვდა, რომ იმასთან ლაპარაკით აღარაფერი გამოვიდოდა. რალა უნდა ექნა? უყვარდა ცოლი და განშორება ეძნელებოდა. მეორე დღესვე გაყიდა თავისი კურტანი და ბაწარი, ბრინჯაოს დაფა და რამლი იყიდა და ქალაქის განაპირა უბანში, სადაც შედარებით ნაკლები მოსახლეობა იყო, ერთი დუქანი შეიგულა. ჩვენი მეკურტნე ჯერ კიდევ რიგიანად არ მომზადებულიყო, რომ დუქანში სამიოდე ჩალვადარი შემოვიდა. მიესალმნენ და უთხრეს:

— ჰოი, მარჩიელო, ჩვენ ხელმწიფის ჩალვადრები ვართ, შორი გზიდან მოვდიოდით. ქალაქს რომ მოვადექით, ვერცხლის ზოდებით დასაპალნებული ჯორი თვალსა და ხელს შუა გაგვიქრა. შენი გულთმისნობა მოიშველიე და გვითხარი, ის ჯორი სად უნდა გამქრალიყო?

მეკურტნეს წარმოდგენაც არა ჰქონდა მარჩიელობაზე და საგონებელში ჩავარდა. იფიქრა: რაც იქნება, იქნება, ფულს გამოვართმევ და მერე გზა-კვალს ავუბნევო.

— იცით, რა უნდა ჰქნათ? ორი სირი მუხუდო და ქიშმიში იყიდეთ. ერთი თქვენგანი წინ წავიდეს, პირში თითო მუხუდო და ქიშმიშის მარცვალნი ჩაიდოს და ასე ჭამა-ჭამით იაროს, ვიდრე მუხუდო და ქიშმიში არ გამოელევა. თქვენს ჯორსაც იქ იპოვითო.

გახარებული ჩალვადრები წამოდგნენ, მარჩიელს ცოტაოდენი ხურდა ფული ჩაუჩხრიალეს და შეჰპირდნენ, ჯორი თუ ვიპოვეთ, რიგიანად დაგასაჩუქრებთო.

ჩალვადრებმა იყიდეს მუხუდო და ქიშმიში, ერთი მათგანი დაწინაურდა და, როგორც მარჩიელმა დაარიგა, ჭამა-ჭამით გაუყვნენ გზას. ქალაქგარეთ გავიდნენ და ძველ ნანგრევებს მიადგნენ. მართლაც იქ თავიანთ ჯორს წააწყდნენ. ჯორი ნანგრევებში შესულიყო და ბალახსა ძოვდა. თურმე გზა აბნეოდა და ხეტიალ-ხეტიალით ამ ნანგრევებს მოსდგომოდა. ჩალვადრებს გაუხარდათ, ჯორი წამოიყვანეს და გზად მარჩიელს გამოუარეს.

მეკურტნემ შორიდანვე შენიშნა, რომ ჩალვადრები დუქნისაკენ მიდიოდნენ და ელდა ეცა. იფიქრა: ახლა კი ერთ ამბავს დამაწევინ, მეტყვიან: შენისთანა მარჩიელი ვის გაუგონია? გასწი, კურტანი აიღე და შენს საქმეს მოჰკიდე ხელით!

მეკურტნე ამ მწარე ფიქრებში იყო, რომ დუქანში გახარებული ჩალვადრები შემოვიდნენ და მარჩიელს ორი ოქროს აშრაფი წინ დაუდეს, ესეც შენი გასამრჯელო იყოსო. მუხუდოსა და ქიშმიშის ნახევარიც არ გაგვეთავებინა, რომ ჯორი ვიპოვეთ ქალაქგარეთ ნანგრევებშიო.

მეკურტნის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. სალამოს დუქანი დაკეტა და არხეინად გასწია შინისაკენ. შინ რომ მივიდა, თავის ცოლს ყველაფერი დაწვრილებით უამბო. ქალმა უთხრა:

— ხომ ჩაგჩინებდი მარჩიელობას მოჰკიდე-მეთქი ხელი? ხედავ, ყოველ დღე, დილიდან სალამომდე მძიმე ტვირთის ზიდვით წელს იწყვეტდი და რის ვაი-ვაგლახით შოულობდი ორიოდ გროშს. ახლა კი წახვედი, მთელი დღე ბატონკაცურად იჯექი მყუდრო დუქანში და ამოდენა ფულიც იშოვეო.

— ეს ერთხელ იღბალი მომივიდა, — მიუგო ქმარმა, — მაგრამ ყოველთვის ხომ არ მოიტანს კოკა წყალს? თავი დამანებე, წავალ და ძველ საქმეს მოვკიდებ ხელს, რომელსაც ჩემი მამა-პაპა ეწეოდა, თორემ, ალაჰს ვფიცავ, ერთხელაც იქნება კოვზი ნაცარში ჩამივარდება და მშიერ-მწყურვალნი ამოვწყდებით.

— არა! ამ საქმიდან უკან დახევა აღარ შეიძლებაო, — დაიჩემა ცოლმა.

მეკურტნე მეორე დღესაც წავიდა და ისევ იმ დუქანში დაჯდა. უცბად ნახა, რომ ქალაქის ტარულა, ქალანთარი და უბნის ქედხუდა\* მისი დუქნისაკენ მოემართებოდნენ. მათ დანახვაზე მეკურტნეს შიშით კინაღამ გული

\* ტარულა — ქალაქის თავი, ქალანთარი — დაცვის უფროსი, ქედხუდა — მამასახლისი.

საგულედან ამოუვარდა. იფიქრა, ალბათ ჩემი ამბავი ხელმწიფის მარჩი-ელთუხუცესს შეატყობინეს, იმას შეეშინდა მეტოქე გამიჩნდაო, ესენი მოი-სყიდა და ახლა მარჩიელობა რომ ამიკრძალონ, იმისათვის მოდიანო.

შიშისაგან გაოგნებული მეკურტნე ჯერ კიდევ კარგად ვერ გამორ-კვეულიყო, რომ ისინი დუქანში შემოვიდნენ, თავაზიანად გაუღიმეს, მიე-სალმნენ და მოიკითხეს.

— იცით, მარჩიელო? — დაიწყო ტარულამ, — ერთი თვის წინათ ხელმ-წიფის ხაზინა გაძარცვეს. ხელმწიფე სასტიკად განრისხდა, დაგვიბარა და ორმოცი დღის ვადა დაგვიდო. ამ ორმოც დღეში თუ ვიპოვეთ განძი და უკან ჩავაბარეთ, ხომ კარგი, თუ არა და სიცოცხლეს გამოგვასალმებს. სად არ ვიარეთ, ვის არ ვკითხეთ, მაგრამ ამაოდ, ვერაფერი შევიტყვეთ. ფადი-შაჰის მარჩიელთუხუცესთანაც კი ვიყავით, მაგრამ ჯერჯერობით იმანაც ვერაფერი გააწყო. გუშინ ფადიშაჰის ერთ-ერთმა ჩალვადარმა ეს ამბავი რომ შეიტყო, შენთან მოგვასწავლა. ამ საქმეში შენს მეტი სხვა ვერავინ გვი-შველის. მოდი, რაც იქნება, იყოს, ნუ დაგვზარდები და შენი უბადლო გულთმისნობის წყალობით რამდენიმე კაცს სიცოცხლე შეგვინარჩუნე. იცო-დე, ვალში არ დაგრჩებით და კარგად დაგასაჩუქრებთ.

მეკურტნე შიშმა აიტანა, იფიქრა: ეს რა ხათაბალაში გამხვია ჩემმა ცოლმა! ვინ მე და ვინ მარჩიელობა? ჰოი, ღმერთო, შენ დამიხსენი ამ გასაჭირისაგანო.

მეკურტნე ამ მწარე ფიქრებში იყო წასული, ტარულასა და მის ამხა-ნაგებს კი ეგონათ, მარჩიელი ფულს ელოდებო. ტარულამ ფული დაუწყო და უთხრა:

— ნულარაფერზე ფიქრობ, ჯერ ეს ორმოცდაათი აშრაფი მიიღე და დანარჩენი მერე იყოსო.

მეკურტნემ სხვა ვედარაფერი მოიგონა და თავი რომ დაედწია, ასე უთხრა:

— კარგი, წადით და პასუხისათვის ხვალ მომაკითხეთო.

ხელმწიფის ხაზინა რომ გაძარცვეს, თურმე ქურდები მთელ ქალაქში დაძრწოდნენ, რომ გაეგოთ ხელმწიფე რას აპირებსო. ერთი კაცი ქალაქის ტარულას მიუჩინეს: შეიტყვე, სად წავა და რას გააკეთებსო. ტარულა რომ მარჩიელთან მივიდა, ის კაცი თურმე ამასაც უთვალთვალედა, ქურდებთან მიიჭრა და შეატყობინა:

— ტარულამ ახალ მარჩიელს ამკითხავენბინა, ის კი შეპირდა, ხვალ მოდი და ქურდებს დაგისახელებო.

ქურდები აფორიაქდნენ, გადაწყვიტეს, მარჩიელის სახლი მოეძებნათ და ჩუმად მიეგდოთ ყური, რას იტყოდა მათზე.

სალამოს ქურდები ჩუმად აედევნენ მეკურტნეს და მისი ეზოს ალყაფს მიადგნენ. გადაწყვიტეს, სახლის ბანზე ავცოცდეთ და იქიდან მივუგდოთ ყურიო.

მზე ჩავიდა თუ არა, მეკურტნემ ფულები ჩაიჯიბა და შინისაკენ გასწია. გზად ღუქანში შეიარა და ორი სირი ხურმა იყიდა, მე და ჩემი ცოლი პირს ჩავიტკბარუნებთო.

სახლში რომ მივიდა, ცოლმა კარის გაღების უმაღ კითხვა მიაგება:

— დღეს რა ჰქენი, ფული ხომ ბლომად იშოვეო?

ქმარმა დალაგებით უამბო, რაც იმ დღეს შეემთხვა.

— ტყუილად კი არ დაგიჩემე, მარჩიელი გახდი-მეთქი! — უთხრა ცოლმა თავმომწონედ.

— ერთი შენც! — მიახალა მეკურტნემ, — სჯობია ხმა გაკმინდო. ცუდადაა ჩემი საქმე, ხათაბალაში გამხვიე. აბა, ხვალ რომ ტარულა მოვა და მკითხავს, ქურდები ვინ არიან ან ნაძარცვი ქონება სად არისო, რა უნდა ვუპასუხო? თან ამ ამბავმა შაჰის ყურამდე რომ მიაღწიოს, დამიბაროს და მკითხოს, ქვეყანა ჩალით ხომ არაა დახურული, ვიღაც მეკურტნე მარჩიელობას რომ იჩემებო, რა უნდა ვუპასუხო?

— მაგოდენა თავი რაღასთვის გაბია? — შეუტია ცოლმა, — შენც ჭკუას ძალა დაატანე და უპასუხე: ჩვენი მამა-პაპანი სულ მარჩიელები იყვნენ, მეც წიგნებით ვმარჩიელობ, აქამდე ხომ ყველაფერი სწორად გამოვიცანი-თქო? ახლა რაღა ვქნა, სამწუხაროდ, წიგნი ცეცხლში ჩამივარდა და დამეწვა-თქო. იმ წიგნის გარეშე კი ვერაფერს გამოვიცნობ-თქო. ალაჰს გაფიცებ, მოეშვი მაგაზე ფიქრს, აფსუსია ასეთი ტკბილი ხურმა დარდით და ნაღველით გააუგემურო!

— ხვალ სიცრუეში რომ გამომიჭერენ, ტარულა კარგ მამა-პაპას მიჩვენებს! — მიუგო ქმარმა, — მერე კი იტყვი: ჰოი ალაჰო, ბეჩავი, მახეში არ გაეგაო!

ცოლ-ქმარი ოთახში იჯდა და ასე საუბრობდა, გარეთ კი ქურდები დაძრწოდნენ და სახურავზე ასვლას ლამობდნენ.

— ბიჭებო, — მიმართა ამხანაგებს ქურდების ბელადმა, — ჯერ მე ავალ სახლის ბანზე და მერე თქვენც ამოცოცდით რიგრიგობით.

— ადი, ოღონდ ფრთხილად იყავ, მახეში არ გაებაო. — გააფრთხილეს ქურდებმა.

ქურდების ბელადი რომ ბანზე აცოცდა და მეკურტნისა და მისი ცოლის საუბარს ყური მიუგდო, მეკურტნემ სწორედ მაშინ წარმოთქვა სიტყვები: „ბეჩავი, მახეში არ გაებაო“. ქურდების ბელადმა რომ ეს გაიგონა, ადგილზევე გაშეშდა.

ამასობაში ცოლ-ქმარმა ხურმის ჭამა დაიწყო. რამდენ ხურმასაც აიღებდნენ, ითვლიდნენ. ქალმა რომ პირში ჩაიდო ხურმა, ქმარმა დააყოლა — ეს ერთიო. ქმარმა რომ აიღო, ცოლმა დააყოლა: ეს მეორეო. ისევ ცოლმა აიღო ხურმა და ქმარმა დააყოლა: ეს მესამე. ცოლ-ქმარი ასე ითვლიდა: ეს მეხუთე, მეექვსეო და ასე შემდეგ; თურმე ქურდებიც სწორედ ამ რიგით ადიოდნენ ბანზე. როცა მოესმათ, ეს მეშვიდე, ეს მერვეო, და ასე შემდეგ, ქურდებს ეგონათ, ჩვენა გვთვლიანო. გაოცდნენ და შიშმა აიტანა.


— ბიჭებო, ეს ჩვეულებრივი მარჩიელი კი არ გეგონოთ, ნამდვილი გულთმისანი ყოფილა! მაგრამ მარტო თვითონ რომ იყოს, კიდევ არაფერია, ცოლიც რომ გულთმისანი ჰყოლია?! თქვენ აქ იყავით, მე ჩავალ და მოველაპარაკები, თორემ საკმარისია ერთი კრინტი დასძრას და ქონებაც დაგვეკარგება და სიცოცხლესაც უნდა დავემშვიდობოთო, — უთხრა ბელადმა ქურდებს და ბანიდან პირდაპირ ეზოში ისკუპა. ხმაურზე მეკურტნე შეკრთა და შეშინებულმა შესძახა:

— ვინ არის?

— ვინც არ უნდა ვიყო, შენი მონა ვარ! მიშველე რამე, შენს იქით გზა არა მაქვსო, — უპასუხა ქურდების ბელადმა.

— კი მაგრამ, ვინა ხარო? — ჰკითხა გაკვირვებულმა მეკურტნემ.

— აბა, ეგეები რაში გჭირდება? შენ გულთმისანი კაცი ხარ და ყველაფერი იცი, რა ხდება ცასა და დედამიწაზე. რასაკვირველია, ისიც მშვენივრად იცი, რომ ჩვენ ორმოცმა ამხანაგმა ხელმწიფის ხაზინა გავძარცვეთ და განძი მავან და მავან ალაგას ნანგრევებში გადავმალეთ. ჩვენ მხოლოდ იმასა გთხოვთ, მთელი ქონება და განძი ხელმწიფეს დაუბრუნე, ოღონდ ჩვენ ნუ დაგვასახელებ. აი, ეს ასი აშრაფი აიღე და ღმერთმა შეგარგოს ჩვენგანო. — შეეხვეწა ქურდების ბელადი, ფული დაუტოვა მეკურტნეს, პატიოსანი სიტყვა ჩამოართვა და წავიდა.



მეკურტნის ცოლი სიხარულით ცას ეწია და გულზე სიამე დაადნა შაქარივით.

დილით მეკურტნემ თავის დუქანს მიაშურა. ტარულა, ქალანთარი და ქეთხუდა უკვე იქ ისხდნენ და ელოდნენ. მეკურტნემ წარბი შეკრა და შეუტია:

— ჰოი, რა გამიჭირეთ საქმე? ჯერ რიგიანად არც კი გათენებულა და თქვენ უკვე აქა ხართ! წადით ამა და ამ ადგილას, ნანგრევებში მიწისქვეშა კარია დატანებული. სარქველი ახადეო. გვირაბში ჩადით და იქ ნახავთ ხელმწიფის ხაზინას!

გახარებული ტარულა, ქალანთარი და ქეთხუდა სასწრაფოდ გაექანენ იმ ნანგრევებისაკენ. მარჩიელის ნათქვამი სწორი გამოდგა — ხელმწიფის ხაზინა იქ იყო გადამალული.

ეს ამბავი ხელმწიფეს შეატყობინეს. იმან კაცები გაგზავნა, მეკურტნე მოაყვანინა და ძვირფასი ხალათი და სხვა საჩუქრები უწყალობა.

გავიდა რამდენიმე დღე. ხელმწიფის ქალიშვილმა ალმასის ბეჭედი მოისაკლისა. ბეჭედი თურმე ისეთი ძვირფასი იყო, რომ მთელ ვილაიეთში აკრეფილი ხარკის საფასური ღირდა. ბევრი ეძებეს, მაგრამ ვერსად იპოვეს. ბოლოს ხელმწიფეს შეატყობინეს.

— ახალ მარჩიელთან წადით, — ურჩია ხელმწიფემ, — თორემ ჩვენი მარჩიელთუხუცესი ვედარაფერს იგებსო.

ფარეშებმა ახალი მარჩიელი მოიყვანეს და პირდაპირ ანდერუნში აახლეს ხელმწიფის ქალიშვილს. მარჩიელის მოსვლამდე იქ ბევრი ილაპარაკეს მის ხელოვნებაზე. მალე თვითონ ხელმწიფეც მობრძანდა და ანდერუნში შევიდა. ფარეშები და მხევალი ქალები დეზებზე იდგნენ ბრძანების მოლოდინში.

ხელმწიფემ მარჩიელს ახედ-დახედა და ჰკითხა:

— ჩენს ქალიშვილს ალმასის ბეჭედი დაეკარგა, აბა, ერთი მისნის თვალით მიიხედ-მოიხედე, ჩაუკვირდი და მოურიდებლად გვითხარი, გული რას გეუბნება, რასა ხედავ?

საწყალ მეკურტნეს ფერფური წაუვიდა და გაიფიქრა, ეს რა ხათაბალაში გავებით.

მარჩიელი რომ გაშტერებული იდგა, ხელმწიფეს ეგონა, ბეჭდის ქურდის გაცემისა ერიდებოდა და შეუტია:

— რაღას ელოდები? ახლავე თქვი, რასაც ხედავო.

მეკურტნემ ხან მარჯვნივ მიიხედა, ხან მარცხნივ მიიხედა, მაგრამ განსაკუთრებული ვერაფერი დაინახა, გარდა სასახლის გალავანში დატანებული ხვრელისა, მხრები აიჩეჩა და ჩაილაპარაკა:

— დაე, თქვენი მსხვერპლი იყოს ეს უღირსი მონა, რამდენს არ ვუკვირდები, მაგრამ კედელში დატანებული ხვრელის მეტს ვერაფერს ვხედავო.

ამ სიტყვების დასრულება ვერ მოასწრო მარჩიელმა, რომ ხელმწიფის ქალიშვილმა სიხარულით წამოიძახა:

— მართალს ამბობს! მართალს ამბობს! სულ გადამავიწყდა, გუშინწინ აუზში რომ ჩავედი საბანაოდ, ბეჭედი თითიდან მოვიძვრე და კედელში დატანებულ ხვრელში შევინახე!

ქალიშვილი უცბად ადგილს მოსწყდა და ბეჭედი მოარბენინა.

ყველა გაოცდა. ხელმწიფემ მარჩიელს საპატიო ხალათი უწყალობა და წელზეც ძვირფასი ნაჭერი შემოახვია სარტყლად. შემდეგ ხელმწიფემ თავისი მარჩიელთუხუცესი დაითხოვა, მის ადგილს კი ახალი მარჩიელი დანიშნა, რაც საგანგებო ბრძანებით და პირადი ხელმოწერით დაადასტურა. მარჩიელს ჯამაგირი დაუნიშნეს და გაისტუმრეს.

მეკურტნე შინ რომ დაბრუნდა, ცოლთან დაიკვება:

— ახლა თვით ხელმწიფესთანაც კი მიმესვლება, რადგან მარჩიელთუხუცესად მე განმაწესაო.

ცოლს, რა თქმა უნდა, ეს ამბავი ძალიან გაუხარდა და წამოიძახა:

— სწორედ ამ დღეს ვნატრობდი, ხვალვე წავალ აბანოში. დაე, ხალხმა მეც გამიცნოს, როგორც რიგი და წესია!

მეორე დღეს ქალი მართლაც წავიდა აბანოში ორი მსახურის თანხლებით, რომლებიც სახელდახელოდ დაიქირავა.

დახეთ, ქვეყნად რა არა ხდება!

მის მისვლამდე აბანოში ყოფილი მარჩიელთუხუცესის ცოლი მისულიყო, მაგრამ, რა თქმა უნდა, ოდინდელი ბრწყინვალეობა აღარ მოჰყოლია. პირიქით, ახლახან ნაღვლიანად გამოიყურებოდა თავისი ქმრის გაბიაბრუების გამო.

მეკურტნის ცოლი კი აბანოში შევიდა, მედიდურად მიმოიხედა და სალამი თქვა. ყველა ფეხზე წამოუხტა. ერთმანეთს წასჩურჩულეს: ეს ქალი ახალი მარჩიელთუხუცესის ცოლიაო. ყოფილი მარჩიელთუხუცესის ცოლიც

ხომ იქ იყო? მეკურტნის ცოლმა რომ შეხედა, ძველი შემთხვევა გაახსენდა, ცხვირი მაღლა ასწია და ზიზღით გადახედა.

გადაყენებული მარჩიელთუხუცესის ცოლი კარგად დააკვირდა, იცნო, ვინც იყო და ჩაილაპარაკა:

— ღმერთო ჩემო, ეს ხომ მეკურტნის ცოლია! — ქალმა ამოიოხრა და მწარე ფიქრს მიეცა. საკადრისი პასუხის გაცემა უნდოდა აბუჩად აგდებისათვის, მაგრამ ახალი მარჩიელთუხუცესის შიშით ვერაფერი გაუბედა.

ახლა ის ამბავი მოისმინეთ, როგორ გაბრწყინდა მარჩიელის ბედის ვარსკვლავი.

ფადიშაჰმა ახალი მარჩიელის ხელოვნების შესახებ ბევრი რამ მოისმინა და საკუთარი თვალითაც ნახა. მას ოქროს რახტიანი ცხენი უწყალობა, თავის ამაღლაში ჩარიცხა და უბრძანა, ნადირობის დროს თან ხლებოდა ხოლმე.

ერთხელ ფადიშაჰი ცხენზე შეჯდა და სანადიროდ გაემართა. ხელმწიფეს უკან მიჰყვებოდნენ მისი ვაჟები და ძმები, ცოტა მომორებით — ნაზირ-ვეზირები, მერე სპასალარი, მონათუხუცესი, მკურნალთუხუცესი და მარჩიელთუხუცესი.

ველზე რომ გავიდნენ, ხელმწიფის უნაგირზე ჭრიჭინობელა შემოჯდა. ხელმწიფემ ხელი წაატანა დასაჭერად, მაგრამ ჭრიჭინობელამ ახტომა მოასწრო და ისევ უნაგირზე დასკუპდა. ხელმწიფემ მეორედ წაატანა ხელი დასაჭერად, მაგრამ ჭრიჭინობელამ ისევ მოასწრო ახტომა და კვლავ უნაგირზე დასკუპდა. ხელმწიფემ მესამედაც წაატანა ხელი და დაიჭირა. გუნებაში მაცდურმა აზრმა გაუელვა და თავისი მარჩიელთუხუცესის გამოცდა მოიწადინა. მუშტი მაგრად შეკუმშა, უკან მიიხედა და შესძახა:

— მარჩიელო! ჰეი, მარჩიელო!

მარჩიელმა ცხენს დეზი ჰკრა და ხელმწიფეს გაუსწორდა. ხელმწიფემ მუჭი გაუშვირა და უთხრა:

— თუ ვაჟკაცი ხარ, აბა თქვი, მუჭაში რა მაქვსო?

წახდა მარჩიელთუხუცესი! ახლა კი ნამდვილად გაება მახეში და, ვინ იცის, აქვე აუჭრელონ ზურგი როზგებით. გაიფიქრა: ერთი ორჯერ მხნეობა მოვიკრიბე და რალაც მივკიბ-მოვკიბე. ნათქვამი ბედად სწორი გამომივიდა, წყლიდან მშრალი გამოვედი და საფრთხეც ამცდა. მაგრამ ახლა რალა ვქნა? თაღლითობაში თუ დამიჭირეს, აქვე გამაჭრელებენ, ახლა კი დროა თავი გამოვიტყინო!

ამ მწარე ფიქრებში რომ იყო, მარჩიელმა უნებურად წამოიძახა:

— შე უბედურო, ერთხელ გაგივიდა ჭრიჭინი, მეორედაც გაგივიდა ჭრიჭინი, მესამედ კი ჩავარდი ხელმწიფის ხელშიო.

ხელმწიფეს ეგონა მარჩიელი იმ ჭრიჭინობელაზე ამბობდა, მუჭაში რომ ჰყავდა დახუთული; მუშტი გაშალა და მისი ხელიდან მწერმა ისკუპა! ხელმწიფე, ჩაზირ-ვეზირები და ყველა დამსწრე განცვიფრებული დარჩა.

— ამის მჯობნი გულთმისანი დედამიწის ზურგზე არ მოიძებნებაო.  
— დაასკვნეს ერთხმად.

ამის შემდეგ მარჩიელს ნდობა და პატივი მოემატა, თან იმდენი ქონება დააგროვა, რომ კაცი ველარ დათვლიდა. თვითონ კი ეშინოდა და ფიქრობდა: ვიდრე არ გაუგიათ და ქალაქიდან კინწისკვრით არ გავუგდივართ, სჯობია ყველაფერს მოვეშვა და თავი მოვიგიჟიანო. მაშინ დამეხსნებიან და ეს ქონებაც შემრჩებაო.

ასეც გადაწყვიტა და საქმეს შეუდგა. ერთხელ ფადიშაჰს ეცა, თავიდან გვირგვინი მოგლიჯა და იატაკზე დაანარცხა. განრისხებულმა ხელმწიფემ პირი დააღო, მაგრამ დაყვირება ვერ მოასწრო, რომ გვირგვინიდან პატარა შხამიანი გველი გამოძვრა!

— ყოჩად, მარჩიელთუხუცესო! — შესძახა გახარებულმა ფადიშაჰმა, — ერთი წუთითაც რომ დაგეგვიანა, ეს წყეული სიცოცხლეს გამომასალმებდა.

ფადიშაჰმა მარჩიელს ძვირფასი ლაბადა, ხალათი და აშრაფებით სავსე ქისა უბოძა.

მართალია, მარჩიელს ჩანაფიქრი არ გამოუვიდა, მაგრამ განზრახვაზე ხელი როდი აიღო. ერთხელ აბანოში ტანს იბანდა. უცბად შიშველ-ტიტველი ქუჩაში გავარდა და ხელმწიფის სასახლისკენ გაექანა. გაკვირვებული ხალხი სინანულით ამბობდა მის დანახვაზე:

— ჰოი, ღმერთო, საბრალო მარჩიელთუხუცესი ჭკუაზე შეშლილაო!

ის კი გარბოდა და გარბოდა, ვიდრე ხელმწიფის სასახლეს არ მიაღწა. ისე შევარდა შიგ, რომ გუშაგებმა და კარისკაცებმა მისი გაჩერება ვერ მოასწრეს. მარჩიელი პირდაპირ ხელმწიფის ოთახში შეიჭრა, ფადიშაჰს სახელოში ხელი ჩასჭიდა, აივანზე გაათრია და ეზოში ჩაიყვანა.

ხელმწიფის ცოლები, ჰარამხანის საჭურისები, მსახურები და, ერთი სიტყვით, ვინც ახლომახლო იყო, ყველა გარეთ გამოცვივდა. მაგრამ ვერც-

კი მოასწორეს ეკითხათ, რა მოხდაო, რომ უცბად ხელმწიფის ოთახში ჭერი ჩამოინგრა.


მაშინ კი ყველამ ერთხმად დაასკვნა:

— ღმერთო ჩვენო, რა სწორად მოიქცა მარჩიელი! ეტყობა, თავისი უბადლო მისნობის მეოხებით წინასწარ შეიტყო, რომ ფადიშაჰს თავზე ჭერი ჩამოენგროდა. ყველაფერი აწონ-დაწონა: ჯერ რომ ტანი დაეებანა, ჩაეცვა და დინჯად წამოსულიყო, ვიდრე მოვიდოდა და ხელმწიფეს ეტყო-და, „გარეთ გაბრძანდიო“, ჭერი ჩამოინგროდა და ხელმწიფესაც ქვეშ დაიტანდა. ამიტომაც იყო, რომ აბანოდან შიშველ-ტიტველი გამოვარდაო.

— დიახ, — კვერი დაუკრა ფადიშაჰმაც, — სწორედ ვგრე არისო.

ხელმწიფის ბრძანებით მარჩიელს საპატიო ხალათი და სხვა საჩუქრები უბოძეს. ამას გარდა, მარჯვენა ხელის ვეზირმა და სხვა კარისკაცებმაც მიართვეს ძვირფასი საჩუქრები ხელმწიფის გადარჩენისათვის.

როცა ნახა მარჩიელმა, რომ ვერაფრით თავი ვერ დააღწია, რაღა უნდა ექნა? ადგა, მთელი თავისი ფული და ქონება შეაგროვა და შუალამისას ქალაქიდან გაიპარა. უცხო ქვეყანაში გადაიხვეწა და იქ დასახლდა, სადაც არავინ იცნობდა.





## ბ ა ყ ა ყ ი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი უთვის-ტომო და მარტოხელა კაცი. მას მშვენიერი სახლი ედგა და ქონება უდუღდა და გადმოსდიოდა. სარდაფები სავსე ჰქონდა ერბოსა და შარბათის რუმბებითა და ბრინჯის ტომრებით, თავლაში კი ერთი ზორბა ეგვიპტური სახედარი ება, რომელზეც სეირნობის დროს შეჯდებოდა ხოლმე.

ერთხელ კაცმა შარვალი გაირეცხა, სახურავზე აიტანა და თოვზე გაფინა გასაშრობად. შემთხვევით ძლიერი ქარი ამოვარდა, შარვალს დაუბერა და მეზობელ ეზოში მოისროლა. მეზობელი ერთი ხელმოკლე და უქონელი მოხუცი იყო, რომელსაც ერთი მეორეზე სულელი სამი ქალიშვილი ჰყავდა. მოხუცმა რომ ეზოში დაგდებული შარვალი დაინახა, ეცა და გახარებულმა ფეხი დაუყარა შიგ.

სადამო ხანს კაცი სახურავზე ავიდა შარვლის ჩამოსატანად, მაგრამ

როდიღა დაუხვდა. მეზობლის ეზო შეათვალიერა, ქარმა ხომ არ გადააგდო, და მართლაც იქ არ აღმოჩნდა! ოღონდ შარვალში მისი ღარიბი მეზობელი გამოწყობილიყო. გადასძახა:

— ეი, ძია! რა უფლებისა და კანონის ძალით ჩაგიცვამს ჩემი შარვალი? ჩქარა გაიხადე და მომაწოდეთ!

— შვილო, კონკები ტანს ვერ მიფარაუდა და იღბლად ეს შარვალი ღმერთმა ციდან გადმომიგდო. აბა როგორ არ ჩამეცვა? ოღონდ ნუ წამართმევ და, სამაგიეროდ, ამ ჩემი სამი ქალიშვილიდან, რომელსაც კი ხელს დაადებ, ცოლად გაგატანო. — მიუგო მოხუცმა.

კაცს პირობა ჭკუაში დაუჯდა. მოხუცს დაეთანხმა და საცოლვეც ამოარჩია. ნიშნობისა და ქორწინების წესები შეასრულეს და მეზობლის უფროსი ქალიშვილი ცოლად მოიყვანა.

მეორე დღეს, დილაადრიან, სახლიდან რომ გადიოდა, კაცმა ცოლი დაარიგა:

— აი, ქალო, ხედავ? ოჯახი ყველაფრით სავსეა, რაც კი ადამიანის არსებობისათვის არის საჭირო. შენ იცი და ამ სახლმა. ურიგო საქციელით თავს ლაფი არ დაისხა და ოჯახი არ შემირცხვინო.

— არხეინად ბრძანდებოდე, ყველაფერს თვალის ჩინივით გავუფრთხილდებით, — დააიმედა ცოლმა.

ასე დაარიგა კაცმა ცოლი და საქმეზე გასწია. ქალი კი წამოდგა და, უპირველეს ყოვლისა სახლ-კარის დათვალიერებას შეუდგა. ნახა, ოთახები ავეჯით იყო სავსე, სარდაფები კი — სარჩოთი. რას მოიკითხავდით, რომ იქ არ ყოფილიყო, ერბოთი და შარბათის რუმბებით დაწყებული და ძმრის დოქებით გათავებული.

ოთახებისა და სარდაფების დათვალიერებას რომ მორჩა ქალი, სახურავზე ავიდა. ნახა, რომ აყალოთი გადალესილი ზედაპირი ალაგ-ალაგ დამსკდარიყო. იფიქრა, ახლავე თუ არ დავგლისე, წვიმა ჩამოვაო. ძირს ჩამოვიდა და სახურავზე ერბოსა და შარბათის რუმბები აიტანა დიდის ჯაფითა და ვაი-ვაგლახით. მერე მოსდგა და, სადაც მზე განსაკუთრებით აჭერდა, თკრობოკრო ზედაპირის გლესვა დაიწყო ერბოთი და შარბათით. მოსალამოვდა და საქმესაც მორჩა. თავმომწონედ ჩაილაპარაკა: მართალია, ბევრი ვიწვალე, ძალიანაც დავიქანცე, მაგრამ, სამაგიეროდ, კარგი საქმე გავაკეთე! ქმარმა ოჯახი ჩემს იმედად დასტოვა და გულგრილად ხომ ვერ მოვე-

კიდებოდი. ბოლოს და ბოლოს, სხვა რომ არაფერი იყოს, მეც ხომ ამ სახლში უნდა ვიცხოვროო?!  
 — დღე როგორ გატარე, მარტო ხომ არ მოგწყინდა, რა აკეთეო?  
 — მოსაწყენად ვინ მომაცალა, მთელი დღე საქმეებს ვერ აუვდიო. —  
 მიუგო ცოლმა.

სალამოს კაცი შინ მხიარულად დაბრუნდა. უხაროდა, მარტო რომ აღარ იყო. უკვე იშოვა მეგობარი, რომელიც ამიერიდან მასთან ერთად მიუჯდებოდა ჭრაქს. ცოლს ჰკითხა:

— დღე როგორ გატარე, მარტო ხომ არ მოგწყინდა, რა აკეთეო?

— მოსაწყენად ვინ მომაცალა, მთელი დღე საქმეებს ვერ აუვდიო. —

მიუგო ცოლმა.

გათენდა მეორე დღე. დილით კაცი ეზოში გავიდა და დაინახა, რომ საწვიმრის მილიდან ერბო და შარბათი ჟონავდა. გაუკვირდა. ცოლს ჰკითხა:

— ქალო, თუ იცი, ეს რა არისო?

— სწორედაც, რომ შენ თვითონ უნდა გეკითხა, თორემ მე რომ მე-  
 თქვა, თავის ქებაში ჩამომართმევდი. ახლა, რაკი თვითონ მკითხე, გამოგი-  
 ტყდები: გუშინ დილიდან სალამომდე სახურავის შეკეთებას მოვუნდი. ზედ  
 ერბო და შარბათი ავიტანე და დამსკდარი ადგილები დავეგლისე. ღმერთმა  
 ნუ ჰქნას, მაგრამ ხვალ რომ კარს ზამთარი მოგვდგომოდა, რა უნდა გვექნა?  
 თახები სულ თოვლითა და წვიმით აგვევსებოდა.

ეს სიტყვები რომ მოისმინა კაცმა, თავს რეტი დაესხა. სარდაფში ჩაი-  
 რბინა და საკუთარ თვალებს არ დაუჯერა: ქალს მთელი რუმბები ერთიანად  
 დაეცალა და შიგ ერბოსა და შარბათის ნასახი აღარ დაეტოვებინა.

გაცეცხლებული კაცი დედაკაცს მივარდა, ქეროში სწვდა, მამის სახლ-  
 ში მიათრია და შესძახა:

— ძია, ეგ შენი სულელი ქალი ცოლად არ მინდა. თავში იხალე და  
 ჩემი შარვალის დამიბრუნეო!

— განა ისეთი რა დაგიშავა, აგრე რომ გაცხარებულხარო? — ჰკითხა  
 მოხუცმა.

კაცი დაწვრილებით მოუყვა სიმამრს ერბო-შარბათისა და სახურავის  
 დაგლესვის ამბავს.

— ღმერთს გაფიცებ, ოღონდ შარვალს ნუ წამართმევ და ახლა მეორე  
 ქალიშვილი წაიყვანე. ის მაგაზე გაცილებით ჰკვიანიაო. — შეეხვეწა მო-  
 ხუცი.

— რა გაეწყობა, წავიყვანო, — დათანხმდა კაცი და შუათანა და  
 სახლში წამოიყვანა.

დილით, სახლიდან რომ მიდიოდა, ცოლი დაარიგა:

— შენ ჩერჩეტ დასავით არ მოიქცე. იცოდე, მთელი ეს ქონება, რასაც ამ ოჯახში ხედავ, მე და შენი ზიარია. თვალის ჩინივით უნდა გაუფრთხილდე, რომ არაფერი წაგვიხდეს და გაგვიფუჭდეს. ათასი გაჭირვებით ამ პატარა ქონებას იმიტომ მოვუყარე თავი, რომ გასაჭირის ჟამს ყველაფერი შინ გვქონდეს და სხვას არ მივადგეთ კარზე მათხოვარივით ხელგაწვდილი. იმ შენმა შეჩვენებულმა დამ აიღო და, რაც კი ერბო და შარბათი მქონდა, სულ სახურავზე დაღვარა. აბა, შენ იცი, რა ყოჩაღი იქნებიო.

— დარწმუნებული იყავი, რომ შენს ქონებას საკუთარი თავივით გავუფრთხილდებიო. — მიუგო ქალმა.

— მაინცადამაინც თავს ძალას ნუ დაატან, — დაუბარა ქმარმა, — თავლაში სახედარს მიხედე; შვრია დროით დაუყარე, ხომ იცი, პირუტყვია და მეტი ყურადღება სჭირდება.

ასე დაარიგა ქმარმა ქალი და საქმეზე გასწია.

ქალი ადგა, ჯერ სახლი დაათვალიერა და მერე თავლაში სახედარს მიაკითხა. შეხედა, ბაგასთან ერთი ზორბა სახედარი ება, რომელიც ჩონჩორიკში წოლით დასვრილიყო. ქალმა უთხრა:

— თავს ლაფი დაესხას ჩემს დას! იმის მაგიერ რომ შენთვის მოეგლო, სახურავზე ერბოსა და შარბათის თხიპნას გადაჭყვა. არა უშავს რა! ახლა მე გიპატრონებ, ფეხებსაც დაგბან და საკადრის ადგილსაც მოგინახავ მოსასვენებლადო.

ქალი წავიდა და ცეცხლზე წყლით სავსე ქვაბი შემოდგა. წყალი რომ გაცხელდა, ქისა, სახენი ქვა და საპონი აიღო, სახედარს მიადგა და დილიდან მოკიდებული სამხრობამდე ბანდა და ხეხავდა; ჩლიქები აგურით გაუხეხა, თავი და ტანი დაუზილა და საგულდაგულოდ დაბანა. მერე ერთი მუჭა ინა წყალში გახსნა, საღებავი შეამზადა, სახედარს თავ-ფეხი შეუღება და ფაფარი კობტად დაუვარცხნა. ამის შემდეგ თავლიდან გამოიყვანა და საუკეთესო ოთახში შეუძღვა. იატაკზე ქიშმირის მოსასხამი გაჭფინა, ზედ ატლასის ლეიბი დააგო, ხავერდის სასთუმალი გაუწყო და სახედარი ლოგინში ჩააწვინა. თვითონ სასთუმალთან მიუჯდა და მასლაათი დაუწყო. იფიქრა: ჯავრი გაუქარდება და გუნებაზე მოვაო.

ამასობაში კიდევც მოსაღამოვდა. ქმარი შინ დაბრუნდა. ეზოში რომ შევიდა, დაინახა, თავლის კარი ღია იყო. იფიქრა: მოდი ერთი, სახედარს

დავხედავო, და თავლაში შევიდა. სახედარი შიგ როდილა დაუხვდა! იქვე ცოლი დაინახა და ჰკითხა:

— ქალო, სახედარი რა იქნა? ხომ არავინ მოიპარაო?

— არაო, — მიუგო ქალმა, — მოპარვით არავის მოუპარია, მაგრამ რა მოუვლელად გყავდა მიგდებული ეს საბრალო პირუტყვი! მთელი დღე მოვუნდი მაგის ხეხვას და გასუფთავებას. საბრალო ამ ჭუჭყიან თავლაში ეგდო და ფეხები და მუცელი სულ ნეხვით ჰქონდა დასვრილი. რა უნდა მექნა? ავდექი და დავბანე, თავ-ფეხი ინით შევუღებე, ოთახში შევიყვანე და ლოგინში მოვასვენეო.

— ქალო, რასა ბოდავ? ხომ არ გადარეულხარო? — შეუტია ქმარმა. და ოთახში შევარდა. თქვენს მტერს იმან დაინახა! თურმე ეს ჩერჩეტი დედაკაცი მართალს არ ამბობდა?! გაკრიალებული და თავფეხშეღებული სახედარი ატლასის ლოგინში გამოტილიყო, ჩვილ ყრმასავით მიედო თავი ბალიშზე და ტკბილად ხვრინავდა.

— ამას რას მოვესწარი! — შესძახა გამწარებულმა კაცმა. სახედარს ეცა, ფერდში წიხლები დააზილა და თავლაში შეაგდო. მერე ცოლს ეძგერა, სახურავზე აათრია და სიმამრს გადასძახა:

— შე მამაგანათლებულო, რას მერჩოდი?! მე ხომ შენთვის ცოლი არ მითხოვია? მოიტა ჩემი შარვალი და შენი ჩერჩეტი ქალი კი თავში იხალეო.

— შვილო, მაგას რაღა ეშმაკი მოუვიდა? — დაყვავებით ჰკითხა მოხუცმა და სიძემაც ყველაფერი დაწვრილებით უამბო.

— ოღონდ ამ შარვალს ნუ წამართმევ, — კვლავ დაუწყო ხვეწნა-მუდარა მოხუცმა სიძეს, — სამაგიეროდ ახლა მესამე დას გაგატან. ის თავის დებზე უფრო ჭკვიანიცაა და უფრო ლამაზიცო.

რაღა უნდა ექნა? ახლა მესამე ქალიშვილი მოიყვანა შინ. საწყალმა ამ მესამე ცოლს დარიგება და ჭკუის სწავლება დაუწყო:

— წესიერად მოიქეცი, საქმეს ჭკუა დაატანე და ცხოვრებაც კარგად წაგვეწყობა. ხომ ნახე, უწესო საქციელის გამო შენს უფროს დებს რა დაემართათ? სანამ რამეს გააკეთებდე, კარგად დაფიქრდი, ნუ აცეტლები და დინჯად მოიქეციო.

ქალმა დააიმედა:

— მე ჩემს დებს როდი ვგავარ. შეგიძლია ყველაფერზე გულდამშვიდებით ბრძანდებოდეთ.



პირველ ორ-სამ დღეს ქალი მართლაც ძალიან ფრთხილობდა, რომ შარცხი არ მოსვლოდა.

გავიდა ხანი. ერთ მშვენიერ დღეს ქმარმა ცოლი გააფრთხილა:

— ამაღამ შვიდიოდე სტუმარი გვეწვევა. რიგიანი ვახშამი შეგვიმზადე და ოჯახი არ შემირცხვინო. აბა შენ იცი, სტუმრებთან როგორ მასახელებ! — ეს უთხრა და ცოლს ერთი გობი ბრინჯი, ერბო, ხორცი, ნიგოზი, ხახვი და, ერთი სიტყვით, რაც კი საჭირო იყო, დაუტოვა და საქმეზე გასწია.

ქალი შინ მარტო დარჩა. შუა ეზოში გავიდა, ნაგვის ორმოსთან დადგა და ნაღვლიანად ჩაილაპარაკა:

— ღმერთო ჩემო, ამოდენა საჭმელები მარტო როგორ უნდა დავამზადო? რა კარგი იქნებოდა, ვინმე მომშველებოდაო.

ამ დროს ნაგვის ორმოში ბაყაყმა დაიყიყინა. ქალი თავზე წაადგა და გახარებულმა ჩასძახა:

— ეი, დეიდა ბაყაყო, რაო? რა თქვი? ვახშმის დამზადებაში მოგეხმარებიო?

ბაყაყმა ისევ დაიყიყინა.

— ბარაქალა! — კვლავ ჩასძახა ქალმა, — რაო? დეიდა ბაყაყო, საჭმელს მე დაგიმზადებო, არა?

— ვაყ-ყა-ყა! — ისევ გაისმა ბაყაყის ხმა.

— რაკი თანახმა ხარ, — ჩასძახა ქალმა, — ბრინჯს, ერბოს, ხორცს და ყველაფერს, რაც კი საჭიროა, ორმოში ჩამოგიყრი, საჭმელები შენ თვითონ დაამზადე. ვახშმობის დროს მოგაკითხავ და ამომაწოდე!

ბაყაყმა კიდევ დაიყიყინა. ქალი დარწმუნდა, რომ საჭმელებს დეიდა ბაყაყი დაუმზადებდა, ადგა, ხელი მოუსვა და ბრინჯი, ხორცი, ერბო და ყველაფერი, რაც ქმარმა ვახშმის დასამზადებლად დაუტოვა, იმ ნაგვის ორმოში ჩაჰყარა. თვითონ წავიდა, სტუმრების მისაღებად მოირთო და მოიკაზმა. მერე ტახტზე დასკუბდა და საღამომდე ასე იჯდა.

საღამოს ქმარი სახლში დაბრუნდა და ცოლს მოჰკითხა:

— ქალო, აბა ერთი მაჩვენე, როგორი საჭმელები დაამზადეო?

— საჭმელთან შენ რა გესაქმება! — მიუგო ცოლმა, — როცა მაგიდას მიუჯდები, ვახშამი მოითხოვე, მორჩა და გათავდაო.

— ძალიან კარგო, — გაუხარდა ქმარს.

ამასობაში სტუმრებიც მოვიდნენ. დადგა ვახშმობის დრო. ქმარმა ცოლს ანიშნა, საჭმელები მოიტანეო. ქალმა მშვიდად მიუგო:

— მაგიდა გაშალე, ყველი და მწვანელი დააწყვე, მე კი საჭმელებს მოგართმევთო!

კაცმა სუფრა გააწყო, თეფშები ჩამოარიგა და ცოლს შეეხმინა, საჭმელის მოტანა დააჩქარეო.

ქალი ეზოში გავიდა, ნაგვის ორმოს თავს წაადგა და ჩასძახა:

— დეიდა ბაყაყო! სტუმრები უკვე ვახშამს ელოდებიან, მომაწოდე საჭმელებიო.

მაგრამ ნაგვის ორმოდან აბა, ვინ რას მოაწოდებდა?

გაკვირვებულმა ქმარმა ჰკითხა:

— ქალო, ვის სთხოვ, ორმოდან საჭმელები ვინ უნდა მოგაწოდოსო?

— დეიდა ბაყაყი შემპირდა, საჭმელების დამზადებაში მოგეხმარე-  
ბიო, — მშვიდად მიუგო ქალმა.

— დეიდა ბაყაყი? — გაიმეორა გაოცებულმა ქმარმა.

— მადროვე, — მე თვითონ ჩავალ ორმოში და დამზადებულ საჭმე-  
ლებს ამოვიტანო, — მიუგო ცოლმა.

ქალი ნაგვის ორმოში ჩახტა და რა დაინახა: ბრინჯი, ერბო, ხორცი და, რაც კი რამ ორმოში ჩაყარა, ყველაფერი წუმპეში არეულიყო! ფსკერზე ხელი მიუსვ-მოუსვა და შიგ რაღაც მძიმე საგანი მოხვდა. ამოიღო, ქმარს გაუწოდა და უთხრა:

— უყურე, საძაგელმა დეიდა ბაყაყმა როგორ მომატყუა? საჭმელები როდი დაუმზადებია! გავბრაზდი და კვირისტავი წავართვი. სანამ საჭმე-  
ლებს არ დამიმზადებს, თვალით ვეღარ იხილავს!

კაცმა შეხედა, მაგრამ რა დაინახა: ქალს ხელში ოქროს აგური ეჭირა. ქმარს სიბრაზე დაუცხრა და მოლბა. ცოლს უთხრა:

— არა უჭირს რა, ახლავე გავიქცევი ბაზარში და საჭმელებს მოვარ-  
ბენინებ. შენ ეგ კვირისტავი საიმედოდ დამალე, ორიოდე თვის შემდეგ რამაზანი\* მოვა და მის ვალს პირნათლად მოვიხდით.

ქალს რამაზანი კაცის სახელი ეგონა, ქმარს კვერი დაუკრა და ოქროს აგური სკივრში დამალა. ქმარი კი ბაზარში გავარდა, ქაბაბი, კარაქი, კვერ-

\* რ ა მ ა ზ ა ნ ი — მუსლიმანური მთვარის კალენდრის მე-9 თვე. მორწმუნეები მთელი თვის განმავლობაში, ალიონიდან მწუხრამდღ, მარხულობენ; ღამით კი გულს აღარ იკლებენ, უხვად შეექცევიან და ნებივრობენ.

ცხი და სხვა ხორაგი მოიტანა. სუფრას მიუსხდნენ და მადიანად შეექცნენ. თან კაცს დროდადრო ოქროს აგური გაახსენდებოდა ხოლმე და სიხარული-საგან გული ფრიალს უწყებდა.

ამ ამბის შემდეგ კარგა ხანი გავიდა. ყოველ დღე, როგორც კი ქმარი, სახლიდან გავიდოდა, ქალი ჭიშკართან დადგებოდა და გამვლელ-გამომვლელს ეკითხებოდა, რამაზანი თქვენ ხომ არა ხართ. ყველა გაკვირვებული პასუხობდა — არაო. ერთხელ ჭიშკართან ვიღაც მეპალვემ ჩამოიარა პალვის ხონჩით. ქალმა გააჩერა და ჰკითხა:

— ძია, რამაზანი თქვენ ხომ არა ბრძანდებით?

კაცი ცოტას შეყოყმანდა და მერე სხვათა შორის მიუგო:

— დიახ, სწორედ რამაზანი გახლავარ, მერე რაო?

— ცოტა ხანს აქ დამელოდე! — შეეხვეწა ქალი, — ის თქვენი ამანათი რომ გვაქვს მობარებული, მოგიტან და ჩაგაბარებ, თორემ იმისმა შენახვამ გული გაგვიწყალაო.

ქალმა მეპალვეს ჭიშკართან მოაცდევინა, თვითონ სახლში შევარდა, სკივრიდან ოქროს აგური ამოიღო და გამოურბენინა.

მეპალვე მყისვე მიხვდა, რომ ქალი დალაგებული ჭკუისა არ იყო, ოქროს აგური გამოართვა, პალვის ხონჩა იქვე მიატოვა და გახარებულმა კისრისტეხით მოქუსლა.

ქალი კი დიდად კმაყოფილი დარჩა თავისი საქციელით. პალვის ხონჩა სახლში წაიღო და პალვისაგან პაწაწინა კაცუნები გამოძერწა. ამ კაცუნებს ნაირ-ნაირი სახელები შეარქვა და სხვადასხვა საქმეებზე განაწესა: ერთს მსახურობა დაავალა, მეორეს ნოქრობა, მესამეს დალაქობა, მეოთხე მზარეულად დანიშნა, მეხუთე კარის გუშაგად, მეექვსე მრჩეველად, მეშვიდე მსახურთუხუცესად და ასე შემდეგ. ამასობაში დღეც მიიწურა.

მოსაღამოვდა თუ არა, ქმარი შინ დაბრუნდა. კარზე დააკაკუნა, მაგრამ ცოლმა არც პასუხი გასცა და არც კარის გასაღებად შეეგება. ქალი ტახტზე დასკუპულიყო და პალვის კარისკაცს ბრძანებას აძლევდა: ბატონს კარი გაუღეო, მაგრამ ამაოდ. ქმარმა კაკუნს ყვირილიც მიაყოლა, მაგრამ კარს მაინც არავინ უღებდა! გამწარებულმა კაცმა კარს მუშტები დაუშინა, მაგრამ ესეც ამაო აღმოჩნდა: მაინც არავინ გაუღო კარი. ბოლოს ძალა მოიკრიბა, მიაწვა, რაზა მოგლიჯა, კარი გააღო და სახლში შევარდა. შეხედა და რა დაინახა: ქალს წარბ-წამწამი შეეღება, მორთულ-მოკაზმულიყო და ტახტზე დასკუპებული ყურსაც არ იბერტყავდა.

კაცმა მკვახედ შეუტია:

— რას უზიხარ? კარი რატომ არ გამიღო?!  
— ამოდენა მსახურებისა და მოხელეების პატრონს რა მრჯიდა, რომ

კარი მე გამეღო? — მიუგო გაკვირვებულმა ცოლმა.  
— დედაკაცო, რეებსა როშავ? ხომ არ გადარეულხარ? — კიდევ

უფრო მეტი გაცხარებით შეუტია ქმარმა.  
— როგორ? განა ვერ ხედავ, ოთახში, ეზოსა და დაღანში მსახურები

რომ დგანან? — შეიცხადა ქალმა.  
კაცმა გარშემო მიმოიხედა და მართლაც, საითაც გაიხედავდა, ჰალ-

ვისგან გამოძერწილი კაცუნები იდგნენ. გამწარებულმა კაცმა ღრიალი მორთო:

— ეს რა დამემართა?! ნეტავ რა დავაშავე? სახურავზე შარვალთ გაკვიდე გასაშრობად და ღმერთმა კი სასაცილოდ ამიგდო! — მერე ისევ ცოლს მიუბრუნდა, ჰალვის კაცუნებზე ჰკითხა, საიდან მოგიტანიაო.

ქალმა ღრმად ამოიოხრა და ჩაილაპარაკა:

— ყველაფერი ახია ჩემზე! ეგრე მომიხდება, სულიც რომ არ შენანება შენთვის. ცუდი რა გავაკეთე? ვალი მოგხადე, ბიძია რამაზანს თავისი ამანათი დავუბრუნე და იმისი შენახვისაგან გაგათავისუფლე!

— რომელ ბიძია რამაზანზე ლაპარაკობ ან რა ამანათი ჰქონდა მობარებული? — ჰკითხა გაოცებულმა ქმარმა.

— როგორ თუ რა ჰქონდა მობარებული. განა შენ არა თქვი, ბაყაყის კვირისტავი რამაზანის ვალს მოგვხსნისო?

— რაო? — დაიღრიალა კაცმა, — რა უყავი ბაყაყის კვირისტავი? ვინმემ ხომ არ მოგპარა?

— არა, — დაამშვიდა ცოლმა, — კი არავინ მომპარა, ძია რამაზანს გავატანე. შუადღისას ჩვენს ჭიშკართან ჩამოიარა ჰალვის ხონჩით, დაუდასხე და თავისი ამანათი გადავეცი. მადლობის ნიშნად ჰალვის ხონჩა დამიტოვა. მე კი იმ ჰალვისაგან, ხედავ, რამდენი მსახური და ფარეში გამოძერწე?

კაცმა რომ ოქროს აგურის ამბავი შეიტყო, სიბრაზისაგან თვალთ დაუბნელდა და ცოლს მივარდა გაცოფებული:

— იმ შარვალს კი შეველევი, მაგრამ არც შენ დაგაყენებ ჩემს სახლში! ალაპს ვფიცავ, ახლავე გასწი, აქედან გაეთრიე თორემ...

გაშმაგებული კაცი ცოლს ქეჩოში სწვდა და სულ კინწისკვრით გააგდო სახლიდან.

ქალი მამასთან როდი დაბრუნდა სახლში, წავიდა და ქალაქგარეთ ნანგრევებში დაჯდა. გვერდით ძაღლმა ჩაუარა და შეჭყეფა. ქალი მიუბრუნდა და მიაძახა:

— მყუფარა დეიდა, ტყუილად ნუ ირჯები, მე ამიერიდან იმ უსინდისო კაცის სახლში ფეხის შემდგმელი აღარა ვარ!

ძაღლი დაფრთხა და გაიქცა.

ცოტა ხნის შემდეგ გვერდით კატამ ჩამოიარა კნავილ-კნავილით. ქალი კატასაც გამოელაპარაკა:

— დეიდა ფისო! ჩემს წასაყვანად მოხვედი, არა? ტყუილად გარჯილხარ! როგორც ჩემი თვალები საკუთარ ყურებს ვერ დაინახავენ, ისე ჩემი ფეხი აღარ დაიდგმება იმ უნამუსო კაცის სახლში. გასწი და იმ საძაგელს სწორედ ასე გადაეცი!

კატა რომ წაცუნცულდა, ყორეზე ყვავი შემოჯდა ჩხავილ-ჩხავილით.

— დეიდა ყვანჩალა! — მიაძახა ქალმა, — შენც იმ გზააბნეულმა კაცმა გამოგზავნა, არა? წადი, უთხარი, ტყუილად ნუ ირჯები, ჩვენს შორის ყველაფერი გათავდა-თქო.

ყვავემა ერთი კიდევ დასჩხავლა, ფრთა ფრთას შემოჰკრა და წაფარფატდა.

ამასობაში თურმე ხელმწიფის ჩალვადრებს ოქროს ზოდებით დასაპალნებული აქლემი დაჰკარგვოდათ. აქლემი სწორედ იმ ნანგრევებს მოადგა, სადაც ქალი იჯდა და შემთხვევით მის წინ გაჩერდა. ქალმა რომ აქლემი დაინახა, უთხრა:

— გრძელკისურა დეიდა, შენც ჩემმა ქმარმა გამოგზავნა, არა? ვერ უყურებთ იმ უტიფარს კაცს, ყველა როგორ შეუწუხებია! ალაჰს ვფიცავ, დეიდა აქლემო, მხოლოდ და მხოლოდ შენი ხათრით ვბრუნდები, თორემ იმ კაცის დანახვაც აღარ მინდოდა. ვინ არ მომიგზავნა თხოვნით, შინ დაბრუნდიო, მაგრამ ყველა უარით გავისტუმრე. ახლა რაღა ვქნა, შენ ხომ ვერ გაგაწბილებ? შენი ძალიან მერიდება და, იცოდე, მხოლოდ შენი ხათრით ვბრუნდები იმ საძაგელი კაცის სახლში.

ქალმა ეს ჩაილაპარაკა, მერე წამოდგა, აქლემს ზურგზე მოაჯდა და სახლისაკენ გაუდგა გზას.

სიბრაზისაგან გაოგნებული ქმარი ჯერ კიდევ ჭიშკართან იდგა, რომ

უცბად დაინახა, მისი ცოლი აქლემზე გადაბრინჯულიყო და მოიწყოდა. კაცი ჯერაც გონს ვერ მოსულიყო, რომ ქალმა აქლემი ზედ მიაგდო და შეუტია:

— უჩემოდ ერთი დღეც ვეღარ გაძელი, არა? რას გამიწყალე გული. ხან ძალლი მომიგზავნე, ხან კატა, ხან ყვავი! ღმერთმანი, გრძელკისერა დეიდის ხათრს უმადლოდე, თორემ შენს დღეში ვერ მნახავდი ამ უბანში მოსულსო.

კაცი გაცოფებული ეძგერა გასაწიწკნად თავის ჩერჩეტ ცოლს, მაგრამ ოქროს ზოდებს რომ შეხედა, უცბად მოლბა და დაუყვავა:

— რა კარგად მოიქეცი, რომ დაბრუნდი. ჩამოხტი აქლემიდან, ეზოში შევიდეთ.

ერთი სიტყვით, ცოლი აქლემიდან ჩამოსვა, აქლემი ეზოში შეიყვანა და საგულდაგულოდ გასინჯა. მართლაც ოქროს ზოდები ჰქონდა აკიდებული. იფიქრა: ცოლი რომ ამას მიხვდეს, ხათაბალას გადამკიდებსო, და უთხრა:

— ჩემო ტკბილო და საყვარელო, ალბათ დაღლილი ხარ, წადი, დაწე და დაიძინე. სამიოდე საათის შემდეგ ციდან შეჭამანდის წვიმა და ქუფთის სეტყვა წამოვა, მაშინ გაგაღვიძებ და ჭამე, რამდენსაც მოერევო.

ცოლმა დაუჯერა, ტახტზე გაიშოტა და ტკბილად ჩაეძინა. კაცი კი ადგა, აქლემს ოქრო ჩამოხსნა, სარდაფში ჩაიტანა და მიწაში დაფლა. მერე აქლემი დაკლა, მისი ხორცისაგან უამრავი ქუფთა და წვნიანი შეჭამანდი მოამზადა, სახურავზე აიტანა, შეჭამანდი წყლის საჟონავ მილებში ჩაასხა და ქუფთები ეზოში გადმოჰყარა, მერე სასწრაფოდ გააღვიძა ცოლი: ციდან შეჭამანდის წვიმა და ქუფთის სეტყვა მოდის, ადექი, ჭამეო.

ქალი სასწრაფოდ წამოხტა ლოგინიდან და ეზოში გავარდა. ნახა: ქმრის ნათქვამი მართალი გამოდგა! შეჭამანდსა და ქუფთას დაერია, ლაზათიანად გამოძღა და ისევ დაიძინა.

ორიოდე დღე გავიდა ამ ამბის შემდეგ. შაჰის კაცები არემარეს მოედგნენ დაკარგული აქლემის საძებნელად. ისინი კარდაკარ დადიოდნენ და აქლემის ამბავს კითხულობდნენ. ასე კითხვა-კითხვით ამათ სახლსაც მოადგნენ. თან მეზობლებსაც მიესწავლებინათ, ხელმწიფის აქლემი ამა და ამ კაცის ეზოში დავინახეთო.

ხელმწიფის კაცებმა ქმარი სახლიდან გაიხმეს და უთხრეს: ფადიშაჰი

გიბარებს და ახლავე ჩვენთან უნდა წამოხვიდეთ. კაცი სახლში შებრუნდა და ცოლს დაუბარა:

— ხელმწიფესთან უნდა გამოვცხადდე. შენ ფრთხილად იყავი, სახლის კარს თავი არ დაანებო და თვალი ჩემსკენ გეჭიროს! — ეს უთხრა და გაჰყვა შაჰის ჩალვადრებს. ქალმა კი სასწრაფოდ ჩამოხსნა ანჯამებიდან სახლის კარი, თავზე გაიღო და ქმარს გამოუდგა უკან. გაკვირვებული ხალხი ეკითხებოდა, მაგას რასა შევებით, მაგრამ ქალი დინჯად უხსნიდა:

— ქმარმა დამიბარა, სახლის კარს თავი არ დაანებო და თვალი ჩემსკენ გეჭიროსო. მეც ასე ვიქცევი. ჩვენი ტომის ქალებს ქმრის ერთგულება სჩვევიათ და მისი სიტყვის შესრულება იცინათ!

ერთი სიტყვით, კაცი ხელმწიფეს წარუდგინეს. ბევრს ეცადნენ, მაგრამ ვერაფერი დააცდევინეს. აწამეს კიდევაც, მაგრამ მაინც არაფერი გამოვიდა. — კაცი არა ტყდებოდა! ამასობაში ვეზირმა თავზე კარგადებული ქალი დაინახა. გაუკვირდა და იკითხა, ვინ არისო. უპასუხეს, მაგ ეჭვმიტანილი კაცის ცოლიაო. ვეზირი ხელმწიფეს ეახლა და მოახსენა:

— დიდებულო ხელმწიფევ, თქვენი ჭირი წაეღოს თქვენს უღირს მონას, მაგ კაცის ცოლი მოაყვანინეთ და დაჰკითხეთ. იქნება ის გამოგიტყდეს და მართალი თქვასო.

ხელმწიფემ, მართლაც, მოაყვანინა ქალი და ჰკითხა:

— შენ ამ კაცისა რა ხარო?

— ცოლიო! — ამაყად მიუგო ქალმა.

— ბარაქალა! — წარმოთქვა ფადიშაჰმა, — ერთი რამე უნდა გკითხო, თუ მართალს იტყვი, ას ოქროს აშრაფს გაჩუქებო.

— რასაკვირველია, მხოლოდ მართალს მოგახსენებთო, — მიუგო ქალმა.

— ერთი აქლემი დამეკარგა, რომელსაც ოქროს ზოდები ეკიდა, შემთხვევით თქვენს ეზოში ხომ არ შემოსულა, ან სხვაგან ხომ არსად მოგიკრავს თვალიო?

— როგორ არა, — მიუგო ქალმა, — ერთხელ ქმარს წავეჩხუბე და სახლიდან გაქცეული ქალაქგარეთ ნანგრევებში რომ ვიჯექი, ქმარმა შესარიგებლად სწორედ ისეთი აქლემი მომიგზავნა, როგორსაც თქვენ ბრძანებთ. აბრეშუმის მოსართავეები ჰქონდა და ოქროთი მოსირმული უნაგირი ედგათ.

ფადიშაჰს სიხარულის აღმური მოედო, იფიქრა, დაკარგული აქლემის კვალს მივაგენიო და იმ ქალის ქმარს მიუბრუნდა:

— აკი არა ტყდებოდი? ხომ ხედავ, ცოლმა როგორ გაგცა? ახლავე გასწიე და ის აქლემი სასწრაფოდ აქ მომიგვარეო.

— დიდებულო ხელმწიფე! — მიუგო კაცმა, — ეგ ქალი სულელია, მაგის სიტყვას როგორ დაეჯერება?! თვითონაც არ გაეგება, რასა რომავსო.

— ეს კაცი მართალს ამბობს! — კვერი დაუკრა ვეზირმა, — ქალი რომ ჭკვიანი ყოფილიყო, სახლის კარს თავზე როგორ გაიდებდაო?

ფადიშაჰი ისევ ქალს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— ქალო, აბა, ერთი მითხარი, აქლემი რომ ნახე, რა დღე იყო?

— სწორედ ის დღე იყო, — მიუგო ქალმა, — ქმარმა რომ სახლიდან გამაგდო და მერე შესარიგებლად აქლემი მომიგზავნა. დიდებულო ხელმწიფე, იქნებ თქვენც გაიხსენოთ: იმ დღეს შეჭამანდის წვიმა და ქუფთის სეტყვა მოვიდა. რომ იცოდეთ, როგორ გამოვძეხი ციდან ჩამოყრილი ქუფთითა და შეჭამანდით! ხელმწიფე, ის სეტყვა თქვენც მოგხვედრიათ, შეხე, კვალიც როგორ დაუმჩნევია! — და ქალმა ხელმწიფეს ნაიარევზე მიუთითა, რომელიც მართლაც დაჩენოდა ლოყაზე კალა-აზარის წყლულის შემდეგ.

ფადიშაჰმა ვეზირს უთხრა:

— მართალს ამბობ, ეს დედაკაცი სულელი ყოფილა! ვაი მაგ კაცის ბრალი ამ გადარეული ქალის ხელში! ნეტავ, როგორ უძლებს? გაუშვით, დაე, წავიდნენ თავიანთი გზით! — ბრძანა ფადიშაჰმა.

ცოლ-ქმარი დაითხოვეს ხელმწიფის სასახლიდან.

შინ რომ დაბრუნდნენ, ქმარმა ცოლი გააფრთხილა:

— იცოდე, სახლში მხოლოდ ერთი პირობით შეგიშვებ: ჩემს დაუკითხავად არასოდეს კრინტი არ დაძრა და მხოლოდ მაშინ ამოიღე ხმა, როცა რამეს შეგეკითხებიო.

— ისე მოვიქცევი, როგორც შენ მიბრძანებო, — მორჩილად მიუგო ქალმა.

ამის შემდეგ ეს ქალი მართლაც ისე იქცეოდა, როგორც ქმარმა დაარჩია. საბრალო კაცმა ძლივს მოისვენა ცოლის ყრანტალა ენით გამოწვეული ხიფათისაგან.



## გრძელვისეა რეილა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ოქრომჭედელი. ამ ოქრომჭედელს ძალიან ჭკუათხელი ცოლი ჰყავდა და მისი თავქარიანობის წყალობით წარმარა ხიფათში ვარდებოდა.

ერთხელ ოქრომჭედელმა ბაზარში ერთი შეკვრა ბამბა იყიდა, სახლში მოიტანა და ცოლს უთხრა:

— ქალო, ეს ბამბა დამირთე, სახალათე უნდა მოვაქსოვინოო.

— ე მანდ დააგდე, ახლა მაგისტვის არა მცალია. როცა რთვის ხასიათზე მოვალ, მაშინ გამახსენე და დაგირთავო, — სხაპასხუპით მიაყარა ცოლმა.

— ნეტავ ვიცოდე, როდის დადგები რთვის ხასიათზეო?

— ალაჰმა უწყის! როცა იქნება, შენი თვალებიც ხომ დაინახავენო, — მკვახედ მიახალა ცოლმა.

ზაფხული იდგა. შუადღის პაპანაქება სიცხეში ოქრომჭედელი სარდაფს შეფარებოდა და ტკბილად ეძინა. მის ცოლს შუადღის ხვატი-საგან სული შეეხუთა, კაბა გაიხადა და აუზში ჩავიდა გასაგრილებლად.

უცებ, შუა აუზში რომ შევიდა, ქალმა ერთი კივილი და ღრიალი ასტეხა. მის ყვირილზე ოქრომჭედელს გამოეღვიძა, აუზთან მიიჭრა და ცოლს ჰკითხა:

— ქალო, რა გაღრიალებს, რა მოხდაო?

— ხასიათზე მოვედი, გასწი, ჩქარა ბამბა მომიტანე, სახალათე ძაფს ახლა დაგირთავო, — მიუგო ქალმა.

ოქრომჭედელი სიბრაზისაგან გაცეცხლდა, ჭოლოკი აიღო და თავის ცოლს შიშველ ტანზე ისე ურტყა, რომ ზურგი მთლად აუჭრელა. ცემით რომ გული იჯერა, ბამბა მიუტანა და უთხრა:

— ეს მთელი ბამბა საღამომდე თუ არ დაგირთავს, ჩემს სახლში შენი ფეხი აღარ დაიდგმებაო. — ეს დაუბარა და თავის საქმეს მიაშურა.

საღამოს ოქრომჭედელი შინ დაბრუნდა და ცოლს ძაფი მოჰკითხა:

— აბა, ვნახოთ, როგორ შეასრულე ჩემი დავალება, ნართი მოიტანე, მაჩვენეო.

ცოლმა უდარდელად მიუგო:

— არხეინად იყავ, ის ბამბა წავილე და ღელეში დეიდა ბაყაყს მივაბარე დასართავად. ახლა დართულიც ექნება, წავალ და გამოვართმევო.

ქალი წავიდა. რამდენიმე ხნის შემდეგ დაბრუნდა და ღელედან ნართის მაგიერ ერთი მოზრდილი ქვა მოიტანა.

ოქრომჭედელი ძალიან გაბრაზდა, ცოლი გემოზე მიბეგვა და სულ კინწისკვრით გააძევა სახლიდან.

ქალი წავიდა და ქალაქგარეთ ერთ წყნარ ყურეში დაჯდა. გაოგნებული იყო და თვალებს შემოიღივით აცეცებდა აქეთ-იქით.

შემთხვევით გვერდით კატამ ჩაუარა. ქალმა დაინახა და შესძახა:

— დეიდა ფისო, ჩემმა ქმარმა გამოგგზავნა, არა? წადი და ასე უთხარი: ცოლმა შემოგიტვალა, ჩემს დაბრუნებას ვეღარ ეღირსებით.

კატამ რომ ადამიანის ხმა გაიგონა, დაფრთხა და გაიქცა.

ცოტა ხნის შემდეგ შორიანლოს სახედარმა ჩამოიარა. ქალი იმასაც გამოელაპარაკა:

— დეიდა ყროყინავ, შენ ხომ ოქრომჭედელმა გამოგგზავნა ჩემს

წასაყვანად. წადი და ასე უთხარი: ტყუილად ნუ ირჯები, არასგზით შენს სახლში აღარ დავბრუნდები-თქო.

ერთი საათის შემდეგ იმ ადგილს მძიმე საპალნეაკიდებული აქლემი მოადგა. ქალი წინ გადაუდგა და ჰკითხა:

— გრძელკისერა დეიდა! შენც ხომ ჩემმა ქმარმა გამოგგზავნა? იმასთან შერიგება აღარ მინდოდა, მაგრამ რა ვქნა, შენს ჭაღარა თმებს პატივი როგორ არა ვცე? წამოგყვები, თლონდ რომ მივალთ, იმ საძაგელ ჩემ ქმარს უთხარი, წამოსვლა არ უნდოდა და ძალით წამოვიყვანე-თქო.

ეს რომ უთხრა, დედაკაცი აქლემს ზურგზე მოასკუპდა და შინისაკენ გასწია. ალაყაფის კართან ქმარი დაინახა და შორიდანვე მოჰყვა საყვედურებს:

— ხომ ნახე? დეიდა ფისო მომიგზავნე, არ წამოგყევი, დეიდა ყროყინა მომიგზავნე, არც იმას წამოგყევი. ვაი, რომ გრძელკისერა დეიდას ხათრი ვეღარ გავუტყებ, თორემ შენი თვალი აქ ვეღარ დამინახავდაო.

ოქრომჭედელმა თავისი ცოლი საპალნეაკიდებულ აქლემზე გადაბრინჯული რომ დაინახა, მოლბა, ქალს დაუყვავა და აქლემი ეზოში შეიყვანა. საპალნე გასინჯა და საკუთარ თვალებს არ დაუჯერა: სულ ხალასი ოქროს ზოდები ჰქონდა აკიდებული!

ქმარმა ოქრო სასწრაფოდ სარდაფში ჩაზიდა და დაფლა, აქლემი კი დაკლა, ლუკმა-ლუკმა აკუწა და ჭაში გადაუძახა. გულაჩუყებული ცოლი ქვითინით ემუდარებოდა ოქრომჭედელს:

— ეგრე უწყალოდ ნუ ჩეხავ გრძელკისერა დეიდასო.

მეორე დღეს ქუჩებსა და ბაზრებს შაჰის მაცნეები მოედვნენ და ხალხს უცხადებდნენ:

— ხელმწიფეს ოქროს ზოდებაკიდებული აქლემი დაეკარგა, ვინც იპოვის, დიდ გასამრჯელოს მიიღებსო!

მაცნეს ხმაზე ოქრომჭედლის ცოლი ქუჩაში გავარდა და ალაყაფთან დადგა. მაცნემ დაინახა ქალი და ჰკითხა:

— ხელმწიფეს ოქროს ზოდებაკიდებული აქლემი დაეკარგა, ხომ არსად გინახავს?

— ხელმწიფის აქლემისა რა მოგახსენო, მაგრამ გუშინ, ქმარმა რომ სახლიდან გამავდო, ცოტა ხნის შემდეგ გრძელკისერა დეიდა მომიგზავნა შუამავლად. მან სახლში წამიყვანა და ქმართან შემარიგა. იმ არგასა-

ხარელმა ჩემმა ქმარმა ის საბრალო ლუკმა-ლუკმა აკუწა და ჭაში ჩაყარათ, — მიუგო ქალმა.

მაცნემ სულელი ქალის ჩერჩეტს, რა თქმა უნდა, ყურადღება არ მიექცია. ხელმწიფეს წარუდგა და მოახსენა:

— თქვენი ბრძანება ქალაქის უბნებსა და ბაზრებში გამოვაცხადეთ, მაგრამ დაკარგული აქლემის გზა-კვალს ვერსად მივაგენითო.

— ნუთუ აქლემზე ერთი სიტყვაც კი არსად გავიგონიათო? — ჰკითხა ფადიშაჰმა.

— არა, დიდებულო ხელმწიფეო. მხოლოდ ერთმა თავქარიანმა ქალმა ყურები გამომიჭედა თავისი სულელური ლაპარაკით: გუშინ ქმარს გავებუტე და სახლიდან გავიქეციო. შესარიგებლად გრძელკისერა დეიდა გამომიგზავნა, რომელმაც შინ წამიყვანა და ქმართან შემარიგა. მერე ჩემმა ქმარმა გრძელკისერა დეიდა დაკლათ, — მიუგო მაცნემ ხელმწიფეს.

— ის გრძელკისერა დეიდა სწორედ ჩემი აქლემი იქნებოდა, — წამოიძახა ფადიშაჰმა — გასწით და ის ქალი სასწრაფოდ აქ მომგვარეთო!

ერთი სიტყვით, ოქრომჭედლის ცოლი ხელმწიფეს მიჰგვარეს. ფადიშაჰმა მისი ნაამბობი მოისმინა და ჰკითხა:

— გრძელკისერა დეიდას რაღა დაემართა, შინ რომ მიგიყვანათ?

— ოჰ, მაგას ნუ მკითხავთ და გახსენებით ხელახლა გულს ნუ დამიდაღავთ! — ზღუქუნებდა ქალი, — იმ საძაგელმა ჩემმა ქმარმა საპალნე ჩამოხსნა და სარდაფში დაფლა, საბრალო გრძელკისერა დეიდა კი ლუკმა-ლუკმა აკუწა და ხორცი ჭაში ჩაჰყარათ.

ფადიშაჰმა კაცები გაგზავნა, იმ ქალის ქმარი მოაყვანინა და ოქროს ზოდებიც მოიტანეს.

ფადიშაჰმა ჰკითხა:

— რა ხელობის კაცი ხარ?

— ოქრომჭედელიო. — მიუგო ქმარმა.

— ძალიან კარგი, — ჩაილაპარაკა ხელმწიფემ — სიკვდილით უნდა დამესაჯე, მაგრამ რაკი ოქრომჭედელი ყოფილხარ, დანაშაული შემინდვია. ოღონდ ერთი პირობითათ: ისეთი ოქროს ქანდაკება უნდა დამიმზადო, რომ მის დანახვაზე კაცი აღტაცებას ვერა ფარავდესო.

— მზად ვარ შევასრულო, რასაც დიდებული ხელმწიფე ინებებსო, — მიუგო გახარებულმა ოქრომჭედელმა.

— მერედა, რამდენი ოქრო გეყოფათ?

— სულ ცოტა სამი საპალნე მაინც დასჭირდებაო.

ფადიშაჰმა კარისკაცებს უბრძანა, ოქრომჭედლისთვის იმდენი ოქრო მიეცათ ხაზინიდან, რამდენსაც მოითხოვდა, რომ ქანდაკების გამოძერწვაში ხელი არ შეშლოდა.

ოქრომჭედელი საქმეს შეუდგა. ხაზინიდან ოქროს იღებდა, ნაწილს ქანდაკებას ახმარდა, ნაწილი სახლში მიჰქონდა და მალავდა.

ბოლოს ოქრომჭედელმა ქანდაკება დაასრულა. ქანდაკება სწორედ ისეთი გამოვიდა, როგორც ხელმწიფემ შეუკვეთა. ხელმწიფე თავისი ნაზირ-ვეზირებით მოვიდა ქანდაკების სანახავად. მნახველები აღტაცებას ვერა ფარავდნენ. შაჰი ვეზირს მიუბრუნდა:

— ოქრომჭედელმა ამ ქანდაკებას მართლა სამი საპალნე ოქრო მოახმარა?

— რა მოგახსენოთ, — მიუგო ვეზირმა, — არც ისეთი სასწორი გაგვაჩნია, რომ ამოდენა ქანდაკება ერთიანად აიწონოს, არც ნაწილ-ნაწილ დამსხვრევა შეიძლება. გამკეთებელს თვითონ ეცოდინება, როგორ უნდა აეწონოთ ეს ქანდაკება და მისი საიდუმლოება, როგორმე ისევ ოქრომჭედელს უნდა დავაცდენიხითო.

— ორმოცი დღის ვადა მომიცია, — უბრძანა შაჰმა ვეზირს, — ამ ხნის განმავლობაში როგორც გინდა, ვისგანაც გინდა, ამ ქანდაკების აწონის ხერხი შეიტყვე და მომახსენეო.

ვეზირმა დიდხანს იმტვრია თავი, მაგრამ ფიქრმა და ჯაფამ ფუჭად ჩაუარა. არ იქნა და ვერ მოისაზრა, როგორ აეწონათ ქანდაკება. ბოლოს ვეზირმა ქმრის ჩუმად ოქრომჭედლის ცოლი დაიბარა და უთხრა:

— აფსუსი არ არის, რომ შენისთანა ლამაზი ქალი ვიღაც ოქრომჭედლის ცოლი იყოს? რომ იცოდე, როგორ მომეწონე. რძლად მინდობარ, ჩემს ვაჟს უნდა შეგართო ცოლად. ოღონდ, მანამდე ერთი პირობა უნდა შემისრულო; როგორც შენ მოგიხერხდება, ისე მოიქეცი და როცა შენი ქმარი კარგ გუნებაზე იქნება, ჰკითხე: ფადიშაჰს რომ ქანდაკება გამოუძერწე, კაცმა რომ იმ ქანდაკების აწონა მოიწადინოს, როგორ უნდა მოიქცეს-თქო. როგორც კი ქანდაკების აწონის ხერხს დასცინცლავ, სასწრაფოდ ჩემთან მოდი და დაწვრილებით მიაგებო.

— კეთილი და პატიოსანიო. — დაეთანხმა ქალი ხელმწიფის ვეზირს.

იმავე საღამოს ცოლმა ოქრომჭედელს ჰკითხა:

— როგორ გუნებაზე ხარო?

— რატომ კითხულობო? — გაიკვირვა ქმარმა.

— ერთი სათხოვარი მაქვს და, თუ კარგ გუნებაზე ხარ, მაშინ გეტყვიო.

— მითხარი, რა გინდაო? — ჰკითხა ოქრომჭედელმა.

— შენ რომ ფადიშაჰს ოქროს ქანდაკება გამოუძერწე, იმისი აწონა რომ მოიწადინოს კაცმა, როგორ უნდა მოიქცესო?

— ეგ ამბავი შენ რაში გაინტერესებსო? — უფრო გაიკვირვა ქმარმა.

— უბრალოდ, ცნობისმოყვარეობისათვის გეკითხებიო, — მიუგო ცოლმა.

ერთი სიტყვით, ბევრი იყოყმანა თუ ცოტა, ოქრომჭედელმა, ცოლს ქანდაკების აწონის ხერხი ასწავლა:

— აუზში ნავი უნდა ჩაუშვა, შიგ ქანდაკება ჩადგა და ის ადგილი დანიშნო, სადამდისაც ნავი ჩაიძირება. შემდეგ ქანდაკებას ამოიღებ და ქანდაკების მაგივრად ქვებს ჩაყრი. დანიშნულ ადგილამდე რომ ჩაიძირება ნავი, ქვებს უკანვე ამოიღებ, გამოსწონი და ქანდაკების წონაც ის იქნებაო.

ქალმა გულიანად გადაიხარხარა.

მეორე დღეს ოქრომჭედლის ცოლი ჩუმად ვეზირთან მივიდა და ყველაფერი დაწვრილებით ჩაუკაკლა. გახარებული ვეზირი კი ხელმწიფეს ეახლა და ქანდაკების აწონის ხერხი მოახსენა.

ფადიშაჰმა კაცები აფრინა და ოქრომჭედელი სასწრაფოდ მოაყვანინა, ქანდაკება მის თვალწინ გამოსწონეს მისივე ნასწავლები ხერხით. სამ საპალნეს სამოცდათხუთმეტი ბათმანი აკლდა.

ხელმწიფემ კაცები გაგზავნა, ოქრომჭედლის სახლი გაჩხრიკეს, გადამალულ ოქროს მიაგნეს და მოიტანეს.

განრისხებულმა შაჰმა ბრძანა, ოქრომჭედელი მალლა მინარეთზე შეესვათ და კარი ალიზით ამოელესათ, რომ მშვიერ-მწყურვალს სული იქ ამოხდომოდა.

დასვეც მოიქცნენ. ოქრომჭედელი მინარეთზე აიყვანეს და იქ დასტო-  
ვეს. მინარეთის კარი ამოქოლეს და ალიზით ამოლესეს.

ოქრომჭედელი მწარე ფიქრს მისცემოდა, არ იცოდა, თავი როგორ  
დაეხსნა და მაღალი მინარეთიდან ძირს როგორ ჩამოსულიყო. უცბად  
ქვემოდან თავისი ცოლის ხმა შეესმა და გაუხარდა:

— კაცო, მანდ რა შავ ქვას მისჩერებიხარ, ჩამოეთრიე და განქორ-  
წინების ქაღალდი დამიწერე, ხომ იცი, ვეზირის ვაჟი ცოლად მთხო-  
ულობსო!

ოქრომჭედელს ცოლის სიბრყვეზე გაეცინა, მაგრამ უცბად თავში  
მაცდურმა აზრმა გაუელვა და ჩამოსძახა:

— განქორწინების ქაღალდს მოგცემ, ოღონდ რასაც დაგავალე,  
შემისრულეო!

— მაინც რა უნდა დამავალო?

— წადი და ერთი მსხვილი ჭიანჭველა მოძებნე. იმ ჭიანჭველას  
ფეხზე ძალიან წვრილი ძაფი გამოაბი, თავზე ქონი მოუსვი, მინარეთის  
კედელზე დასვი და პირი ჩემსკენ უყავი. ქონის სუნი რომ ეცემა, ჭიანჭვე-  
ლა მისი ეშხით მაღლა-მაღლა წამოვა. ჩემამდე რომ მოადწევს, იმ წვრილ  
ძაფს ბოლოში ცოტა უფრო მსხვილი ძაფი გამოაბი. მერე იმ მსხვილ  
ძაფს ერთი მაგარი თოკი მოაბი. თოკის ცალ წვერს რომ ხელს მოავლებ,  
მეორე წვერი წელზე გამოიბი. ამოგწევ, მინარეთზე ამოგიყვან და გან-  
ქორწინების ქაღალდსაც მოგცემ. მერე წაიღე ის ქაღალდი და ვეზირის  
ვაჟს ცოლად გაჰყევით. — ასწავლა ოქრომჭედელმა.

ქალი გაბრიყვდა, სწორედ ისე მოიქცა, როგორც ქმარმა დაარიგა და  
რამდენიმე ხნის შემდეგ მაღალ მინარეთზე ამოჰყო თავი.

მაშინ ქმარმა უთხრა:

— თოკი შემოიხსენი და ცალი წვერი ხელში მაგრად დაიჭირე. მეო-  
რე ბოლოს წელზე შემოვირტყამ და ძირს, მიწაზე დავემვები. წავალ, გან-  
ქორწინების ქაღალდს დაგიწერ და ამოგიტანო.

ქალმა თოკი მაგრად ჩაბლუჯა ორივე ხელით, ქმარი კი ფრთხილად  
დაჰყვა მინარეთის ფრიალო კედელს. როგორც კი მიწაზე ფეხი დადგა,  
ცოლს შესძახა.

— ჩემს მოსვლამდე მანდედან ფეხი არ მოიცვალო, ახლავე დავ-  
ბრუნდები და განქორწინების ქაღალდსაც მოგიტანო.

ერთი სიტყვით, ოქრომჭედელმა ცოლი მინარეთზე დატოვა. თვითონ

შაჰის შიშით შინ მისვლა ვერ გაბედა და ერთი მეგობრის სახლში დაიმალა.

მეორე დღეს ხელმწიფემ ქანდაკება დაათვალიერა, უწინდელზე მეტად მოეწონა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— აფსუსი არ არის, რომ ამის გამკეთებელს სიცოცხლე მოვუსპოთ?! ხელმწიფემ კაცები გაგზავნა და უბრძანა, ამოქოლილი კარი გახსენით და ოქრომჭედელი მინარეთიდან ჩამოიყვანეთო.

შაჰის კაცები მინარეთზე ავიდნენ და იქ ოქრომჭედლის ნაცვლად მისი თავქარიანი ცოლი არ შეერჩათ ხელში?! დიდად გაოცდნენ და დედაკაცს ჰკითხეს:

— ქალო, აქ როგორ გაჩნდიო?

— განქორწინების ქალაღდის გამოსართმევად ქმარს მოვაკითხე. იმან აქ ამომიყვანა და დამტოვა, თვითონ კი ქალაღდის მოსატანად წავიდაო, — უპასუხა ქალმა.

ეს ამბავი სასწრაფოდ მოახსენეს ფადიშაჰს. ფადიშაჰი გაოცებული დარჩა ოქრომჭედლის მოხერხებით. ვეზირი დაიბარა და უბრძანა:

— სადაც გინდა, ოქრომჭედელი მოძებნეო.

ვეზირმა მთელი სახლები გადააბრუნა, მაგრამ ოქრომჭედლის კვალს ვერსად მიაგნო. ბოლოს ისევ ხერხს მიმართა. კრავების ფარა მოარეკინა, თითო მოსახლეს თითო კრავი ჩამოურიგა და დაავალა:

— ხელმწიფის ბრძანებით ეს კრავები ოც-ოცი დღე შინ უნდა იყოლიოთ. ოღონდ იცოდეთ, ამ ხნის განმავლობაში არც უნდა მოიკლონ წონაში და არც უნდა მოიმატონო.

იმ ოჯახის პატრონმა, რომელშიც ოქრომჭედელი იმალებოდა, რჩევა ჰკითხა მოხერხებულ ოსტატს:

— როგორ მოვიქცე, რომ ამ კრავმა ოც დღეში წონაში არც მოიკლოს და არც მოიმატოსო?

— წადი და ერთი მგლის ლეკვი იშოვე, — დაარიგა ოქრომჭედელმა სახლის პატრონი, — კრავი წაიყვანე და ყოველ დღე, დილიდან საღამომდე ძღომაზე აბალახე. საღამოს, როცა გამაძღარ კრავს შინ მოიყვან, ის მგლის ლეკვი დაანახვე და, რაც იმ დღეს წონაში მოიმატა, შიშისაგან სულ ერთიანად დაჰყრისო.


კაცი სწორედ ისე მოიქცა, როგორც ოქრომჭედელმა დაარიგა.


ოცი დღის შემდეგ ხელმწიფის კაცებმა ჩამოიარეს და გაბარებული კრავები მოაგროვეს. ნახეს, ერთი კრავის გარდა, რომელიც იმ ოჯახში იყო გაბარებული, სადაც ოქრომჭედელი იმალებოდა, ყველას ან მოემატა წონაში ან მოეკლო. მიხვდნენ, რომ ოქრომჭედელი სწორედ იმ კაცის სახლში იმალებოდა. მივიდნენ, სახლი გაჩხრიკეს, ოქრომჭედელი იპოვეს და ფადიშაჰს მიჰგვარეს. ხელმწიფე როდი განრისხდა, პირიქით, ოქრომჭედელს დაუყვავა და მოხერხება მოუწონა. უთხრა:

— მე შენთვის ყველაფერი შემინდვია, ოღონდ შენც ყველაფერი აპატიე შენ ცოლსაო.

აბა, ოქრომჭედელი ხელმწიფის სიტყვას ხომ არ გადაუხვევდა.

დიდი ხანი არ გასულა ამის შემდეგ და ფადიშაჰმა ჩვენი მოხერხებული ოქრომჭედელი მარჯვენა ხელის ვეზირად დაიყენა.





## ს ა ქ ი ნ ე

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ფადიშაჰი. ამ ფადიშაჰს ერთი ასულის გარდა სხვა შვილი არა ჰყავდა. ხელმწიფეს თავისი ქალიშვილი საკუთარ თავს ერჩია, ფუფუნებით ზრდიდა და ანებივრებდა; რა უნდა ეთქვა, რომ ხელმწიფეს მისთვის არ შეესრულებინა?!

ქალიშვილს რომ თექვსმეტი წელი შეუსრულდა და მეჩვიდმეტეში გადადგა, მამას უთხრა:

— მამილო, გთხოვ, ორმოცი მხევალი ქალი მარუქო, ოღონდ ყველა ერთი სიმაღლის იყოს, ერთნაირი სახე ჰქონდეს და ერთნაირად ეცვასო.

ფადიშაჰმა თავის სამეფოში ხოჯები დაგზავნა, რომლებმაც ბევრი ძებნის შემდეგ ერთნაირი ტანისა და გარეგნობის ორმოცი ქალწული აარჩიეს. მერე ყველას ერთნაირი კაბები ჩააცვეს. ქალწულები გაჭრილი

ვაშლივით ჰგავდნენ ერთმანეთს და კაცი ერთს მეორისაგან ვერ გამოარჩევდა. ორმოცივე ხელმწიფის ქალიშვილს მიუჩინეს მოახლეებად. ისინი დღე და ღამე თავს დასტრიალებდნენ და ცივ ნიაგს არ აკარებდნენ ხელმწიფის ასულს.

ერთ მშვენიერ დღეს ხელმწიფის ქალიშვილმა სანადიროდ წასვლა მოიწადინა და მამას წასვლის ნებართვა სთხოვა. ფადიშაჰს არ დაუშლია. ქალიშვილი და მისი ორმოცი მხევალი ცხენებზე შესდნენ და პირი უდაბნოსაკენ ჰქნეს. მთელი დღე იჯირითეს, იოხუნჯეს, იკისკისეს და დასტკბნენ ბუნების წიაღში ნავარდით.

ამის შემდეგ ქალიშვილი ყოველდღე სთხოვდა ხელმწიფეს, სანადიროდ წასვლის ნება მომეცით. მართალია, მამა არიგებდა: შვილო, ყოველდღე სანადიროდ სიარული ვის გაუგონიათ, მაგრამ ქალიშვილი მაინც თავისას არ იშლიდა.

ერთხელაც ქალიშვილი მამასთან მივიდა და სთხოვა:

— მამიკო, ორი თხოვნაც უნდა შემისრულო: სანადირო ადგილას ერთი სასახლე ააშენებინე, ვინიცობაა იქ რამდენიმე დღით დარჩენა მოვინდომო, რომ მოსვენებით ვიყო. ამას გარდა, ორმოცი ოქროსსარტყლიანი მონა იმ სასახლეს ყარაულად დაუყენე. ჩვენი იქ ყოფნის დროს რასაც ვუბრძანებთ, შეგვისრულონ და სადილ-ვახშამი მოგვართვანო.

ფადიშაჰი იძულებული შეიქნა თავის ქალიშვილს დათანხმებოდა.

მართლაც, ქალაქგარეთ ტევრში ხელმწიფემ ერთი მშვენიერი, მდიდრულად მორთული სასახლე ააგებინა. ერთი ოთახის კედლები სულ სარკეებით იყო მოჭიქული, დანარჩენი ორმოცი ოთახის კარები იმ სარკეებიან ოთახში გადიოდა. ეს ორმოცი ოთახი ორმოცი მხევლისათვის იყო განკუთვნილი, სარკეებიანი ოთახი კი, რა თქმა უნდა, ხელმწიფის ასულისა იყო.

სასახლის მშენებლობა რომ დასრულდა, ქალიშვილმა ფადიშაჰს სთხოვა:

— მამიკო, სანადიროდ მივდივარ და, თუ ნებას მომცემ, იმ ახალ სახლში დავრჩები რამდენიმე დღითო.

ხელმწიფე კვლავინდებურად მოჰყვა ქალიშვილის დარიგებას, სანადიროდ ნუ წახვალთ, მაგრამ ის მაინც თავისას არ იშლიდა.

— მაშ, რაკი წასვლა დაიჩემე, ეს ბეჭედი თან წაიღე, გაუფრთხილდი,

არ დაკარგო და, დაბრუნდები თუ არა, უკანვე ჩამაბარეო, — უთხრა ფადიშაჰმა თავის ქალიშვილს.

ქალიშვილმა მამას ბეჭედი გამოართვა, ცხენზე შეჯდა და ორმოცი მოახლისა და ამდენივე მონის თანხლებით სანადიროდ გაემართა.

ხელმწიფის ქალიშვილს ძალიან მოეწონა ველზე აშენებული სასახლე. მამას მოციქული გაუგზავნა და შეუთვალა, ორმოც დღეს აქ დავრჩებითო.

მართლაც ასე მოიქცნენ. ყოველ დღე მონები დღისით ქალაქში მიდიოდნენ, სასმელ-საჭმელი, ჩასაცმელ-დასახურავი და სხვა საჭირო საგნები მოჰქონდათ, ღამით კი გუშაგობდნენ, ვინმე ქურდი და ავაზაკი სასახლეში არ შეიპაროსო.

ერთხელ, ხორავი რომ მოჰქონდათ ქალაქიდან, მონებს გზაში ავაზაკები დახვდნენ და გაძარცვეს. საწყლებს ძალიან შეეშინდათ და აქეთიქით მიმოიფანტნენ.

დაღამდა. ხელმწიფის ასულმა და მისმა მხევლებმა რომ ნახეს, მონები აღარ დაბრუნდნენ, აფორიაქდნენ, წუწუნნი და ჩივილი დაიწყეს, როგორ მოვიქცეთო. იფიქრეს, სხვა რა ღონეა, მონების მაგივრობა ჩვენთვის უნდა გავწიოთ და რიგრიგობით ვუდარაჯოთ სასახლის კარსო. თუ ვინმე სამტროდ მოვიდა, ყველა ერთად დავესიოთ და ავაზაკი სულ კისრისტეხით გავაძევოთ სასახლიდანო.

ასეც მოიქცნენ. ყოველ საღამოს, ერთ-ერთი მხევალი ანთებული კელაპტრით ხელში ხელმწიფის ასულს სასთუმალთან უთევდა ღამეს.

ამ ორმოც მხევალს შორის იყო ერთი გოგონა, სახელად საქინე, რომელიც ჭკუით და მოხერხებით ყველას სჯობდა. საქინე ყველას ძალიან უყვარდა.

გადიოდა დღეები. გოგოები ყოველ საღამოს, ვახშმის შემდეგ ერთად იკრიბებოდნენ, ბაასობდნენ, ოხუნჯობდნენ, მხიარულობდნენ და რიგრიგობით ცეკვავდნენ.

ერთ საღამოს ჯერმა საქინეს მოუწია. ხელი გაშალა, ჩამოუარა და ციბრუტივით დატრიალდა. კაბის კალთა ანთებულ კელაპტარს წამოედო, კელაპტარი იატაკზე დაეცა და ჩაქრა. ატყდა ერთი ყიჟინა და ჟრიაშული:

— ეგ რა ჰქენი, კელაპტარი რატომ ჩააქრე, ახლავე აანთეო.

გოგოებმა ეძებეს კვესი, აბუდი, მაგრამ კუნაპეტ ღამეში ვერაფერი იპოვეს. საქინე აივანზე გავიდა და მიღამოს თვალი მოავლო. გარშემო

წყვედიადი იყო ჩამოწოლილი, ერთ მხარეს კი, სადღაც ძალიან შორს სინათლის შუქი კიაფობდა. საქინე ხელმწიფის ასულს მიუბრუნდა:

— ერთი წუთი მადროვეთ, ხედავთ, სინათლის შუქი რომ კიაფობს? ძელად იქ მივირბენ, კელაპტარს ავანთებ და წამოვიღებო.

— საქინე, ღვთის გულისათვის, იჩქარე და დიდხანს ნუ გვალოდინებო, — ერთხმად შესძახეს გახარებულმა გოგოებმა.

საქინემ დაამშვიდა ისინი, დააიმედა, კელაპტარი აიღო და ღამის წყვედიადში გაუჩინარდა. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ბოლოს ერთ უზარმაზარ ბაღს მიადგა და შიგ შევიდა. ნახა, რომ ბაღის შუაგულში აუზთან ტახტი იდგა და ზედ ერთი მოხდენილი ვაჟკაცი იწვა. საქინე ახლოს მივიდა და სალამი მისცა. დამხვდურმა, რომელსაც თურმე სორხაქი ერქვა სახელად, სალმითვე უპასუხა და გაკვირვებულმა ჰკითხა:

— ქალიშვილო, რა გაგჭირვებია, აქ რომ მოსულხარო?

— ღვთის გულისათვის, არ გამაწბილო, — უთხრა საქინემ, — წუთისოფელი მომბეზრდა და უღაბნოში გადმოვიხვეწე. შემომალამდა, ეს ბაღი დაუინახე და შემოვედი. რა ვიცოდი, რომ აქ ასეთი კეთილი კაცი დამხვდებოდა, რომელიც თანაგრძნობას გამიწევდა? მადლი უფალს, რომ ასეთ კარგ ადგილს მოვხვდიო, — ენად გაიკრიფა საქინე.

თქვენ რაღა დაგიმალოთ და სორხაქს თვალში მოუვიდა ქალიშვილი; იგი გაინაბა და სმენად გადაქცეული ყურს უგდებდა საქინეს ფლიდ სიტყვებს. ბოლოს საქინემ ჰკითხა:

— კარგი, მაგრამ, ერთი ეს მითხარი, ყმაწვილო, შენ თვითონ აქ რას აკეთებ? მომიყევი შენი ამბავი!

— თრმოცი მეგობარი მყავს, — დაიწყო სორხაქმა, — ავაზაკობას ეწვევიან და აქ ბინა აქვთ დადებული. ამ ბაღის ქვეშ გვირაბი გამოთხარეს და შიგ ოთახები მოაწყვეს. დღისით მოდიან და აქ ისვენებენ, საღამოს კი, დაბინდდება თუ არა, გაიკრიფებიან და ქარავენებს ძარცვავენ. აი, ბწორედ გუშინწინ ხელმწიფის მონები გაძარცვეს. ამბობენ, ხელმწიფის ქალიშვილმა სადღაც ახლოს სასახლე აიშენა და ახლა იქ არის. ავაზაკები თავზე დაცემასა და სასახლის გაძარცვას აპირებენ.

საქინემ გურჯბაში გაიფიქრა: მტრის კარს ამათი გადაკიდება, ეს რა ვქენი? სასაკლაოზე საკუთარი ფეხით მოვსულვარო; მაგრამ როდი დაიბნა, გული გაიმაგრა და, თითქოს ეს ამბავი აინუნშიაც არ ჩაუგდია, სორხაქთან საუბარი გააგრძელა:

— ყმაწვილო, რა კარგი ვქენი, რომ აქ მოვედი და შენ შეგხვდი. ღვთის გულისათვის, ადუ ერთი და აქაურობა დამათვალეებინეო.

სორხაქი ადგა, კელაპტრები და ჩირაღდნები აანთო, საქინეს გვირაბში ჩაუძღვა და ოთახები დაათვალეებინა. უცბად ერთ ღრმა ორმოს წაადგნენ თავზე.

— ეს ორმო რისი მაქნისიაო? — გაიკვირვა საქინემ.

— ეს ავაზაკების საპატიმრო გახლავს, — აუხსნა სორხაქმა, — ვისაც დაატყვევებენ, მოჰყავთ და ამ ორმოში ჩასვამენ ხოლმე.

საქინემ შიგ ჩაიხედა და სორხაქს ჰკითხა:

— ყმაწვილო, ეს რა აგდია ორმოში?

სორხაქმა შიგ ჩაიხედა, საქინემ უკნიდან უბიძგა და ორმოში ჩააგდო, მერე თავზე სარქველი დაახურა და ორმოში დასტოვა სორხაქი. თვითონ სამზარეულოში შევიდა. იქ ავაზაკებისათვის გამზადებული ფლავით სავსე ქვაბი დაუხვდა. საქინემ კელაპტარი აანთო, სასახლისაკენ გაეშურა და ფლავიც თან წაიღო.

ხელმწიფის ქალიშვილი და მხევალი გოგოები საქინეს დანახვაზე გამხიარულდნენ, განსაკუთრებით ფლავის დანახვა ეამათ. უკვე მეორე დღე იყო, გოგოებს რიგიანად სადილ-ვახშამი აღარ ეჭამათ.

საქინე დაწვრილებით მოუყვა მათ ბაღისა და ავაზაკების ამბავს. გოგოებს ჯერ ცოტა შეეშინდათ კიდევაც, მაგრამ მერე ბევრი იცინეს და იკისკისეს სორხაქის ამბავზე.

დილით ავაზაკები თავიანთ ბუნაგში დაბრუნდნენ. ბაღში რომ შევიდნენ, გვირაბის კართან სორხაქი აღარ დახვდათ. ბევრი უძახეს, მაგრამ პასუხი არსაიდან ისმოდა. აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ და ბოლოს სამზარეულოში შეცვივდნენ, იქ აღარც ფლავი დახვდათ და არც ქვაბი! გაუკვირდათ, ნეტავ რა მოხდაო. ორმოსთან მივიდნენ და სარქველი ახადეს. ძირიდან სორხაქის ხმა მოესმათ. მალლა ამოათრიეს და ჰკითხეს, შიგ რამ ჩაგიყვანაო. სორხაქმა ავაზაკებს ყველაფერი უამბო დაწვრილებით.

— მარჯვედ ვერ მოქცეულხარ! — შეუტიეს ავაზაკებმა, — ის საძაგელი გომბიო თუ ამალამაც მოვიდა, როგორმე დილამდე შეიყოლიე ლაპარაკში. დილით ჩვენც დავბრუნდებით და მოვუვლით, როგორც რიგი და წესია!

რალა ეთქმოდა?

— ძალიან კარგიო, — მიუგო სორხაქმა ავაზაკებს.

მეორე დღეს წინა საღამოს ამბავი განმეორდა. ხელმწიფის ქალიშვილი და მხევალმა გოგობმა ბევრი იოხუნჯეს და იცეკვეს. საქინემ ცეკვის დროს ისევ მოსდო კელაპტარს კაბის კალთა და ჩააქრო.

— ახლავე ბაღში გავიქცევი, კელაპტარსაც ავანთებ და ხორაგსაც მოგიტანთ წუხანდელივით, — იმწამსვე წამოიძახა საქინემ.

— საქინე! ეს ბეჭედი თან გქონდეს, ფათერაკისაგან დაგიხსნის. რომ მოხვალ, ისევ უკან დამიბრუნეო. — უთხრა ხელმწიფის ქალიშვილმა და მამის გამოტანებული ბეჭედი გაუწოდა.

საქინემ ბეჭედი გამოართვა და იმ ბაღისაკენ გასწია, სადაც გუშინ კელაპტარი აანთო და ფლავიც წამოიღო.

ბაღში რომ შევიდა, საქინემ დაინახა, რომ სორხაქი ტახტზე ისე მედიდურად წამოჭიმულიყო, ქაჯეთის ციხე-სიმაგრე გეგონებოდათ. საქინე ახლოს მივიდა, მიესალმა და მოიკითხა.

— ქალიშვილო, ყველაფერი კარგი, მაგრამ გუშინ რას მერჩოდი, ორმოში რომ ჩამაგდო? — ჰკითხა სორხაქმა.

— ღმერთმანი, გეხუმრე, რა დროს ეგენია, ადუ, გავიარ-გამოვიაროთ და თან აქაურობა უფრო კარგად დამათვალიერებინეო, — მიუგო საქინემ.

სორხაქმა გუნებაში გაიფიქრა: დღეს გუშინდელი საღამო არ გეგონოს, ახლა კი გიჩვენებ შენ სეირსო, და საქინეს თხოვნაზე ადგა და გვირაბისაკენ გაუძღვა.

ერთი სიტყვით, მიიარ-მოიარეს და ბოლოს იმ ოთახს მიაღწენ, სადაც ავაზაკები სურსათს ინახავდნენ. საქინემ შენიშნა, რომ ავაზაკებს ჭერზე რკინის ჭოჭონაქი მიემაგრებინათ, ზედ ბაწარი გადაეგდოთ და ბოლოზე კალათი გამოეხათ. ბაწრის მეორე ბოლო კედელში ჩარჭობილ ლურსმანზე იყო დამაგრებული. გაუკვირდა, ეს რა არისო, და სორხაქს ჰკითხა:

— ეს რისი მაქნისიაო?

— ეს ხორაგის კალათია, — მიუგო სორხაქმა, — როცა ბევრი საჭმელები დაგვიგროვდება, ამ კალათაში ვაწყობთ და, შიგ რომ თავი ან კატა არ ჩაძვრეს, ჭერზე დაკიდებულს ვტოვებთ.

— ღვთის გულისათვის, — შეეხვეწა საქინე სორხაქს, — დასწი დაბლა ეს კალათი, ახლო ვნახავ და დავათვალიერებო.

სორხაქმა კალათი დაბლა დაუშვა. საქინე შიგ ჩაჯდა და სორხაქს

შეეხვეწა, მაღლა ამწიეო. სორხაქმა ბაწარი დაჭიმა და კალათი ჭერში ასრიალდა, მერე ბაწარი მიუშვა და კალათი ისევ დაბლა დაეშვა. საქინე კალათიდან გადმოსტა და სორხაქს შესთავაზა:

— ახლა შენ ჩაჯექი კალათაში და ჭერამდე აგიყვანო.

გაბრიყვებული სორხაქი კალათში ჩაჯდა. საქინემ ბაწარი მოსწია და კალათი ჭერში ასრიალდა. ბაწარი მაგრად დასჭიმა და კედელზე მისობილ ლურსმანს გამოაბა. სორხაქი ჭერზე მიბჯენილ კალათში დასტოვა, თვითონ სამზარეულოში შევიდა, კელაპტარი აანთო, ფლავის ქვაბს ხელი დაავლო და არხეინად გაეშურა სასახლისაკენ. გოგობმა ახლაც ბევრი ისაუბრეს, იოხუნჯეს, იკისკისეს, გემრიელად ივახშმეს და ტკბილად დაიძინეს.

დილით ავაზაკები თავიანთ ბინაში დაბრუნდნენ. სორხაქი ახლაც არსად ჩანდა. ბევრი უძახეს, მაგრამ პასუხი არავინ გასცა. გვირაბში ჩავიდნენ, აქეთ ეძიეს, იქით ეძიეს და ბოლოს ჭერში დაკიდებულ ხორაგის კალათში ჩამჯდარს მიაგნეს.

ავაზაკებმა სორხაქის ამბავზე ჯერ ბევრი იცინეს და იოხუნჯეს, მაგრამ ბოლოს ჯავრი მოუვიდათ. სორხაქი კალათიდან გადმოსვეს და საღამოს ბუნაგიდან წასვლის წინ, საგანგებოდ დაარიგეს:

— ამაღამ მაინც გაფრთხილდი, ის საძაგელი გომბით თუ მოვიდა, როგორმე დილაამდე დატოვე, დილით დავბრუნდებით და იმის სეირს გაყურებინებთო.


— ამაღამ თუ კიდევ მოვიდა, ვეღარსად წამივაო, — დაიქადა სორხაქმა და ავაზაკები დააიმედა.

ერთი სიტყვით, მესამე საღამოსაც კვლავ იგივე ამბავი განმეორდა და საქინე ავაზაკების ბაღს მიადგა. სორხაქი მოძებნა, მოიკითხა და ფლიდად დაუყვავა:

— სორხაქ, ძვირფასო, გუშინ საღამოსაც გაგეხუმრე, მთელი დღე სულელივით ვიცინი იმის გახსენებაზე. ახლა მითხარი, თავს როგორა გრძნობ?

სორხაქი დინჯად უსმენდა და თან გუნებაში ფიქრობდა, სეირს ამაღამ ნახავო.

საქინემ და სორხაქმა ბაღში ცოტა ისეირნეს და ბოლოს ერთ-ერთი ავაზაკის საწოლს წაადგნენ. საქინემ სორხაქს უთხრა:



— რომ იცოდე, როგორ მწყურია, მოიტა ერთი პეშვი წყალი დამალევინო.

სორხაქმა თასი წყლით აავსო და საქინეს გაუწოდა. საქინემ შიგ ჩუმად ძილის წამალი ჩაყარა და მერე სორხაქს მიუბრუნდა:

— ღმერთს გაფიცებ, მართალი მითხარი, შიგ საწამლავი ხომ არ ჩაგიყრია?

— ალაჰს ვფიცავარ, არაფერი ჩამიყრია, — შეიცხადა სორხაქმა.

— გული მეთანადრება, ჯერ შენ მოსვი ცოტა და მერე მეც დავლევ.

— კარგიო, — მიუგო სორხაქმა, თასს დაეწაფა და ნახევარი დაცალა. საქინემ თასი გამოართვა და წყალი ჩუმად საყულოში ჩაისხა.

დიდხანს აღარ გაუვლია, რომ სორხაქმა გონება დაკარგა და ძილი მოერია. საქინემ მას პირზე ტარო წაუსვა და წვერ-ულვაშის ნატამალი აღარ შეარჩინა, მერე ქალის კაბა ჩააცვა, ფერუმარილი წაუსვა, საგანგებოდ მოკაზმა და ლოგინში ჩააწვინა. ამის შემდეგ საქინემ კელაპტარი აანთო, ფლავის ქვაბი აიღო და სასახლეს მიაშურა.

საქინე რომ დაბრუნდა, გოგოებმა ახლაც ბევრი იოხუნჯეს, იცინეს, ივახშმეს და დაიძინეს.

დილით ავაზაკები თავიანთ ბუნაგში დაბრუნდნენ. არც ახლა დაუხვდათ სორხაქი. ბევრი უძახეს, მაგრამ პასუხი არსაიდან ისმოდა. ბევრიც ეძებეს, მაგრამ ვერსად მიაგნეს. უცბად ლოგინს მიადგნენ და რა დაინახეს: საწოლზე მორთულ-მოკაზმული ლამაზი ქალი იწვა. იფიქრეს, აჰა, ეს სწორედ ის გოგოა, სორხაქს რომ სიცოცხლეს უმწარებსო. გადაწყვიტეს, ვადროვოთ, იძინოს, ჯერ ხელს ნუ ვახლებთ, ვნახოთ თვითონ რას იზამსო. ავაზაკებს თან გუნებაში უხაროდათ, მარჯვედ მოვიგდეთ ხელშიო. ის კი არა, ამ ქალის გამო დავაც აუტყდათ, ყველა გაიძახოდა, არა ჩემი უნდა იყოს და არა ჩემიო. ბოლოს გადაწყვიტეს, არჩევანი თვითონ ქალისთვის მიენდოთ. ავაზაკები საწოლს შემოეხვივნენ და დიდის ცნობისმოყვარეობით ათვალეირებდნენ. შეამჩნიეს, ქალს რაღაც უცნაური სახე ჰქონდა და თითქოს ძილქუში დასცემიაო ისე ეგდო უგონოდ. ავაზაკებმა ბევრი იწვალეს, ხან სურნელოვანი თიხა აყნოსინეს, ხან ვარდისწყალი; როგორც იყო ბოლოს გონზე მოიყვანეს, მაგრამ რა ნახეს: რა ქალი, რის ქალი, სორხაქი არ გამოდგა?! მათ განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა!

— ღმერთო ჩვენო, ეს რა გიქნია? — ეკითხებოდნენ სორხაქს ავაზაკები, მაგრამ მათთვის რა ეთქვა, როცა თვითონაც ვერ გაეგო, რა დამართოდა.

ბოლოს სორხაქმა გონი მოიკრიბა და მიხვდა, რომ საქინემ ძილის წამალი შეატყუა და თავს ლაფი დაასხა.

გამწარებული ავაზაკები სიბრაზისაგან ცოფსა ჰყრიდნენ. გაი-  
დახოდნენ:

— რა გამოდგა ასეთი ის ვიღაც გომბით, რომ ასე აბუჩად აგვიგდო? ამაღამ ფეხი არ მოვიცვალთ ადგილიდან, ყველა ბაღში დავრჩეთ და ვუ-  
დარაჯოთ, ერთი ვნახოთ, ვინ უმწარებს სორხაქს სიცოცხლესო.

მეორე საღამოს ავაზაკები აღარსად წასულან და საქინეს დაუდარაჯ-  
დნენ თავიანთ ბინაში. სასახლეში კი ძველი ამბავი დატრიალდა: ცეკვის  
დროს საქინეს კვლავ ჩაუქრა კელაპტარი და ასანთებად ისევ სორხაქს მია-  
წურა. როდი იცოდა, ავაზაკები რა მახეს უგებდნენ!

როგორც კი ბაღში ფეხი შედგა საქინემ, თვალის დახამხამებაში ავა-  
ზაკები შემოეხვივნენ. სორხაქიც მათთან იყო.

საქინე სახტად დარჩა მოულოდნელობისაგან, გაოგნებული იდგა და  
ვერ მოესაზრებინა, თავი რა მიწისათვის ეხალა.

ავაზაკებმა დაირა გაუშვირეს და შეუტიეს:

— რაც კი რამ გაგაჩნია, ამაზე დაყარე და ახლავე თქვი, ვინ ხარ, რა  
ხარ, ან ამ კაცს რად უმწარებ სიცოცხლეს, — სორხაქზე ანიშნეს, — ან  
ჩვენ რას გვეჩი, მშივრებს რომ გგტოვებ ხოლმეო.

საქინე მაშინვე მიხვდა, რომ თუ დაიბნეოდა, დაიღუპებოდა და მედი-  
დურად მიუგო ავაზაკებს:

— თქვენ რა გეკითხებათ, ვინა ვარ! მარტო იმას გეტყვით, რომ მე  
მარტო არა ვარ. ჩვენ ორმოცდაერთნი ვართ, ყველა ერთი მეორეზე ლამა-  
ზები. გამიშვით და ყველას აქ მოგიყვანთო.


ავაზაკები ორჭოფობდნენ, გაეშვათ თუ არა. ამბობდნენ, რომ გავუ-  
შვათ სხვებსაც გააფრთხილებს და გაიქცევიანო. მაგრამ სორხაქმა დაიჩემა,  
გაუშვით, მე ვიქნები მაგის თავდებიო.

თურმე ნუ იტყვით, სორხაქს საქინე შეყვარებოდა. იმიტომაც აიჩემა,  
გაუშვით, დანარჩენები მოიყვანოსო.

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, ერთ-ერთმა ავაზაკმა საქინეს თითზე  
ძვირფასი ბეჭედი შენიშნა. ამხანაგებს მიუბრუნდა და უთხრა:

— გავუშვათ, ოღონდ ეს ბეჭედი გირაღდ დაგვიტოვოსო, — და საქი-  
ნეს ბეჭედზე ანიშნა.

სხვა რა გზა ჰქონდა საქინეს? დათანხმდა და ბეჭედი ავაზაკებს დაუ-



ტოვა. თვითონ სასახლეში დაბრუნდა და ხელმწიფის ქალიშვილს ყველა-  
ფერი დაწვრილებით უამბო.

— მეტი რა ჩარაა? ყველა ერთად უნდა წავიდეთ ავაზაკებთან, —  
დაასრულა თავისი თხრობა საქინემ.

ერთი სიტყვით, ასე იყო, თუ ისე, ქალები გზას გაუდგნენ და ავაზაკე-  
ბის ბაღს მიადგნენ. ავაზაკების გაოცებას კი საზღვარი არა ჰქონდა.

— ჩვენც ორმოცი ვართ და ესენიც, — თქვეს ავაზაკებმა, — ყველა-  
ფერს სჯობია, ერთი დიდი ქორწილი მოვაწყოთ, სადაც ორმოცი ნეფე და  
ორმოცი დედოფალი იქნებაო.

გოგონებს შესთავაზეს:

— ჩვენი ცოლები თუ გახდებით, არას გერჩით, თუ არა და ყველას  
თავეებს დაგაყრევინებთო.

საქინემ უპასუხა:

— რა ბრძანებაა, ჩვენი გულები თქვენ გულებთან შეერთებას ისწრა-  
ფვიან და სხვა სურვილი არ გაგვაჩნიაო.

— თუ ასეა, მაშ ნულარ დავაყოვნებთო, — წამოიძახეს გახარებულმა  
ავაზაკებმა, მაგრამ საქინემ აუხსნა:

— ჩვენ უბრალო ხალხი ნუ გგონივართ, ხელმწიფის ქალიშვილები  
ვართ, ამიტომ ჩვენი ქორწილი წესითა და ადათით უნდა მოხდეს. უპირვე-  
ლეს ყოვლისა, ჯერ აბანო ააშენეთ, ნიშნობის წინ ინით ხელ-ფეხის შედე-  
ბვა რომ მოვასწროთ. მერე ორმოცი განმარტობული ოთახი უნდა ააშენოთ,  
რომ ქორწილის შემდეგ თითოეული წყვილი ცალკე მოთავსდეს. ასე რომ,  
ღროს ნულარ დაჰკარგავთ და პირველ რიგში აბანოს აშენებას შეუდექითო.

ავაზაკები დაყაბულდნენ და სათანადო სამზადისს შეუდგნენ. მოიყვა-  
ნეს ქვისმთლელები, მიწისმთხრელები და აბანოს შენება დაიწყეს.

საქინე ერთ მიწის მთხრელს დაუმეგობრდა და ვიდრე აბანოს აშე-  
ნებას მორჩებოდნენ, იმ ბაღიდან სასახლემდე ჩუმად გვირაბი გაათხრევინა.

ბოლოს აბანოს შენებაც დასრულდა. შიგ წყალი მიუშვეს და გაახუ-  
რეს. შეთანხმდნენ, რომ ქალები დღისით მოისტუმრებდნენ აბანოს და  
საღამოს კი ქორწილი გაჩაღდებოდა.

ამასობაში თურმე საქინემ სადღაც თხუთმეტოდე მტრედი იშოვა და  
ნიშნობის წინ, ქალიშვილები რომ აბანოში შევიდნენ, ის მტრედებიც ჩუმად  
შიგ შეიყვანეს. ფრთები დააცალეს და მტრედები წყლიან გეჯაში ჩაყარეს,

თვითონ კი საიდუმლო გვირაბში ჩავიდნენ და ჩქარა სასახლეში ამო-  
ყვეს თავი.

ავაზაკები დიდხანს ელოდნენ საპატარძლოებს, მაგრამ ისინი აბანო-  
დან აღარ გამოდიოდნენ. აბანოს კართან მივიდნენ, და ყური მიუგდეს:  
შიგნიდან წყლის თქაფუნი ისმოდა. დამშვიდდნენ. იფიქრეს, გოგოები ნე-  
ბივრობენ, ხელმწიფის შთამომავლები არიან და ბანაობა დიდხანს იციან,  
აბანოში იმდენად ჭუჭყის მოსაშორებლად კი არ დადიან, რამდენადაც სია-  
მოვნება-განცხრომისათვისო.

ავაზაკები მთელი დღე და ღამე ელოდნენ ქალიშვილებს აბანოს კარ-  
თან, მაგრამ ამოდ, გარეთ გამოსვლას არავინ აპირებდა. ბოლოს, მოთმი-  
ნების ფიალა რომ აევესოთ, კარი შეამტვრიეს და აბანოში შეცვივდნენ. ნა-  
ხეს, რომ წყლიან გეჯებში საცოდავად ფართხალებდნენ ნახევრად გაპუტუ-  
ლი მტრედები, გოგოები კი არსადა ჩანდნენ.

ავაზაკები გაოცდნენ ქალიშვილების ასეთ მოხერხებით, საგონებელში  
ჩაცვივდნენ და ათასნაირ გეგმას აწყობდნენ, რომ ქალიშვილები ხელში  
ჩაეგდოთ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გრძნობებიც აწუხებდათ,  
თურმე უკვე კიდევაც გამიჯნურებულიყვნენ!

მოდით ახლა ავაზაკებს თავი დავანებოთ და ვნახოთ, ქალიშვილებს  
რა ბედი ეწიათ.

ხელმწიფის ქალიშვილი და საქინე სხვა ქალიშვილებთან ერთად  
მხიარული და კმაყოფილები დაბრუნდნენ სასახლეში საიდუმლო გვირა-  
ბით. ამასობაში უკვე ორმოცი დღეც მიიწურა.

— სვალ ქალაქში დაბრუნების დროა, მაგრამ ერთი მიზეზი გვაბრ-  
კოლებს. ჩვენი საქინე იძულებული გახდა ხელმწიფის ბეჭედი ავაზაკებისა-  
თვის გირაოდ დაეტოვებინა. მე კი იმ ბეჭედის გარეშე მამაჩემს ვერ ვეახ-  
ლებიო, — თქვა ხელმწიფის ქალიშვილმა.

— წავალ და იმ ბეჭედს ახლავე აქ გავაჩენო, — წამოიძახა საქინემ.  
იმწუთშივე წამოხტა, დერვიშის ტანსაცმელში გამოეწყო, სახის იერი შეი-  
ცვალა და ავაზაკების ბალისაკენ გასწია.

ბაღში რომ შევიდა საქინე, ავაზაკები შემოეხვივნენ და თავიანთი  
გულის სატკივარი უამბეს. ფიქრობდნენ, ეგებ დერვიშმა ისეთი ჯადო გვას-  
წავლოს, რომ ის ქალიშვილები ხელში ჩავიგდოთო.

დერვიშმა ყველაფერი მოისმინა და მერე ავაზაკები დაარიგა:



— ისეთი რამე თუ გაქვთ, რაც იმ ქალიშვილებს ეკუთვნის, მომეცით, ერთს შევულოცავ და ყველას აქ გავაჩენო.

— როგორ არა, ერთ-ერთი მათგანის ბეჭედი გვაქვსო, — მიუგეს გახარებულმა ავაზაკებმა.

— ძალიან კარგიო, — წამოიძახა საქინემ, — ეგ ბეჭედი აქ მომეცით და თქვენ კი ერთი პატარა ორმო ამოთხარეთ, მერე ცოტა ძეძვი, ხახვის ფურცელი და რამდენიმე ღერი შეშა მომიტანეთ. მე ახლავე გავამზადებ ჯადოსო.

ავაზაკებმა უცბად მოარბენინეს ბეჭედი და საქინეს გადასცეს. მან კი ხელმწიფის ძვირფასი ბეჭედი ჩუმად თავისი ბრინჯაოს ბეჭდით შეცვალა. ამასობაში ავაზაკებმა ორმოც ამოჭრეს და ძეძვი, ხახვის ფურცელი და შეშაც მოიტანეს.

საქინემ ხახვის ფურცელი და ძეძვი ორმოში ჩაყარა, ზედ შეშა დააწყო და ცეცხლი წაუკიდა. ცეცხლი რომ აგიზგიზდა, საქინემ შიგ ბეჭედი ჩააგდო და ავაზაკები დაარიგა:

— ამ ორმოს შემოუსხედით გარშემო და, როგორც კი შეშა მთლიანად დაიწვეება, ის ქალიშვილები უკლებლივ აქ გაჩნდებიან. მე გზაზე დავდგები და შევულოცავ, რომ არ დაიგვიანონო.

ესა თქვა საქინემ, ბალიდან გამოვიდა და პირდაპირ სასახლისაკენ მოჰკურცხლა. იქ კი მის დაბრუნებას მოუთმენლად ელოდნენ. ცოტა ხანიც არ იყო გასული და დერვიშულად გამოწყობილი საქინე უკვე თავისიანებთან იყო სასახლეში. ბეჭედი მოიტანა და ხელმწიფის ქალიშვილს დაუბრუნა.

ახლა მოდით და ავაზაკების ამბავიც მოისმინეთ: საწყლები, სანამ შეშა არ დაიწვა და ცეცხლი არ ჩაქრა, ორმოს უსხდნენ გარშემო და ქალიშვილების მოსვლას ელოდნენ. მაგრამ ამაოდ, არავინაც არ მოუვიდათ! მერე ადგნენ, ნაცარი გაქექეს და ხელმწიფის აღმასისტველიანი ოქროს ბეჭდის ნაცვლად ნაცარში ერთი გარუჯული და გაშავებული ბრინჯაოს ბეჭედი დახვდათ. ახლა კი მიხვდნენ ავაზაკები, რომ ის დერვიში სწორედ საქინე იყო, რომელმაც უკვე რამდენიმეჯერ მოატყუა. დაიწყეს ბჭობა, როგორ მოქცეულიყვნენ და რა ელონათ. ბოლოს მოითათბირეს:

— სასახლეში ქალიშვილებს, ეჭვს გარეშეა, დიდი სიმდიდრე აქვთ. ერთ-ერთი ჩვენგანი როგორმე შიგ უნდა შეიპაროს და ყველაფერი შეიტყოს დაწვრილებითო.

დიდი ბჭობისა და მსჯელობის შემდეგ ერთმა მათგანმა წვერ-ულვაში

საგულდაგულოდ გაიპარსა, ქალის ტანსაცმელში გამოეწყო, ზურგზე ერთი ფუთა მოიგდო, ნემსით და მახათით სავსე კოლოფი წაიღო და სასახლისაკენ გასწია. მივიდა და მორთო ხმამაღლა ძახილი:

— საწვრილმანო! ნემსები! მახათები!

ხელმწიფის ქალიშვილი მხიარულ გუნებაზე იყო და მეწვრილმანე შინ შემოაპატიჟებინა. სასახლეში შევიდა თუ არა, საქინემ თვალის ერთი მოვლებით იცნო, რომ იგი ქალივით გამოწყობილი ერთ-ერთი ავაზაკი იყო, რომელსაც მათი ამბის შესატყობად მეწვრილმანეობა მოეგონებინა. საქინე ახლოს მივიდა, მეწვრილმანეს კისერზე მოეხვია და მოეფერა:

— სალამი, დეიდა, აქამდე სად იყავი? რა საკვირველია, რომ ერთმანეთს კიდევ შევხვდით! მიწა კი დამეყაროს თავზე, მე ცოცხალი ვიყო და შენ კი გაჭირვებული სოფელ-სოფელ დაეხეტებოდე და ნემსებსა და მახათებს ჰყიდდე?!

ხელმწიფის ქალიშვილსა და დანარჩენ გოგოებს მეწვრილმანე მართლაც საქინეს დეიდა ეგონათ და არ გაჰკვირვებიათ, ასე თავაზიანად რომ შეეგება.

საქინემ კი „დეიდა“ თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა და უთხრა:

— დეიდაჯან, მეხიც დამცემია, თავში მკბენარი გაგჩენია, ფრჩხილები წამოგზრდია და ხელებზე ჭუჭყი ფენა-ფენად დაგდებიაო.

საქინე შემდეგ გოგოებს მიუბრუნდა:

— აბა, ჩქარა, აბანო გაახურეთ, დეიდაჩემი უნდა ვაბანაო!

მეწვრილმანე ამას არ მოელოდა და ველარაფერი მოახერხა. გოგოებმა უცბად გაახურეს აბანო. საქინემ და ორმა სხვა ქალიშვილმა მეწვრილმანე შიგ შეიყვნეს და ტანთ გახადეს. საქინე ეშმაკურად ცქმუტავდა და გაიძახოდა:

— ვაი, ვაი, ერთი შეხედეთ, დეიდაჩემს რა ტურტლიანი ტანი აქვს, ხელ-ფეხი ჭუჭყისაგან როგორ დასკდომია? თან ხორცმეტიც რომ გამობმია?! ერთი დანა მომეცით ჭუჭყი ავაფხიკოო.

გოგოებმა დანა მოურბენინეს. საქინემ აიღო, ტანზე ჭუჭყი ააფხიკა, ხორცმეტი შეაჭრა, აბანოდან გამოიყვანა, ჩააცვა და გაუშვა, საითაც გინდა წადიო.

მეწვრილმანე რომ გაისტუმრა საქინემ, ყველაფერი აუხსნა ხელმწიფის ქალიშვილს, რომელსაც სიცილისაგან კინაღამ გული წაუვიდა.

რალა თავი მოგაბეზროთ, გოგოებმა დეიდა მეწვრილმანე ასე გაა-



მასხარავეს და კუდამოძუებული გაისტუმრეს თავის ამხანაგებთან. როგორ მიაღწია მან თავის სადგომს ან ავაზაკებს რა უამბო, ეს ალაჰმა უწყის.

რაკი ავაზაკები ვერაფერს გახდნენ, გადაწყვიტეს, შური უნდა ვიძიოთ იმ ქალიშვილზე. დასხდნენ და მოითათბირეს: ვაჭრულად გადავიცვათ, გოგოებს სასახლეში მოტყუებით შევეპაროთ და მერე შავი დღე დავაყაროთ. სასწრაფოდ მოიტანეს ორმოცი ზანდუკი, შიგ ავაზაკები ჩასხეს, ჯორები მორეკეს და ეს ზანდუკები აჰკიდეს. ხუთი ავაზაკი ვაჭრულად გამოეწყო, ჯორებს გაუძღვნენ და იმ სახლისკენ გაემართნენ, სადაც ქალიშვილები ეგულებოდათ. ფიქრობდნენ, სალამოს სასახლეს მივადგებით და ქალიშვილებს ვეტყვით, რომ შორი ქვეყნიდან მომავალი ვაჭრები ვართ და ძვირფასი საქონელი მოგვაქვს. გავიგეთ ამ მიდამოებში ავაზაკები დათარეშობენ. სიფრთხილეს თავი არ სტკივა, ძალიან გთხოვთ, ღამე გაგვათევენოთ თქვენს სასახლეში. ბარგთან ერთად დილამდე კუთხეში მივწვებით და რასაც მოგვთხოვთ, ქირას მოგცემთ. სასახლეში რომ ასე მოტყუებით მოვხვდებით, — ფიქრობდნენ ავაზაკები, — მერე ზანდუკებს თავს ავხდით, დანარჩენებიც ამოვლენ და იქაურობას დავერევით, იმ ქალიშვილებსაც დავეპატრონებით და ნადავლსაც დიდს ვიშოვითო.

ავაზაკები სასახლეს მიადგნენ და კარზე დააკაკუნეს. საქინემ გამოიხედა, იცნო ისინი და სასახლეში შეიპატიჟა. ბარგი-ბარხანა ეზოში დააწყობინა, თვითონ კი ერთ-ერთ ოთახში მოათავსა. თან ხელმწიფის ქალიშვილსა და სხვა გოგოებს ყველაფერი დაწვრილებით უამბო მათზე, ეს ვაჭრები სინამდვილეში ავაზაკები ბრძანდებიან და ერთ-ერთი მათგანი სორხაქი გახლავთო.

საქინემ მდიდრული ვახშამი გააშლევინა, თან გოგოებს დაავალა: ათი-თხუთმეტი ქვაბი წყალი აედუღებინათ, რომ მერე ავაზაკების ზანდუკებში ჩაესხათ.

დიდ ხანს არ გაუვლია, რომ ვახშამი უკვე მზად იყო და საქინე, ხელმწიფის ქალიშვილი და სხვა გოგოები ვაჭრულად გადაცმულ ავაზაკებს უმასპინძლებოდნენ, ხოლო დანარჩენი ქალები ზანდუკებში ჩამალულ ავაზაკებს მდულარე წყლით ფუფქავდნენ.

საქინემ სტუმრები შუალამემდე შეიყოლია მასლაათით. ამასობაში გოგოებმა დანარჩენი ავაზაკები ზანდუკებში მდულარით დაფუფქეს. ნაშუალამევს საქინე სორხაქსა და მის ამხანაგებს მიუბრუნდა.

— თუ გეძინებათ, ლოგინებს გავაშლევინებო.

— ასეთ საქმეს თუ იზამთ, ურიგო არ იქნებაო, — მიუგეს გახარებულმა ავაზაკებმა, — შორი გზა გვაქვს გამოვლილი, დაქანცულები ვართ და, რაც მთავარია, წინაც დიდი გზა გვიძევსო.

ერთი სიტყვით, ავაზაკებს ლოგინი გაუშალეს და მოასვენეს.

ერთი საათი რომ გავიდა, ავაზაკები წამოცვივდნენ და თავიანთ ზანდუკებს მივარდნენ. თავი ახადეს და... ეს რა დაინახეს? მათი ამხანაგები გოგოებს მდუღარე წყლით დაეფუფქათ! ისე დაიბნენ, რომ გაქცევა დააპირეს, მაგრამ გოგოები დაერივნენ და ყველანი გათოკეს. მეორე დღეს ქალაქში ჩაიყვანეს და ფადიშაჰს მიჰგვარეს მხრებგაკრული.


ფადიშაჰს ძალიან მოეწონა საქინეს მოხერხება და ავაზაკთა ბაღი, მიწისქვეშა გვირაბიანად, მას უწყალობა.

საქინემ ფადიშაჰს დიდი მადლობა მოახსენა და თან შეევედრა:

— დიდებულო ხელმწიფევ, სორხაქს ჩვენთვის არაფერი დაუშავებია, გთხოვთ მაჩუქოთ მისი თავი!

— მიჩუქნიაო! — მიუგო ხელმწიფემ.

ბოლოს და ბოლოს საქინე სორხაქს გაჰყვა ცოლად, დიდხანს სიამტკბილობით ცხოვრობდნენ და ასევე ტკბილად შეაბერდნენ ერთმანეთს.





რედაქტორი რ. კიკნაძე  
მხატვ. რედაქტორი თ. ჯიშკარიანი  
ტექნორედაქტორი გ. მეტრეველი  
კორექტორი ლ. ერისთავი

• •

გადაეცა წარმოებას 18/VIII-60 წ.  
ხელმოწერილია დასაბუქდად 15/XI-60 წ.  
ანაწყობის ზომა 7×10  
ქაღალდის ზომა 70×92<sup>1</sup>/<sub>16</sub>  
ნაბეჭდი თაბახი 9  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,38  
ტირაჟი 20.000 შუქვ. № 1905

ფასი 2 მან. 60 კაპ.  
1961 წლის 1 იანვრიდან ფასი 26 კაპ.

•

• •

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს  
მთავარბოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის  
კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

•

Комбинат печати Главполиграфиздата  
Министерства культуры Грузинской ССР  
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

ПЕРСИДСКИЕ НАРОДНЫЕ СКАЗКИ

Птица счастья

(На грузинском языке)

Перевод с персидского Карло Табатадзе

Художник Ладო Гудиашвили

Детюниздат Грузинской ССР

«Накадули»

Тбилиси

1960

